


9 772248 095006

საზოგადოებრივ-ცოტარაგებულებული ჟურნალი

თარგმნა
გიორგი მთელი

პერიოდი

1134 / 2
2018



2018 / ღაქაბაური

12 (278)

ჯურიჟილა
ნიფიგენია ავლისში

- | | | |
|----------|----|---|
| თარგმანი | 1 | გენიის უკანასკნელი გაღვება
ლევან ბერძენიშვილი |
| | 2 | ვერიპიდე იფიგენია ავლისში
ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და კომენტარები
დაურთო ლევან ბერძენიშვილმა |
| | 22 | ზბიგნევ შერბერტი ლექსები წიგნიდან
„ზატონი კოგიტო“ (1974)
თარგმნა ზვიად რატიანმა |
| პროზა | 28 | მაკა ლდოკონენი Aurora borealis |
| | 35 | გიგი გულედანი იმპერიის საპასუხო დარტყმა |
| | 37 | კობა ცხაკაია ყირამალა |
| პოეზია | 39 | ბელა ჩეკურიშვილი |
| | 44 | გიორგი ლომსაძე |
| მოგონება | 46 | ლალი ავალიანი ოთარზე – მოკრძალებით და სიყვარულით |

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
„არილის“ ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბეღია
მადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბეღია

სარედაქციო საბჭო

რატი აბაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლამა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - მასშტაბიანი სინამდვილე

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარში

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge


გამოცემის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
„არილის“ რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოცემის
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



გენიის უკანასკნელი გაელვება



„იფიგენია ავლისში“ ევრიბიდეს უკანასკნელი ტრაგედიაა. იგი დრამატურგს „ორესტისს“ (ძვ.წ. 408 წ.) შემდეგ დაუწერია. შესაბამისად, ტრაგედია ძვ.წ. 408-406 წლებს შორისაა დაწერილი, რადგან ძვ.წ. 406 წელს ბერძნულ თეატრალურ სამყაროს ჭეშმარიტი კატასტროფა დაატყდა თავს, რადგან ერთდროულად გარდაიცვალნენ სოფოკლეს და ევრიბიდეს ტრაგედია 405 წ. დადგა ტრილოგიის სახით ორ სხვა ტრაგედიასთან („ბაკქოსის მხველვები“ და „ალკმეონი კორინთოსში“) ერთად მისმა ვაჟმა ანტიპატრუსმა, რომელიც უმცროსმა ევრიბიდემ და პირველი ადგილი მოიპოვა ათენის ქალაქის დიონისიების (დიდი დიონისიების) დღესასწაულზე, ანტიკურობის მთავარ თეატრალურ ფესტივალზე. ტრაგედია ეხება აგამემნონს, ტროის ომში ბერძნული მხედრობის მთავარსარდალს და მის გადანეცხტილებას, მსხვერპლად შეენიჭა ქალიშვილი, იფიგენია, რომ დაეცხრო ქალღმერთ არტემისის რისხვა და მოეპოვებინა უფლება, ათასი ზომადით გაეცურა ტროის მიმართულებით. ზევსის ასული, არტემისი, აპოლონის და, განრისხებული იყო აგამემნონზე და ზურგქარს არ აძლევდა მის ფლოტს, რომელიც ტროისკენ მიმავლად, ბერძნებს პარისის მიერ მოტაცებული პელენე რომ გამოეხსნათ და ფრიგიელების დედა-ქალაქი მიწასთან გაესწორებინათ.

დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, საქმე აქ აშკარად ანტიკურ პოსტმოდერნიზმთან გვაქვს. ქალკისელ ქალწულთა გუნდი მიმოიხილავს ბერძენთა ფლოტს და აღწერს, რომელი გემი რამდენი ზომადითაა წარმოდგენილი სწორედ ისე, როგორც ეს „ილიადის“ მეორე სიმღერაში ხდება („ზომადი-და კატალოგი“). მართალია, პომეროსიით ვრცელად არ მიმოიხილავს, მაგრამ მაგრამ მაინც, ერთი მხრივ, პომეროსიით „ჭარბ“ ინფორმაციას იძლევა, ამავე დროს, ევრიბიდეს აშკარად მიმართავს ეპოსის პაროდის: აქაც, როგორც „ილიადაში“, ისახება შიდაბერძნული კონფლიქტი აქილევსს და აგამემნონს შორის და აქაც ახალგაზრდა ქალის გამო და აქაც ყველაფერში დამნაშავე, რა თქმა უნდა, აგამემნონია. აგამემნონმა გადანეცხტა, შეენიჭა თავისი უფროსი ქალიშვილი; ამიტომ იგი ცბიერებით გამოიხმო მიკენედან, შეუთვალა, ჩამოდი, აქილევსს უნდა მივათხოვო. რა თქმა უნდა, ერთი წა-მითაც არ უფიქრია, თავისი ეს განზრახვა აქილევსისთვისაც შეუტყობინებინა. როდესაც ყველაფერი გაცხადდება, კეთილშობილი აქილევსი, ბუნებრივია, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, რომ მისი სახელით ისარგებლეს გულუბრყვილო ყმაწვილი ქალის მოსატყუებლად, ხოლო როდესაც აქილევსი იფიგენიას შეხვდება და მის სიდიადეს ჩასწვდება, გული მოუკვდება, რომ ასეთი ქალის ქმრობის შანსს ართმევენ, ანუ აქაც, როგორც „ილიადაში“, სასურველ ქალს ართმევენ და ამ საზიზღარ საქმეს მანვე აგამემნონი და მისი ყურმოჭრილი მონა ტალთბიოხი სჩადიან. მთავარი გმირების ხასიათის ხაზგასასმელად და ტრაგიკული ეფექტის გასაძლიერებლად ევრიბიდეს ხშირად მიმართავს ტრაგიკულ ირონიას.

აქილევსი მზად არის, იფიგენიას გამო მთელ ბერძნულ ლაშქარს შეებრძოლოს და თავი გაწიროს. ლაშქარი ქალიშვილის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს. კლიტემნესტრას აქილევსის იმედი აქვს. აგამემნონს პრაფრის იმედი აღარ აქვს. გადანეცხტილებას იფიგენია მიიღებს. უკანასკნელ ტრაგედიაში ჩვენ განვიხილავთ პოსტმოდერნიზმს და თანამედროვეთაგან ქალთმოძულედ და ცინიკოსად შერაცხულმა ევრიბიდემ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და იფიგენიას გულწრფელი პატრიოტული აღმაფრენით მთელი ათენი და შემდგომი საუკუნეები გააოგნა და, რაკი ტრაგედია პოეტის სიკვდილის შემდეგ დაიდგა, დრამატურგმა პადესში გამგზავრებით ისინიც კი დამნაშაურა, რომელთაც იგი არასოდეს არ ჰყვარებიათ.

ევრიპიდე

იფიგენია ავლისში

დაიდგა ევრიპიდეს გარდაცვალების (ძვ.წ. 406 წ.) შემდეგ

ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა, წინასიტყვაობი და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა

მოქმედი პირები

აგამემნონი
მოხუცი, აგამემნონის მსახური
გუნდი
მენელაოსი
პირველი მაცნე
კლიტემნესტრა
იფიგენია
აქილეუსი
მეორე მაცნე
ორესტი, ამაღა, მცველები
პროლოგოსი
აგამემნონი

ლედამ, თესტიოსის ასულმა, სამი ასული შვა: [50] ფოიბე, კლიტემნესტრა — ჩემი მეუღლე და ჰელენე. ჰელენეს ხელის სათხოვნელად მთელი საბერძნეთი-დან ჩამოვიდნენ ყველაზე უფრო ბედნიერად მიჩნეული ყმაწვილები. საშინლად დაემუქრნენ და დახოცეს. დაჟიპრეს ერთმანეთს, იბრძოდნენ იმის გასარკვევად, თუ ვის უნდა დარჩენილიყო ქალიშვილი. მძიმე დღეში ჩავარდა მამამისი ტინდარეოსი, გაეტხოვებინა თუ არ გაეთხოვებინა, საუკეთესოდ როგორ მოეწყო საქმე. ეს აზრი მოუვიდა თავში: სახიოებმა ერთმანეთს ფიცი უნდა მისცენ, მარჯვენა ჩამოართვან, მსხვერპლი შესწირონ, საღვრელი დაღვრონ, [60] აღ-თქმას დადონ და შეთანხმდნენ: ვისაც ერგება ტინდარეოსის ასული, მას დაეცხარებიან, თუკი ვინმე სახლიდან მოიტაცებს და წაიყვანს, მეუღლეს შეურყვნის სარეცელს, გაილაშქრებენ და გაუნადგურებენ ქალაქს იარაღით ხელში, ბერძენი ერგება თუ ბარბაროსი. როდესაც დაუდასტურეს სახიოებმა, — ასე კარგად მოაწყო ყველაფერი გამჭრიახმა მოხუცმა ტინდარეოსმა, — ნება დართო ქალიშვილს, თავად ამოერჩია ერთი, ვისკენაც გაიყოლებდა აფროდიტეს საყვარელი სიო. [70] მენელაოსზე შეერკდა, ნეტავ, არა-სადეს აერჩია? შემდეგ ფრიგიიდან ლაკედემონში ჩამოვიდა კაცი, რომელსაც, არგოსელთა თქმულების მიხედვით, ქალღმერთებს შორის კამათი გადაუწყვეტია, ოქროთი განყობილი ბრწყინვალე სამოსი ეცვა და ჭკუშარიტყვად ბარბაროსული ფოფუნებით გამოირჩეოდა. საყვარელმა საყვარელი მოიტაცა და იდის საძოვრებზე წაიყვანა, როცა მენელაოსი შინ არ იყო. გაშმაგებულმა მენელაოსმა მთელი საბერძნეთი შე-მოსიარა, ყველას შეახსენა ტინდარეოსთან დადებული ფიცი, რომ შეურაცხყოფილი შშრის დახმარება მართებდათ. [80] იმავე წამს ბერძნებმა შეარხიეს შუბი, იარაღი აიხსეს, ავლისის ვინორ სრუტეს მოადგნენ გემებით, ფარებით, მრავალი ცხენითა და ეტლით აღჭურვილები, და, მენელაოსის გამო, შე ამირ-

ჩიეს წინამძღოლად, როგორც მისი ძმა. ნეტავ, ვისი სხვას რგებოდა ეს პატივი! შევიკრიბეთ და გავჯერო-ანდით ლაშქარში, მაგრამ უამინდობა ავლისში გე-ყოვნებდა. მაშინ მიახანა კალქასმა განსაცდელმა ჩა-ვარდნილებს გვიპასუხა, [90] რომ უნდა შეგვეწირა ჩემი ქალიშვილი იფიგენია არტემისისთვის, რომელმაც იმ მინაზე ცხოვრობდა. გაცეცურავდით და დაეცეკუ-დით ფრიგიელების დედაქალაქს, თუ შეგწირავდით თუ არა, ეს არაფერი არ მოხდებოდა. ეს ამაყ-რომ გავიგე, ვუბრძანე ტალითიბოსს, მოეცლო მთე-ლი ლაშქარი და ცხადედ აეხსნა ყველასთვის, რომ შე-ვერასოდეს ვერ გაგებდადი, მომეკლა საკუთარი ქა-ლიშვილი. ამაზბაში, ჩემმა ძმამ ყველანაირი ხერხით დაძარწუნა, ეს საშინელება ჩამედინა. დავერედე ტოსის ფორფიტებზე და გავუგზავნე ჩემს მეუღლეს, რომ [100] გამოეგზავნა ქალიშვილი ატილესიასთვის მისათხოვრლად; ვაჟკაცის ღირსებები ცაში აფიგ-ნე და ვთქვი, რომ უფრო ამაზობდა აქაველებთან: რ-თად გამოცურავაზე, თუკი ჩვენი მოღვრის საცოფს არ წაიყვანდა ფთიანი. მხოლოდ ასე შემძლო, და-მერწმუნებინა ჩემი მეუღლე, ჩვენი ქალიშვილის ხალ-ბი ქორწინების გამოგონებდა. აქაველთაგან სიძარ-თელე ვიცოდით მხოლოდ კალქასმა, ოდილესმა, მუჟ-ლასმა და მე. არასწორად გადავეწყვიტე ამისი. ახ-ლა ისევ დავხერე ამ დელტოსზე, რომელსაც დამა-ჩრდილი [110] ხედავ, რომ ყვინი და ვხურავ. აილე ახ-ლა და არგოსში ჩაიტანე ეს წერილი. რაც წერია ახ-ფორფიტებზე, სიტყვებითაც გეტყვი, რადგან ამაყ-დო მსახური ხარ ჩემი ცოლისა და მინაურებისთვის. მოხუცი, გაჰმადიე მაც კარგიდან და აჲ მოდი.

მოხუცი

მოვედი; ახალი რა ჩაიფიქრე, მეუფე აგამემნონ?

აგამემნონი

არ ჩქარობ?

მოხუცი

ეჩქარობ. ჩემი სიბერე უძილოა და თვალიც კარ-გად მიჭრის.

აგამემნონი

ეს რა ვარსკვლავია, რომ მოძრაობს?

მოხუცი

სიროსის, ჯერაც თავისი გზის შუაგულშია, მუდ-გზიანი პლეადების ახლოს.

აგამემნონი

არ ისმის ჯერ არც ჩიტების ჭიჭიკი, [10] ზღავე მშვიდია, ჩამდგარია ქარი აჲ, ევრიპოსზე.

მოხუცი

მამ, რატომ ხარ კარგიდან გამოსული, მეუფე აგა-

მეზონ? ყველაფერი მშვიდადაა ავლიში და გაღვიძ-
ნის მცველებიც ჯერ არ ამღვარან. შევიდეთ.

აგამემნონი

მშურს შენი, მოხუცი, მშურს იმ ხალხისა, უსაფ-
რთოდ რომ ატარებენ ციოვრებას, უცნობები არიან
და დიდება არ ანუხებთ! ვინც მატყვინია, იმათი ნაკ-
ლებად მშურს.

მოხუცი

[20] და მაინც აქაა ცხოვრების სიღამაზე.

აგამემნონი

ეს არის მატყვარა სიღამაზე. ძალუფლებმა ტყი-
ლა, მაგრამ მწარედება მიახლოებისას. ხანდახან ღერ-
თუნიადნი არასწორი მსახურება გადაბრუნებს ზევს
ცხოვრებას, ხანდახან მას ადამიანების გაღიზიანე-
ბული აზრები ამსიერებს.

მოხუცი

ვერ მოვიწონებ ასეთ გრძნობებს ბატონისაგან.
ხოლოდ კარგი ამბებისთვის არ გაუტენიხარ [30] ატ-
რეკს, აგამემნონ. უნდა გაიხარო და გამწარდე კი-
დეც, რადგან მოკვდავად იშვი. რაც შენ არ მოგნოს,
ესა, რაც დამტრებმა ისურვეს. ბენ კი ლამაზ აგინ-
თია, მას შუენი მოუტია, დელტოსი დავიწერია და ფელ-
ში დავიჭერია, ზოგი სიტყვა ისევ ნაგმილია, ეგ ფელ-
ტოსი ხან გაგისხნია, ხან მიწაზე დავიგდია ეგ ფეჭვის
დაფა, ხშირი [40] ცრემლი დავიღვრია, უნიზნო საქ-
ცულოთ არაფერი გამოგიტოვებია, რომ გიჯად გა-
მოგაცხადონ. რა გაგჭირვებია? რა საიხლე გაცეს ათე-
თი, ნეფეო? მოდი, გამიზიარე შენი ამბავი. შენ დაე-
ლაპარაკებ კარგ და საიმედო ადამიანს; რადგან ტინ-
დარეოსმა ოდესღაც გამომაყულა შენა მეუღლეს,
როგორც დამხმარე და მზათვის ნაწილი.

აგამემნონი

„გიგზავნი შენ ჩემი პირველი წერილის დამატე-
ბად აიტყვას, ო, ლედას ასულე...“

მოხუცი

ილაპარაკე და ამიხსენი, რომ ჩემი ენაც ეთანხმე-
ბოღეს იმას, რაც შენ დანერე.

აგამემნონი

„არ გამოგზავნე შენი ქალიშვილი [120] ევების
ჯურებით მდიდარ ფრთაზე, მოქცევისგან დაცულ
ავლიში. სხვა დროს აღვნიშნოთ ქალიშვილია ქორ-
ნლი.“

მოხუცი

და აქილევსი როგორ მოითმენს ქორწინების ჩაშ-
ლას, გულში დიდ შრისხანებას არ ჩაიდებს შენი და
შენი ცოლი ამბავადმდე? ეს ხომ საშინელებაა! ამიხ-
სენი, რას ამბობ.

აგამემნონი

მისი საბელია და არა თვითონ ამ საქმეში; აქი-
ლევსმა არც იცის ამ ქორწინებაზე რაზე, არც ის, რას
კაცობთ, [130] არც ის, რომ მზად ვარ, შეილი ჩავა-
ხტო, რომ მისი სარცელი გაიზიარა.

მოხუცი

სამინელ რამეს ბედავ, მეუფე აგამემნონ, როდე-
საც ქალღმერთის შვილს მპირდები ქალიშვილის ხელს
და აქ გამოგყავს იგი დანაელებითვის მსხვერპლად

მესხინარეად.

აგამემნონი

ეაიმე! დავკარგე გონება. ვაი, რა უბედურებაში
ჩავყარდი! მაგრამ ნადი! დააჩქარე ნაბიჯი, [140] სი-
ბერეს არაფერი არ დაუთმო!

მოხუცი

გჩქარო, მეუფე!

აგამემნონი

ახლა არ ჩამოვდე ტყის წყაროებთან და ძილის
სიტყბოს არ მივცე.

მოხუცი

რა სათქმელი!

აგამემნონი

გაჯავრდენებს რომ გაივლი, თვალი მოავლე
ირგვლი, რომ ჯორშებულ ეტლი არ გამოგებაროს,
სწრაფობრბლებიანი, რომელსაც ჩემი შვილი მოპ-
ყავს აქ, დანაელებია იომალდებიან.

მოხუცი

ასე იქნება.

აგამემნონი

ურდულიანი კარიბჭიდან დაიწყე [150] და თუ და-
ინახე ამაღა, უკან გააბრუნე, ჩაივდე ხელში სადავე-
ები და მთელი სიჭქართი გააქანე კიკლოების აგე-
ბული კედლებისაკენ.

მოხუცი

მაგრამ მიზნარი, როგორ მოეხერხო, რომ დავე-
ჯერო მენს შვილსა და შენს მეუღლეს, როცა შენი სა-
ხელით დაველაპარაკები?

აგამემნონი

ბეჭედი დაიკავი, რომელიც დელტოსთან ერთად
მიგაქვს. ნადი! უკვე განთიად დგება, ნათდება, სა-
ცაა, გამოწნდება ოთხხეხიანი პელიოსის ცეცხლი.
[160] მისენი განსაცდელი (მოხუცი გადის). არავი-
ნა წარმატებულია და ბედნიერი ბოლისა, რადგან არა-
ვინ დაბადებულა უმტკივნეულო ცხოვრებისთვის.

გუნდი

სტროფი I

მოვედი ზღვისპირა ავლისის ქვიშიან სანაპირო-
ზე, გამოვიარე ეონო ევრიოსის ნაკადები, დავტო-
ვე ჩემი ქალაქი ქალკისი, რომელსაც კეებას [170]
სახელგანთქმული არეოუსაა ანკარა წყალი ზღვის
მახლობლად, მოვედი, რომ შეეძლო, დავინახო აქაე-
ლები ლაშქარი და ნახევრადღმერთი გმირების ბო-
მალდები; რადგან ქმრებმა გვიოხრეს, რომ ცეცხლის-
თმიანი მენელოსი და მაღალი წარმოშობის აგამემ-
ნონი მოეძლია მათ ტროისკენ ათასი ხომალდით
შელენეს ბელაბლა მოსაპოვებლად, იგი ლელიანი ეე-
როტასიდან [180] მწყემსა პარისმა მოიტაცა, რო-
გორც აფროდიტეს საჩუქარი, რომელსაც მაშინ დაპ-
პირდა კიპრისი, როდესაც მქცეფარე წყაროსთან პე-
რასა და პალასს ბილანაშენი გაეჯობრა.

ანტისტროფი I

არტემისის მრავალმსგერპლუნარული ქალის
გავლით მოვედი სწრაფად; ლოყები წითლად შექე-
ფაკლა ქალწულბერივი მორიდებით, რაკი მინდოდა

დამენახა მეომართა ბანაკი, [190] შეიარაღებული დანაღლების კარვები და მათი ცხენების სიმრავლე. დავინახე ერთად დამსხდარი ორი აიასი, ერთი – ოილევის ძე და მეორე – ტელამონისა, სალამისის დიდება. ვნახე პროტესილიოსი და პალამედესი, რომელიც მოსიყვარულის ვაჟმა შუა, ისხდნენ და ერთმანედნენ მაშის ჩახლართულ სველებზე. დიომედესი, რომელიც დისკოს [200] ტყორცნით ერთობოდა; მერიონესი, არეის ძე, მოკვდავთაოცის საოცრება, თავისთვის იდგა; დავინახე ლაერტესის ძე, მთიანი კუნძულიდან მოსული, მასთან ერთად ნირევესი, ულამაზესი აქაველთაგან.

ეპოლოსი

ქარივით შქროლი სწრაფი მორბენალი აქილევესი, რომელიც თეტისმა შუა და ქირონმა გამოზარდა, დავინახე [210] ზღვის სანაპიროზე, დარბოდა სრული საბრძოლო აღჭურვილობით; ქვეითად ეჯიბრებოდა ოთხცხენიან ეტლს, უსწრებდა და იმარჯვებდა. თვალში მოეკარი ემელოსი, ფერესის შვილიშვილი, მის მეტელს; ყვიროდა და საჩხუტელტი წკეპლით მიერეკებოდა თავის ულამაზეს, ოქროსაღვრიან ცხენებს; შუა წვეთს, რომელიც უღელს ეზიდებოდა, თეთროფორელებიანი კანი ჰქონდა, გვერდითა ცხენები, რომლებიც მხოლოდ მოსახვევში უთანაბრდებოდნენ ძალით, ნაბლისფერნი იყვნენ და კოპლებიანი წვეგები ჰქონდათ. ეტლის ძარასა და მორგვეთან ძალიან ახლოს მიქროდა [230] პელეგის ძე, შეიარაღებული.

სტროფი II

შემდეგ მე ვნახე ხომალდთა სიმრავლე, საოცარი სანახაყი! დავატყებ ტკბილი იამოყნებით ჩემი ქალური ცნობისმოყვარეობა. მარცხნივ იყო ფთიიდან ჩამოსული მირმიდონელი მეომრების ორმოცდაათი სწრაფი ხომალდი. თითოეულის კიბოზე, სულ ბოლოში, იდგა ერთი-ერთი წერეთის ქალმშენის [240] ოქროს ქანდაკება, აქილევესის ლამქრის ემბლემა.

ანტიტროფი II

გვერდით იდგა არგოსელთა იმდენივე ხომალდი, რომელთაც ხელმძღვანელობდა მეცისტევის ვაჟი, რომელიც ტალაოსმა, პაპამისმა, აღზარდა მამასავით და კამანეგის ძე, სიენელისი. შემდეგი იყო თენხეგის ძე, რომელიც მეთაურობდა ატიკის სამოც ხომალდს; [250] ფრთოსან ეტლში, რომელშიც შემზული იყვნენ ერთლიქიანი ცხენები, ჩასმული ჰყავდათ ქალმშენთი პალასი – ბედნიერი ნიშანი მეზღვაურებისთვის.

სტროფი III

ბეტიკელთა საზღვაო შეიარაღება ვნახეთ – ორმოცდაათი ხომალდი, ემბლემათი აღჭურვილი. ამათ შეადგათ კიოსი კიდემი, რომელსაც ოქროს დრაკონი ეჭირა; ლეიტოსი, დედამიწის შობილი, [260] იყო მათი ამირბარი. იქ იყო ფოკისის ხომალდები; ამდენივე გემით ლოკრისიდან, თრონიონის სახელობადნი ქალაქიდან, ჩამოვიდა ოილევის ძე.

ანტიტროფი III

მიკენედან, კიკლოპების ქალაქიდან, ატრევსის ძემ გამოაგზავნა მეზღვაურები ასი ხომალდით, მას-

თან ერთად მეთაურად იყო ადრასტრეი, რომელიც გობარი მეგობართან, [270] რომ წაბრუნებოდა მძლავრად, სრულად ეძია შური სასახლიდან გაქცეულ უცხოელზე გათხოვილ ქალზე. პილოსიდან გერენიელი ნესტორის ხომალდები ვნახე, კიბოზე ემდებოდა ჰქონდა ხარისფეხება არსება, მდინარე ალფოსის ბატება.

ეპოლოსი

იქ ასევე იყო ენიელების თორმეტხომალდიანი ზნაერთი, რომელსაც მეუფე გუნევესი მართავდა; მას ახლოს იყვნენ ელისის მბრძანებლები, რომელთაც ებელებს უწოდებს ხალხი; მათ მართავდა ეგრეროსი. შემდეგ თავისი ეპომრები თეთრი ნიშნები, რომლებზედაც მფეობდა მეცესი, ფილევის ძე რომელმაც დატოვა ექინასების მეზღვაურთათვის სამრეცხოდ მიუდგომელი კუნძული. ბოლოს აიასი, ზალმისზე აღზრდილი, [290] რომელმაც თავისი მარჯვენა ფრთა შეუერთა მის გვერდით მდგომთა მარცხენს და ჩაკეტა გემების რიგი თავისი თორმეტი მოქნილი გემით. ასე გამოიგა და შემდეგ მეომრებიც ვიხილე თუ რომელიმეს წააწყდა ბარბაროსთა ხომალდებიდან, მათ შინ დაბრუნება არ უნერიათ. ასე ვნახეთ იქ [300] გემების წყება, რალაც სახლშიც გვსმენია და გენებას შემოუნახავს აქ შეკრებილ ლამქარზე.

პირველი ეპისოდიონი

მოხუცი, მენელაოსი

მენელაოსი ძალით წაართმევს წერილს.

მოხუცი

მენელაოსი, ისეთ რამეს ბედავ, რისი უფლებაც არ გაქვს.

მენელაოსი

ნადი! მტრისმეტად ერთგული ხარ შენი ბატონების.

მოხუცი

ასეთი გინება მხოლოდ საამაყო ჩემთვის.

მენელაოსი

ვაი შენ, თუ იმას აკეთებ, რასაც არ უნდა აკეთებდე!

მოხუცი

უფლება არ გაქვს, გახსნა წერილი, რომელიც მე მიმაქვს.

მენელაოსი

არც შენ გაქვს უფლება, მთელ საბერძნეთს უბედურება მოუტანო.

მოხუცი

სხვას უნდა შესჩივლო ეგ, მე კი დამიბრუნე წერილი!

მენელაოსი

[310] არ დაგიბრუნებ!

მოხუცი

მეც ვერ დაგიტოვებ.

მენელაოსი

ახლავე თავს კვეთნით დაგისისხლიანებ.

მოხუცი
მაგრამ სახელოვანია ბატონებისთვის სიკვდილი.

მეწელოსი
გეყოფა, მონისათვის მტისმეტად გრძელი ენა გაქვს!

მოხუცი
(ხედავს, რომ აგამემნონი უახლოვდება) ო, ბატონო, უსამართლოდ მექცევიან! შენი წერილი გამოგატყა ხელიდან ძალით, აგამემნონ, და არ უსმენს სამართლიან მოთხოვნას.

აგამემნონი
ჰეი, რა ხმაურია კარიბჭესთან, რა სიტყვები მესმის?!

მეწელოსი
მე უნდა მომისმინო და არა მაგას.

აგამემნონი
შენ, მეწელოს, რას ეკამათები ამ კაცს, რა გაქვს საჩუბარი?

მეწელოსი
[320] სახეში შემომხედე, ასე ვაპირებ, ლაპარაკი დავიწყო.

აგამემნონი
მიშისგან თვალებიც ხომ არ უნდა დავხუჭო, ატრეისის შობილიო?!

მეწელოსი
ხედავ ამ დელტოსს, სამარცხვინო შეტყობინების ზატარებელს?

აგამემნონი
ესედავ და, უპირველეს ყოვლისა, გადმოშვებ.

მეწელოსი
არა, სანამ არ ვაჩვენებ მის შინაარსს ყველა დანელს.

აგამემნონი
როგორ, ბეჭედი გატეხე და გაიგე, რაც არ უნდა გაგეგო არასოდეს?

მეწელოსი
დაიხ, მე ვავხსენი და ვიცი, შენდა სამწუხაროდ, რას აპირებდნენ საიდუმლოდ.

აგამემნონი
საიდან ჩაგვიარდა ხელში? ღმერთებო, რა სამარცხვინო გული გაქვს!

მეწელოსი
შენს ქალიშვილს არგოსიდან სამხედრო ბანაკში ვუღოდეზობი.

აგამემნონი
რა უფლება გაქვს, ჩემს მოქმედებებს რატიონ ამონებ? ეს სამარცხვინო არ არის?

მეწელოსი
[330] იმიტომ, რომ ამის სურვილმა მომიცხვა, მე ხომ შენს მონად არ ვშობილვარ.

აგამემნონი
სამძინებლა არ არის?! მე არ შემიძლია, საკუთარ სახლში ვიუფროსო?

მეწელოსი
არა, რადგან არ იცი, რა გინდა: ერთს ახლა, მეორეს უნინ, მესამეს დაუყოვნებლივ.

აგამემნონი
კარგად ლაგობს საზიზღარ რამეებზე: შესასუ-რია ბრძნული ენა!

მეწელოსი
მაგრამ არამყარი გონება უფარგისი ქონებაა და არასაიმედოა მეგობრებისთვის. მიიდა შეგამონი და შენ მრისხანების გამო ნუ აქცევ ზურგს სიმართლეს, არც მე დავება მეტისმეტად. გაიხსენე, რა მონადინებული იყავი, რომ გებელმძვანელა დანაელებისთვის ილიონის წინააღმდეგ, გარეგნულად არ იმჩნევდი, თითქოს არც გინდოდა ეს პატივი, გულში კი ძალიან გინდოდა; რა მოკრძალებული იყავი, ყველას მარჯვენას ართმევდი, [340] კარი ღია გქონდა ყველაისათვის, ვინც კი შემოსვლას დააპირებდა, ყველას აძლევდი საშუალებას, ელაპარაკა შენთან, თუმცა ზოგს არც უნდოდა; აწმირად ცდილობდი, მოგვარეობა ყველას მხარდაჭერა. შემდეგ, როგორც კი მოიპოვე მთავარსარდლობა, იმავე წამს შეიცვალა შენი საქციელი; მეგობრებისადმი აღარ იყავი ძველებურად მეგობარი. მოუსვდომელი გახდი, სახლში ჩაიკეტე და იშვიათად ჩნდებოდი. ადამიანი სწორედ მაშინ, როდესაც კარგ ბედშია, როცა კეთილდღეობა ეწვევა, არ უნდა იცვლიდეს საქციელს, სწორედ მაშინ უნდა ურთიგულოდ მეგობრებს, როდესაც მისი კეთილი ბედი უფრო საკმინად შეიძლება დაცხაროს მათ. აი, ეს იყო ჩემი პირველი ბრალდება, მაშინ პირველად აღმოვაჩინე შენი ავაცოხა. [350] შემდეგ, როდესაც ავლისში ჩამოხვედი სრულიად ბრძნულ ლაშქართან ერთად და ღმერთებმა რომ ზურგხარი არ გვაღირეს, თავხარი დაგეცა და გატყდი. დანაელებმა დაიდური იერი გქონდა მაშინ! რა დაბნეულობა დაგეტყო სახეზე იმის ფიქრით, რომ შენ არ უხელომძვანელებადი მეტად ათას ხომალდს, რომ ჩვენი ლაშქრით დაგეფარა პრიამოსის ველი! მე მკითხე რჩევა: „რა გენა? რა გზას დავადგე, როგორ ვიპოვო გამოსავალი?“ რომ არ ჩამოვრთმეოდა მხედრობათმთავრობა და არ დაგეკარგა შენი დიდება. შემდეგ, როდესაც კალქას-სა საკურთხევის წინ ვანაცხადა, რომ შენ უნდა შესწირო ქალიშვილი არტემისს და ამ შემთხვევაში დანაელები გაუცხოვრებ, შენ გაიხარე, [360] ბედნიერი იყავი, როდესაც ამ მსხვერპლს დაპირდი და შენი ნებით გაუცხოვრე, არა ძალით, ვერ იტყვი ამას, შენს ცოლს წერილი, რომ ბავშვი აღ ჩამოსულყო, თითქოსდა აქილევსთან დასაქმრინებლად; მაგრამ ამის შემდეგ ისევ შეიცვალე აზრი და გამოგიჩირეთ, რომ ახალ წერილს დანერე, სადაც აცხადებ, არ მიიდა, ჩემი შვილის მკვლედი ვიყო. სწორედ ასე! მაგრამ ზეცა იფიცე, მან გაიგონა შენი დაპირება. ათასობით

1. სტრ. 321. ატრეისის შობილი... – სიტყვების თამაშია, ბგერული სახელ ატრეისის მნიშვნელობაზე: „უშიშარი“; „შიშისგან თვალებიც ხომ არ უნდა დავხუჭო, უშიშარის ძვე“?

ადამიანს მოსვლია ახე, როცა ხელისუფლებაში არი-
ან. ყველაფერს აკეთებენ, რომ ძალაუფლება ხელში
ჩაიგდონ და მერე საცოდავად ეცემიან, ხან ხალხის
სისულელის გამო, ხან საკუთარი სისუსტის გამო და
ვერ იცავენ ქალაქს! [370] ჩემდათვად, მე მეცოდება
უბედურო საბერძნეთი, რადგან რაღაც დიდის გაკე-
თების ამირებდა, ბარბაროსებისთვის ქუჩა უნდა ეს-
წავლეთინა, მაგრამ ახლა ისინი დაუსჯელნი ჩრებიან
და დაგვიცინიან შენი და შენი ქალიშვილის გამო. არა-
ხოფის არ დავნიშნავდი კაცს ქვეყნის მმართველად
მისი ვაჟკაცობის გამო! არც მწეადართმთავრად! მთა-
ვარსადაღას სჭირდება, რომ ჰქონდეს ვონება! ქა-
ლაქის მართვის ნებისმიერი ადამიანი შეძლება, თუ
გაუმართლა და საღად აზროვნება.

კორინთიოსი

ძმებს შორის გაიმართა საბინელი სიტყვიერი
ბრძოლა, რომელიც განსუთქვლებამი გადაიხარდა.

აგამემნონი

მეც ძალიან მიხდა, რამე ცუდი გითხრა, მოკლედ,
მაგრამ არ მსურს, უსივრცელოდ მაღლა ავტყოს ნარ-
ბები, მინდა უფრო გონივრულად მოვიცე, [380] რო-
გორც ძმა; ნესიერმა კაცმა ქვეყნის წესები უნდა და-
იცვას. მითხარი, რატომ მძვინვარებ? რატომ გაქვს
სისხლიანი თვალები? ვინ შეურაცხყო? რა გინდა?
კარგი მეუღლის ძლიერი გონივრული ხომ არ გაქვს? მე
არ შემოიღია, ეს მოგცე; რადგან რომელიც გყავდა,
მისს ვერ მოუარე. შენი შეცდომების გამო მე უნდა
დავიხსნა? ჩემი პატივმოყვარობა არ გაწუხებს შენ;
არა, შენ გინდა მშვენიერი ქალი გყავდეს მკლავებში;
ეკთილგონიერება და ნესიერება არ გადარდება. ცუ-
დი კაცის საბოლოოება მისივე მსგავსია. მე გიფი ვარ,
თუ გამოვიცვალე ახრი უფრო გონივრულით, როდეს-
აც მანამდე მცდარი გადაწყვეტილება მივიღე? შენ
უფრო ხარ გიფი, რადგან ცუდი მეუღლე დაკარგე და
[390] უკან დაბრუნება გინდა, მაშინ როცა ღმერთებ-
მა კარგი საქმე გაგიკეთეს. ცოლის მოსაყვანად სუ-
ლებმა სასიძოვებმა მაშინ ტინდარეოსს ფიცი მისცეს;
– ეს იყო ელბისი, იმედის ქალიშვილი, მე გმონია, მან
მოაწყო ყველაფერი და არა შენ და შენმა ძალამ. ნა-
იყვანე ისინი და იომე; ისინი მზად არიან თავიანთი
ფიცი გულებით. ღვთაება კი უგუნური არ არის, მას
შეუძლია ერთმანეთისგან გაარჩიოს შეცდომით მი-
ცემული ფიცი ან ძალით მოპოვებული. მე ჩემს შვი-
ლებს არ დაბოკავ. რატომ უნდა იხარი შენ შენი უფარ-
გისი ცოლის გამო შურისძიებით, რატომ უნდა დამ-
რჩეს მე სამუდამო გლოვა იმაზე, რაც გაგუკეთე სა-
კუთარი სისხლსა და ნორცს, სამართლიანობის ყველა
კანონის საწინააღმდეგოდ?! [400] ან შენ მოკლე პა-
სუბი, ცხადი და იოლად გასაგები; თუ ამით გონზე
ვერ მოგიყვანე, მე თვითონ გავაკეთებ, რაც საჭი-
როდ მიმაჩნია.

კორინთიოსი

ეს განსხვავდება მანამდე ნათქვამი სიტყვების-
გან, მაგრამ მასში სიკეთეა, ბავშვის დანდობაა.

მენელაოსი

ვაიმე, აღარ მყავს მეგობრები მე უბედურს.

აგამემნონი

გყავს მეგობრები, თუ მათს დაღუპვას არ აპი-
რებს.

მენელაოსი

რითი დამიმტკიცებ, რომ მამაჩემის შეილი ხარ
შენც?

აგამემნონი

სიბრძნე მაქვს შენთან საერთო და არა სიგიფე.

მენელაოსი

მწუხარებაში სჭირდება მეგობარს მეგობარი.

აგამემნონი

კარგი გამიკეთე, თუ დახმარება გინდა და გუ-
ვილს ნუ მომაყენებ.

მენელაოსი

[410] მაშ, არ ამირებ, ეს განსაცდელი საბერძნე-
თთან ერთად გადაიტანი?

აგამემნონი

საბერძნეთიც შესწავის, რომელიც ღმერთის
ნებით, ავადლა.

მენელაოსი

მიდი, იტრებაზე შენი კვრთობით, საკუთარი ძის
მოღალატე! მე სხვა საშუალება უნდა გამოვიყენო
და სხვა მეგობრები.

აქ ქართული შეროდის მაქნე.

მაცნე

სრულიად ბერძნეთა მბრძანებელი, აგამემნონი,
ჩამოყვანი და ჩამოგვიყვანე ბავშვები, რომელსაც სა-
ლში იფიციების უბნობები. დედაც თან ახლავა, ქო-
ტმენტსტრა და ბიჭიც, ორესტესი; იცოდა, რომ გა-
ხარებდა მისი ნახვით, კარგა ხანია, სახლიდან წაბ-
სული რომ ხარ. [420] ვერძელი გზა გამოიარე, ახლა
ისევე გინებენ და ნაზი ფეხები წყაროს წყალში აქე-
ჩანყოფილი, ისევე გინებენ იანოც და ცხენებიც, გამო-
ხსენით ეტლიდან და მინდორზე გაუშვით საბალ-
ხოდ. მე კი ნინ წამოვდი, რომ მათს დასახეფდრად
მოემზადო; რადგან უკვე გაიგო ლაშქარმა, სწრაფად
გავრცელდა ხმა, შენი ქალიშვილი რომ ჩამოვიდა.
უამრავმა ხალხმა მოიბრინა, რომ ენახათ შენი ასუ-
ლი; ბედის ნებეირები ყველასთვის სახელოვანი არა-
ა და მოკვდავების მათი ნახვა უხარიათ. [430] ამბო-
ბენ: „ქორწილია თუ რა ხდება? თუ მუფფე აგანბ-
ნის ქალიშვილი მოეწატრა და ჩამოვიყვანა ბავშვი?“
სხვებისგან ანას გაიგონებდი: არტემისს წარმოუდ-
გინეს ყმანდელი ქალი, ავლისის ღვთაება, ნეტე-
ვინ იქნება მისი ქმარი?“ მაშ მიდი, დანეცე ნესის ას-
რულემა, მოამზადე კალათები, თავი გვირგვინით წე-
იმოსე, შენც, მუფფე მენელაოსი; მოამზადე საკონი-
ლო სიმღერა და კედლებში გაისმას ფლიტისა და
მოცეკვავთა ფეხის დარტყმის ხმები; ხომ ბედნიერ
დღე გაუთენდა ქალიშვილი!

აგამემნონი

მადლობელი ვარ, ახლა კი სახლში შედი; მიუშ-
ვით ბედი თავის გზაზე და ყველაფერი კარგად იქნე-
ბა. (მაცნე გადის). გაიმე, რა ვთქვა უბედურმა? საი-
დან დავიწყე? გარემოებათა მიმი უღელი დამეფა
ქედზე. ღმერთმა ჩამაგდო ამ დღეში, ჩემს ცხოვრებას
ბევრად გადააჭარბა. მდებრი წარმოშობის თავის
უფირატესობა აქვს. ცრემლის ღვრაც იოლია მთ-
ოვანი და ყველაფრის თმაც. კეთილშობილი წარმო-

ზობის კაცს უბედურება ნაკლებად არ ემართება; მაგრამ ჩვენ გვაქვს ცხოვრების გარეგნული ღირსება და ბრბოს მონები ვართ. რადგან მე მრცხენია, რომ ცრემლი დავღვარო, რომ არ დავღვრი, ახლა ამისიც მრცხენია უბედურს, ამგვარ უდიდეს უბედურებაში ჩაჩვენადნელი. კმარა! რა ეუთხრა ჩემს მუშუდლეს? როგორ შევხვებ? რა სახე მივიღო? მან ხომ დამღუპა, როცა ამ უბედურების ჟამს დაუპატიჟებლად ჩანივიდა. თუმცა უნდა გამოიყულოდა ქალიშვილს, რომელიც თხოვდება და მოსამზადებელია ქორწილი და გადასაცემია, რაც ყველაზე ძვირფასია. სწორედ მაშინ აღმოაჩენს ჩემს აცაცობას [460] და ამ საცოდავი ქალიშვილისთვის – რატომ ქალიშვილისთვის? პიდეს მას, როგორც ჩანს, მალე მოიცვანს ცოლად – როგორ მეტრადება მგონია, ასე შევედრება: „მამა-ჩემო, მომკლა? ასეთი ქორწილით იქორწინეთ შენც და შენმა მეგობრებმა!“ ორესტესი იქნება იქვე და იტრებს უაზროდ, მაგრამ ყველასთვის გასაგებად, ჯერ ჩივლი ბავშვია. ვაიმე! პრიაშისის ვაჟმა, პარისმა, პელენეზე რომ იქორწინა, მაშინ დამღუპა და იქიდან მოდის ეს ყველაფერი.

კორიფაიოსი

მეც მეცოდება, თუკი უცხოელ ქალს შეუძლია [470] ივლოვოს ბატონების უბედურება.

მენელაოსი

(ხელს უწევს აგამემონოს). ძმაო, მომიეცე მარჯენა, უნდა ჩამოგართვა.

აგამემონი

გაძლევ; შენია გამარჯვება და ჩემი – მსუხარება.

მენელაოსი

ეფიცავ პელოფსს, ჩემსა და შენს წინაპარსა და ბრძენს, ჩემს მამას, რომ სიძაროლეს გეტყვი გულწრფელად და ყველანაირი ეშმაკობის გარეშე, მხოლოდ რასაც ვფიქრობ. თვალცრემლიანს რომ გხედავ, მეტრადები და სანაცვლოდ მეც ცრემლები მადგება თვალებზე. უკან მიმავეს ჩემი ძველი სიტყვები; [480] მტნების საძიძი არ ვარ, შევდივარ შენს მდგომარეობაში. მიიღე ჩემი რჩევა: არ მოკლა შეილი და არ შემოშინო მე; რადგან არ არის სამართლიანი, შენ ცელოვადე და მე გახარებული ვიყო, შენები დაიპოვონ და ჩემებმა დღის სინათლე უცტირონ. მაშ, რა მინდა? სხვა საცოლეს ვერ ვიპოვი, თუ ქორწინება მომინდება? ძმა დავღუპო, რომელიც ყველაზე ნაკლებად დასაღუპია, შეღწენ მოვიპოვე, ცუდი კარგის სანაცვლოდ? უგუნური და ყმაწვილი ვიყავი, სანამ უფრო ახლოდან არ [490] შევიხედე და არ ჩაენედი, თუ რა არის ბავშვების დახოცვა. გარდა ამისა, გული მიკვდება ამ უიღბლო ქალიშვილზე, ჩემს სისხლსა და ხორცზე, რომელიც მსხვერპლად უნდა შეენიროს იმას, რომ მე დაქორწინება შევქძო. რა ხედი აქვს ჰელენეს შენს ქალიშვილთან? დიძალის ღირსი და ნაიდეგ ავლისიდან, გაიშრე ცრემლი, ძმაო, და მეც ნუ მატარებ. რაც წინასწარმეტყველებაშია შენს ქალისთვის სათქვამი, გეხება შენ, მე აღარ შეხება, ჩემს ნილს შენ გითმობ. [500] რაო, მოულოდნელი ცვლილება ჩემი სასტიკი სიტყვების შემდეგ? ჩემთვის ბუნებრივი ცვლილება, ძმის სიყვარულმა გააძლიერა იგი. ესაა კარგი კაცის მოსახვედრე ყველა ვითარებაში მისდობს იმას, რაც საუკეთესოა.

კორიფაიოსი

დიდსულოვანი სიტყვა ბრძანე, ზეგისა მტნებისა ლოსის ღირსი, წარმოძველობა არ შეარცხენი.

აგამემონი

მადლობელი ვარ, მენელაოს, ამ მოულოდნელი სიტყვისთვის, დიდებული ნათქვამია და შენი ღირსი. გაუტებრობა ძმებს შორის გამოწვეულია სიყვარულით ამ მათი ოჯახების სიხარბით; მიუღს [510] ასეთი ურთიერთობა, რომელიც ორივესთვის მწარეა; მაგრამ მივადექით ბედისწერის აუცილებლობას და მე ვერ გავტყვევებ ქალიშვილის სისხლიან მსხვერპლმწიფვას.

მენელაოსი

როგორ? ვინ გაიძულება, შენიანი მოკლა?

აგამემონი

აქველებს მთელი გაერთიანებული ლაშქარი.

მენელაოსი

არა, თუკი მას ისევ არგოსში გააბრუნებ.

აგამემონი

ფარულად ვიზამდი ამას, მაგრამ იმას ვერ დავმალა.

მენელაოსი

რას? არ არის ბრბოს მეტამეტი შიში საჭირო.

აგამემონი

კალქასი ეტყვის წინასწარმეტყველებას არგოსელთა ლაშქარს.

მენელაოსი

ვერა, თუ მოკვდება მანამდე; ეს იოლია.

აგამემონი

[520] მისანთა მთელი მოდგმა პატივმოყვარეობის ჭირია.

მენელაოსი

არაფერში გამოსადეგი და უფარგისი.

აგამემონი

იმის არ გეშინია, რაც ახლა მომივიდა თავში?

მენელაოსი

თუ არ მეტყვი, როგორ გავიგებ, რას გულისხმობ?

აგამემონი

სისიფოსის წაშეგრმა იცის ყველაფერი.

მენელაოსი

ოდივების არც მე და არც შენ არაფერს არ დაგვიშვებს.

აგამემონი

ყოველთვის ცბიერი იყო და ბრბოს მხარეს.

მენელაოსი

სწორია, პატივმოყვარეა საშინლად.

აგამემონი

არ გგონია, რომ დადგება არგოსელებს შორის და იტყვას, რა წინასწარმეტყველებებიც განმარტა კალქასმა [530] და რომ მე შეგვირდი მსხვერპლის შეწირვას არტემისს და მოვიტყუე? ვერ აიყოლებს ლაშქარს, შენ და მე ვერ დავგვოცავს და არგოსელი ასულის შეწირვას ვერ ბრძანებს? და არგოსში თუ გავი-

ქეცი, თვითონ მოგვადგებიან კიკლოების გალავანთან, დალენავენ და მინასთან გაასწორებენ ქალაქს. ესაა ჩემი განსაცდელი, რა უბედური ვარ! რა დღეში ჩამადგას ღმერთებმა ახლა! ერთი რამ გამიკეთე, მე-ნელაოს, ლამქარი გაიარე, რომ კლიტემნესტრამ ვერ გაიგოს [540] ვერაფერი, სანამ პადესს არ ჩავაბარებ ჩემს ქალიშვილს, რომ ჩემს გასაქირს ნაკლები ცრემელი ახლდეს. (მოუბრუნდება გუნდს). თქვენ კი, უცხო-ელო ქალებო, დუმილი დაიცავით.

მეტელაოსი გადის.

გუნდი

სტროფი

ნეტარია, ვისთანაც ქალღმერთი ზომიერად მიდის და ვინც თავშეკავებულად იზიარებს აფროდიტის ქორწინების საჩუქარს, სიმშვიდით ტკბება და მ-ნესტრავი სიმშავისგან თავისუფალი, როდესაც ოქროსთმისანი ყროსი მოზიდავს თავის მშვილდს სიამოვნების ორი ისრით, ერთს ბედნიერი ხედვით, მეორეს კი – სიცოცხლის ასარევად. ეგ მოაცილე ჩემს საწოლ თიხას, ულამაზესო კიპრისი დაე, ჩემი სიამოვნება იყოს ზომიერი, ნდომა სუფთა, ვეზარო აფროდიტეს, მაგრამ აფერიდო გადაჭარბებას.

ანტიკტროფი

განსხვავებულია მოკედავთა ბუნება, განსხვავებულია ჩვეულებები, [560] ნამდვილი ღირსება კი ყოველთვის თოლი გამოხატულობა. აავევ ალბრუდასა და ვარჯიშს კარგად შეუძლიათ სათნოებამდე მიყვანა; რადგან სირცხვილის გრძნობა უკვე სიბრძნეა, გამორჩეული სიკეთე კი არის, საუკეთესო მსჯელობით დინახო, საჭიროა რაა, მაშინ პატიოსან სახელს მოაქვს დაუბრუნებელი დიდება ცხოვრების განმავლობაში. დიდი ამბავია სათნოებაზე ნადირობა, ქალებთანაც ესაა კიპრისის [570] დამალვა, კაცებისათვის კი მისი უთვალავი სახე აქვს; და ეს უნამეტეს ქალაქს დიდებას.

ეპოდოსი

მიხედო, ო მარის, იმ ადგილებში, სადაც მწყემსად ვიზარდებ, იდის თოღოვით თირი დეკეულებთან, პარპაროსულ მელოდებს უკრავდი სირინქსზე, ოლიმპოსის სალამურს ბაძავდი ფრიგიული ხმებით. საესევიკონიანი ძროხები ბალახს ძოვდნენ, [580] როდესაც ქალღმერთების განსჯა გელოდა შენ, რამაც საბრძნოში გაგვხაზა; დადები სპილოსძვლის სასახლის წინაშე, ჰელენეს მონუსხულ თვალებში სიყვარული ჩასახე და თავადაც მოგვდი სიყვარული. აქედან წარმოიშვა გასწეუქილება, რომელმაც საბრძნო შუბითა და გემებით მოაყენა ტროის კომკებს.

მეორე ეპისოდონი

კლიტემნესტრა, იფიგენია, ორესტესი

არგოსელ კაცთა გუნდი

[590] ოჰ! დიდია დიდებულთა ბედნიერება. შეხედე მეფის ასულს, ჩემს დედოფალსა და კლიტემნესტრას, ტინდაროსის ასულს; რა დიდებული წარმოშობის არიან და რამოდენა ბედნიერებას მიადნიეს. ეს მძლავრი არსებები, რომლებიც სიმდიდრეც ახ-

ლავთ, ღმერთებად მიამნია ნაკლებად წარმატებულ ხალხს.

გუნდი

გაწერდით, ქალკისის შობილო ქალიშვილებო, მივლით ეტლიდან ჩამოსული დედოფალი [600] მინაზე მტკიცე ნაბიჯით, თავაზიანად შეეაშველოთ ხელი, კეთილი განწყობით, რომ ავამემნოსის საბელოვანმა ასულმა, ალახამ ჩამოსულმა, შიში არ იგრძნო; ავამემნოთა ყველაფერი შემამოყრეული თავად უცხოებმა არგოსელ უცხოებს.

კლიტემნესტრა

ბედნიერების მომასწავებელი ნიშნად მიმართია მენი თავაზიანი და კეთილი მიღება და იმედი მაქვს, რომ ბედნიერი ქორწინებისთვის მყავს [610] საცოლე ჩამოყვანილი. (მსახურებს) ეტლიდან გადმოიტანეთ მზითვერი, რომელიც მომაცხს ჩემი ასულისათვის და მეფის კარავში შეიტანეთ ფრთხილად. მენ კი, მელო ჩემო, ჩამოდი ცხენებიანი ეტლიდან და მინაზე ნახად დადგი შენი დახვეწილი ფეხი. (გუნდს) თქვენ კი, ყმანელი ქალებო, მკლავები ჩაავლეთ და ჩამოყვანეთ ეტლიდან. ვინმემ მეც მომამწველეთ ხელი, რომ მოხდენილად დაეტყო ჩემი ადგილი ეტლში. ზოგიერთებმა დადგით ნინ ცხენების თავებთან; [620] რადგან ცხენებს შორიდებული თვალები აქვთ, იოლად ემინათ ხოლმე; და ეს ბავშვი, ავამემნონის ვაჟი გამომართოთ, ორეატესი, ჯერ კიდევ ჩვილია. გძინავს, მეილო, დაიღალე ეტლით მგზავრობაში? გაიღვიძე ბედნიერად შენი დის ქორწილში; ისედაც დიდი გვარისა ხარ და კიდევ მოგემატება სახელი ნერვისი ასულია ლეთისდარ ნამიერთან დამოყვრებით. აქ მოდო, დედაშვიტო, ჩემო ასულო, იფიგენია, დამოვექი გვერდით და ახლოდან დაინახე ჩემი ბედნიერება ამ უცხო ქალებს; [630] მოდი აქ და მიცხალმე საყვარელ მამაა.

იფიგენია

დედა, არ გამიბრაზდე, თუ გავაქციე და მამაჩემს გულში ჩავგხუტე.

კლიტემნესტრა

თავისსაცემო, უდიდესო მეუფე ავამემნონი, ჩამოვედით, შენა ბრძანებას დაგეგმორჩილეთ.

იფიგენია

ო მამა, რამდენი ხანია, მინდა გამოვიქცე და გულში ჩავგხუტო, მინდა, შენი სახე დავინახო, არ გამიბრაზდე.

კლიტემნესტრა

შეგიძლია, ქალიშვილო, ჩემი შვილებიდან მამა მუდამ შენ გიყვარდა ყველაზე მეტად.

იფიგენია

(ეხუტება მამას). [640] მამა, მიიარია, რომ გხედავ დიდი ხანია, მენატრები.

ავამემნონი

მამამკნსაც უხარია, ორივეს გვეხება შენი სიტყვაბი.

იფიგენია

გაიხარე, კარგი ქენი, აქ რომ მომიყვანე, შენთან.

ავამემნონი

არ ვიცი, უნდა ვთქვა კი თუ არა ამაზე, შვილო.

იფიგენია

ამ! ვერ გამოიყურები მშვიდად, თუმცა გახარებული ხარ ჩემი დანახვით.

აგამემნონი

ვერო საზრუნავი აქვს მეფესა და მხედართმთავარს.

იფიგენია

ჩემთან იყავი ახლა, სხვაგან ნუ მიპარუნებ გონებას.

აგამემნონი

სწორედ შენთან ვარ მთლიანად ახლა და არა სხვაგან.

იფიგენია

მამ, ჩამოუშეი წარბი და მოიხსენი დაძაბულობა და გაიღიმე.

აგამემნონი

ნახე, რომ გხედავ, მიხარია ეს, როგორც უნდა მიხაროდეს.

იფიგენია

[650] და მაინც ცრემლი გდის თვალებიდან?

აგამემნონი

დიდი არდასაზრება ორივე მხრიდან, ეს გველოდება.

იფიგენია

ვერ გავიგე, რა თქვი, ვერ გავიგე, უსაყვარლესო მამა.

აგამემნონი

ტიდევ უფრო აღმძვარე სიბრალეული, ისე გრძნობთ ლაპარაკობ.

იფიგენია

უფრო უაზროსაც ვიტყვი, ოღონდ შენ გასიამოვნო.

აგამემნონი

ეაი! დუშილს ვერ ვიტან, გაქვს.

იფიგენია

მამა, დარჩი სახლში შენს შვილებთან.

აგამემნონი

მინდა, მაგრამ უფლება არ მაქვს, მინდოდეს და ეს მტანჯავს.

იფიგენია

დაიდუპოს ომები და მენელაოსის უბედურებები!

აგამემნონი

პირველად სხვებს დადუპავს, რაც შე მდუპავს ახლა.

იფიგენია

[660] რა დიდხანს დარჩი ჩვენთან მორს ამ ავლის სურემი!

აგამემნონი

ახლაც გვაკავებს რაღაც, ლაშქარს რომ ვერ ვაგზავნით.

იფიგენია

სად ცხოვრობენ ფრიგიელები, რას ამბობენ, მამა?

აგამემნონი

სადაც არასოდეს არ მინდა იცხოვროს მარისმა, პრიაშოსა ძემ.

იფიგენია

დიდი გზა გელის მას შემდეგ, მამა, რაც მე დამტოვე.

აგამემნონი

შენც იმავე დღეში ხარ, ჩემო ქალიშვილო, როგორც შენ მამა.

იფიგენია

ამ! რა კარგი იქნებოდა, შენთან ერთად რომ წაგვევანე გენით.

აგამემნონი

შენც მოგიწევს გადაცურვა, სადაც მამას გაიხსენებ.

იფიგენია

დედასთან ერთად გაცურავ თუ მარტო გავემგზავრები?

აგამემნონი

მარტო, მამიაა და დედის გარეშე.

იფიგენია

[670] ნუთუ მოგვე სხვა სახლი, მამა?

აგამემნონი

კმარა! გოგონებსა არ უნდა იცოდნენ ანეთი ამბები.

იფიგენია

იქნარე ფრიგიელებიდან ჩემკენ, შორეულ ნამოსყებაში წარმატების შემდეგ.

აგამემნონი

ჯერ აქ უნდა შევწინო შეაწინიარე.

იფიგენია

დიახ, შენი მოვალეობაა, დაიცვა რწმენა წმინდა ნესტის მეშვეობით.

აგამემნონი

შენც დაესწრები, განსაწმენდელ წყალთან ახლოს დადგები.

იფიგენია

საკურთხევის ირგვლივ საცევავო გუნდს შეკრავთ, მამა?

აგამემნონი

მშურს შენი ბედნიერებისა, არაფერი რომ არ იყოს შენი შვილი – გოგონებისთვის არ შეიძლება, დაინახონ – მომეცი ნელი და გაციო, [680] რადგან დიდხანს უნდა დარჩე მამაშენისგან მოშორებული. მეკრდი, ყვრიმალეები, ოქროს თმები! რამდენი ტკივილი მოგვაყენეს ფრიგიელების ქალაქმა და პელენეს! შევწყვეტ სიტყვებს, რადგან უმაღლესი ცრემლები მდის, როცა გეხები. შედი სახლში. (იფიგენია შედის). აგამემნონი მიუბრუნდება კლიტემნესტრას) პოდიშს ვითხოვ შენგან, ლედას ასულს, თუ განაპუთრებული დარდი დამტყპო, როცა ქალიშვილს ავიღეგის ვაძლიერ. მიუხედავად იმისა, რომ უნდა გაბედნიერდეს, მშობელს მაინც გული სტკივა, როცა სხვა სახლში [690] აგზავნის მამა ასულს, რომელზეც ჰყვარი უზრუნველია.

კლიტემნესტრა

მე ასე უგრძნობი არ ვარ, შემისძლია გავიგო, რადგან მეც გამოიჭირდა, გამოიყვანა ქალიშვილი ოთახიდან საქორწინო სიმღერის ხმისკენ; ამიტომ მესმის შენი; მაგრამ ჩვეულება ასეთია, ქორწინება საყოველთაო ამბავია და დრო დააშრობს ყველა ცრემლს. იმ კაცის, ვისაც ასულს გაიღვევთ, სახელი ვიცო, ეს მართალია, მაგრამ მინდა ვიცოდე მისი წარმოშავლობა და მშობლური ქვეყანა.

აგამემნონი

იყო ვინმე ეგინა, ასოპოსის ასული.

კლიტემნესტრა

რომელიც ცოლად მოიყვანა ღმერთმა თუ მოკვდავმა?

აგამემნონი

ზევსმა; შვა აიაკოსი, ენონეს ბელადი.

კლიტემნესტრა

[700] რომელ ვაჟს დაუტოვა სასახლე აიაკოსმა?

აგამემნონი

პელევსს; პელევსმა კი შერთო ნერევსის ასული.

კლიტემნესტრა

ღმერთმა მისცა თუ ღმერთების ნების წინააღმდეგ ნაიყვანა?

აგამემნონი

ზევსი შეჰპირდა და მისმა მცველმა მისცა.

კლიტემნესტრა

სად მოიყვანა ცოლად? ზღვის ტალღებში?

აგამემნონი

ქირონის სახლში, პელიონის წმინდა ძირში.

კლიტემნესტრა

იქ, სადაც, როგორც ამბობენ, კენტაურების მოდგმა ცხოვრობს?

აგამემნონი

იქ გადისადეს პელევსის ქორწილი ღმერთებმა.

კლიტემნესტრა

თეგისმა გაზარდა თუ მამამ აქილეუსი?

აგამემნონი

ქირონმა, ცუდი ხალხის ზნე რომ არ ესწავლა.

კლიტემნესტრა

[710] აჰ! ბრძენი აღმზრდელია, ხოლო უფრო ბრძენია, ვინც შვილი მიაბარა.

აგამემნონი

შენი ასულის ქმარი იქნება ეს კაცი.

კლიტემნესტრა

ვერ დაინუნებ. საბერძნეთის რომელი ქალაქია მისი?

აგამემნონი

მდინარე აბიდანოსის ნაპირზე, ფთიის ქვეყანაში.

კლიტემნესტრა

იქ უნდა ჩაიყვანო ჩვენი ქალიშვილი?

აგამემნონი

ვინც ნაიყვანს, იმის საზრუნავია ეგ.

კლიტემნესტრა

დაე, ბედნიერი იყვნენ! რომელ დღეს მოიყვან ცოლად?

აგამემნონი

როდესაც მზე ბედნიერად გახდება სახეს.

კლიტემნესტრა

წინამორბედ მსხვერპლშენიერვას დაჰპირდი გაღმერთს?

აგამემნონი

ვაპირებ; ხნორედ ამ საქმეში ვარ ახლა.

კლიტემნესტრა

[720] და შემდეგ გადაიხდი ქორწილის სუფრას?

აგამემნონი

როგორც კი შევწირავ მსხვერპლს, რომელიც უნდა შევწირო ღმერთებს.

კლიტემნესტრა

და ჩვენ სად უნდა მოვამზადოთ ნადიმი ქალბისთვის?

აგამემნონი

აქ, ჩვენი ლამაზკიოიანი არგოსული ზომალდბის წინ.

კლიტემნესტრა

მშვენიერი აუცილებლობაა! დაე, ყველაფერი კარგად მოეწყოს!

აგამემნონი

იცი, რა უნდა გააკეთო, ქალო? მე დამიჯერე.

კლიტემნესტრა

რა საქმეში? მე ისედაც შენ გემორჩილები სულ.

აგამემნონი

ჩვენ აქ, სადაც არის სასიძო...

კლიტემნესტრა

დღეს გაგრძე რა გააკეთეთ, რაც მე უნდა გაგრძელებინა?

აგამემნონი

შენს ქალიშვილს გავათხოვებთ დანაელების დახმარებით.

კლიტემნესტრა

[730] და მაგ დროს სად ვარ მე?

აგამემნონი

მიდისარ არგოსში და ზრუნავ გაუთხოვარ ასულებზე.

კლიტემნესტრა

ბავშვს გტოვებ? ვინლა დაიჭერს საქორწინო წირალდანს?

აგამემნონი

მე დაეჭერ საქორწინო ჩირალდანს.

კლიტემნესტრა

ასეთი არ არის ჩვეულება, არ შეიძლება ასე უბატონეულოდ მოაყრობა.

აგამემნონი

არ ივარგებს, მარტო რომ იყო ჯარისკაცების ბრძოში.

კლიტემნესტრა

კარგია, როცა მშობელი დედა ათხოვებს ასულს.

აგამემნონი

დიარ, მაგრამ სახლში ასულებიც არ უნდა დარჩეს მარტო.

კლიტემნესტრა

იაინი მშვენიერად არაინ დაცული თავიანთ ოთახებში.

აგამემნონი

დამიჯერე.

კლიტემნესტრა

არა, ვფიცავ! არგოსის დედოფალ ქალღმერთს! [740] წადი და გარე საქმეებს მიბედე, შინაურება – მე, რაც შეეხება ქალიშვილებს და მათს გათხოვებას.

აგამემნონი

გვიმე! ამაოდ გავისარჯე, იმედი გადამესწრა, რომ გაიარებდი ამ სახანაობისთვის ამერიდებინა ჩემი მეუღლე. ცბიერ გეგმებს ვანგობ და მახეა ვუვებ ყველაზე უფრო საყვარელ ხალხს. და მაინც, ახლა უნდა ნაივად კლერუმ კალქასთან ერთად; ქალღმერთთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, რომელმაც ასე გამაუბრებლად და დამტანჯა საბერძნეთის გამო. ბრძენ კაცს სახლში უნდა ჰყავდეს [750] კარგი და სასარგებლო ცოლი ან სულ არ უნდა მყავდეს.

გულდი

სტროფი

ბერძნების გაერთიანებული ლაშქარი ჩავა შეიარაღებული უცხოეთში თავისი ხომალდებით ვერცხლიანბრდები სიმოვისთან, ილიონში, ტროია დაბლობზე, რომელიც ასე უყვარს ფოიბოსს. იქ კასანდრა, როგორც მსმენია, გაიწლის თავის ოქროს კულებს, თავს დაფრის გვირგვინით იმშვენებს, [760] როდესაც ღმერთის საბედისწერო მისნობა შთაავონებს მას.

ანტიტროფი

ტროის გალაგანზე და მისი კედლის გაცოლებით იდგებიან ტროელები, როდესაც ზღვით შობილი ლაშქარი პრიამოსის ფარებითა და მოხდენილი გეგმებით მოადგება სიმოვისს, მოწადინებული, რომ ნაიყვანონ პელენე, ზეციური ნების და, რომელიც ზეცაში ჩასახა, პრიამოსისგან და დაბრუნონ იგი საბერძნეთში აქაველთა [770] ფარებისა და შუგების გარჯით.

ეპოდოსი

პერგამოსა, ფრიგიელთა ქალაქს, მის ქვის კოშკებს, გარს შემოერტყმება კაცთამკვლელი არესით ატროიდესი, პარიას თავს მოჰკვეთს და გათარევს, ქალაქს მინასთან გაახნორება, ცრმელებს აღურევინებს პრიამოსის [780] ასულებსა და მეუღლეს. და პელენე, ზეცის ასული, ცხარე ცრმელებით დასტრიალმარს, რომელმაც მიატოვა. და, არც მე და არც ჩემი შვილებს შვილებს არ მოგვივიდეს ის, რაც ოქრომრავალ ლიდელი და ფრიგიელ მეუღლეებს მოუვიდათ, საქათ დაზავებთან მდგომნი რომ ეუბნებიან ერთმანეთს: [790] „ვიწ ჩამადლებს ხელს ლამაზად დანაწულ თმებზე და ატირებულს ამომგლეჯს ჩემი დაქველული სამშობლოდან? შენ გამოა ეს, გრძელე“

ლიანი გედის ასული! მართალია თქმულება, რომ ღმერთმა გვა შენ ფრთოსანი ფრინველისგან, რომელმაც ზეცის გარდაიქცა მანინ ან პიერიასება თავის დელტოსებში ჩაწერეს და [800] ადამიანებს უადგილოდ მინადოცა წარმოსახვითი ზღაპრები.“

მესამე ეპისოდიონი**აქილეისი, კლიტემნესტრა**

შემოდის აქილეისი.

აქილეისი

სად არის აქილეელთა მხედართმთავარი? მსაზურთავან რაგმული მოახსენებს, რომ პელეგის ძე აქილეისი ეძებს მას კარიბქესთან? აქ, ევრიპოსთან გოგონებულები ყველა ხორ ერთ დღეში არ ვართ. ზოგმა ჩვენგანმა, ჯერ კიდევ დაუჯახებელმა, ცარიელი სახლები დატოვა და აქ, ნაპირზე, ზის, ზოგს კი ცოლიც ჰყავს და შვილებიც; გალაშქრების ასე საძინელი სიყვარული საბერძნეთს თავს დაატყდა არა ღმერთების გარეშე. [810] მე, ჩემდათავად, სამართლიანად მინდა განვაცხადო და სხვას თუ უნდა, თავისი სახელით ილაპარაკოს. რადგან დაეტოვე ფარსალის მინა და პელეგის და ისეც ამ ევრიპოსის ნაპირზე ვარ, სადღაც სიოც არ ირჩევა, მირმიდონელებს კი ვაკვებ; ისინი კი არ მასვენებენ და მეღზნებიან: „აქილეეს, რას ვუცდიეთ? რამდენ ხანს უნდა გელოდოთ ილიონში ნახვლას? გააკეთე რამე, თუ აკეთებ და ამ ატრეიდების დაგვიანებულ მოქმედებას წუ ელოდები.“

შემოდის კლიტემნესტრა.

კლიტემნესტრა

ო ქალღმერთ ნერეისის ძეო, შენი ხმა გავიგონე [820] კარავში და გამოვედი.

აქილეისი

ქალღმერთო სირცხვილო, ვის ვებედავ ამ ქალბატონს, ასეთი სილამაზით შემეკულს?

კლიტემნესტრა

არა ვასაოცარი, რომ არ იცი, ვინ ვარ, რადგან არასოდეს მანამდე არ გინახავარ; გაქება, რომ სირცხვილს მიმართე გონიერულად.

აქილეისი

ვინ ბრძანდებით? რატომ მოხვედით დანაელები ბაბაკში, ქალი ფარებით შეიარაღებულ კაცებში?

კლიტემნესტრა

ღედას ასული ვარ, ჩემი სახელია კლიტემნესტრა, ჩემი მეუღლეა მესფე აგამემნონი.

აქილეისი

კარგად და მოკლედ მიპაუზე მთავარ საკითხზე, [830] მაგრამ ჩემთვის სამარცხვინოა, დაედე და ქალებს ეყსაუბრო.

კლიტემნესტრა

დარი, რას გარიბიარ? მომეცი მარჯვენა ხელი, ეს ბედნიერი ქორწინების დახანისია.

აქილეისი

რას ამბობ? მარჯვენა მოგცე? აგამემნონისა მრცხენია, თითქმის რომ დაგაკარო, უფლება არ მაქვს.

კლიტემნესტრა

საუკეთესო უფლება გაქვს, რადგან ჩემი ასული მოგყავს ცოლად, დედოფალ ნერეისის ძეო.

აქილეესი

რა ქორწილზე ლაპარაკობ? ენა ჩამოვარდა, ქალო; თუ გონზე არ ხარ და უცნაურ სიტყვებს ამბობ?

კლიტემნესტრა

ყველას მოხდის ეს, ყველა მორცხვობს, ახალ მოყვრებს [840] რომ ხედავს და როდესაც ქორწილს შე-ასწენებენ.

აქილეესი

მე არასოდეს მითხოვია შენი ასულის ხელი, ქალბატონო, და არც ატრეიდებს უთქვამთ ჩემთვის ქორწინებაზე სიტყვა.

კლიტემნესტრა

რა უნდა იყოს ეს? შენ კვლავ გაკვირვებს ჩემი სიტყვები; მე კი გაოცებული ვარ შენი სიტყვების გამო.

აქილეესი

ქმებო, ერთად უნდა ვეძებოთ ამოსხნა; ორივენი თანაბრად მცდარ სიტყვებს ვერ ვიტყვით.

კლიტემნესტრა

როგორ! ეს რა დღეში ჩავვარდი! ქორწინება, როგორც ვატყობ, ნამდვილი არაა! რა სირცხვილია!

აქილეესი

ვილაკამ ორივეს დაგვცინა, ეტყობა; [850] ნუ მი-აქცევ ყურადღებას და იოლად გადაიტანე.

კლიტემნესტრა

ნახვამდის! რადგან არ შემძლია თვალებში პირდაპირ გიყურო, როცა მატყუარა აღმოუჩნდი და უღირსად მოვიქცევი.

აქილეესი

მეც იბავეს გეტყოდი; შევალ კარავში და შენს მეუღლეს მოვებნე.

მოხუცი

(იძახის ღია კარიდან). უცხოელო, აიაკოსის მოდგმისა, შეჩერდი! შენ გუუბნები, ქალღმერთის შობილო, და შენ, ლეიდას ასულიო.

აქილეესი

ვინ იძახის ღია კარიდან? რა შეშინებული იძახის.

მოხუცი

მონა, არ ვამყოფ ამით, მაგრამ ბედმა ასე ინება.

აქილეესი

ვისი? ჩემი არ ხარ, ჩემი და აგამემნონისა გაყოფილია.

მოხუცი

[860] ამ ქალბატონისა, კარვის ნინ რომ დგას, ტინდაროსმა აჩუქა მამამ მას ჩემი თავი.

აქილეესი

ვდავარ. მითხარი, რა გინდა, რატომ გამაჩერე?

მოხუცი

მხოლოდ თქვენ ორნი ხართ აქ, კარებთან?

აქილეესი

ღიახ, ორნი ვართ, ვისაც დაელაპარაკები, გამო-

დი სამეფო კარვიდან გარეთ.

მოხუცი

(გამოდის.) ო, ბედო და ჩემო წინასწარ ხედვე, გადაარჩინე, ვინც მინდა!

აქილეესი

ეს სიტყვა მათ იხსნის მომავალში, რა მაღალფარდოვანია!

კლიტემნესტრა

მარჯვენა ჩამომართვი, ნუ აყივნებ და თქვი, თუ გაქვს სათქმელი!

მოხუცი

ხომ იცი, ვინ ვარ და შენ და შენი შვილები როგორ მიყვარხართ.

კლიტემნესტრა

იცოი, რომ შენ დაბერდი ჩვენს სახლში სამსახურში.

მოხუცი

ასევე იცი, რომ შენს მზითვეში მიმიღო მეუღე აგამემნონმა.

კლიტემნესტრა

[870] არგოსში ჩემთან ერთად ჩამოხვედი და უდამ ჩემი იყავი.

მოხუცი

სწორია; შენდამი ვარ კეთილად განწყობილი და ნაკლებად – შენი მეუღლისადმი.

კლიტემნესტრა

ბოლოს და ბოლოს, აგვისხენი, რას ამბობ.

მოხუცი

შენი შვილის მოკვლას აპირებს მშობელი მამა საკუთარი ხელით.

კლიტემნესტრა

როგორ? გადმოაფურთხე, მოხუცო, ამბავი! ხომ არ გაგიჟდი?!

მოხუცი

ხმლით გამოსჭრის საბრალო გოგონას თეთრ ყელს.

კლიტემნესტრა

ვაი მე უბედურს! ჩემი მეუღლე ჭკუიდან შეიწალა?

მოხუცი

არა, სრულ გონებაზეა, მხოლოდ შენთვისა და შენი შვილისთვისაა შეშლილი.

კლიტემნესტრა

ვისი სიტყვით? რომელმა შურისმაძიებელმა მიიყვანა აქამდე?

მოხუცი

წინასწარმეტყველებამ, როგორც, ყოველ შემთხვევაში, კალქასმა ბრძანა, რომ გაემგზავროს ლაშქარი...

კლიტემნესტრა

[880] სად? მე უბედური და უბედური, ვისაც მამა უპირებს მოკვლას.

მოხუცი

...დარდნოსის სახლებში, რომ მენელაოსმა ხელ-
ში ჩაიგდოს პელენე.

კლიტემნესტრა

პელენეს დაბრუნება იფიგენიას უწერია?

მოხუცი

ყველაფერი იცი; მამამისი აპირებს, არტემისის
შესწიროს შვილი.

კლიტემნესტრა

ქორნილი რა შუაში იყო, მე რომ ჩამომეყვანა სახ-
ლიდან?

მოხუცი

რათა გახარებულს ჩამომეყვანა ბავშვი აქილეუ-
სისთვის მისათხოვებლად.

კლიტემნესტრა

შვილო, დასალუბავად ჩამოვედით ორივე, შენაც
და მეც, დედაშენი.

მოხუცი

შესაბრალოსი ხართ ორივე და საშინელებაა, რა-
საც აგამემნონი ზედებს.

კლიტემნესტრა

დაევიდუე უბედური, თვალები ცრემლებს ვერ
აკავებს.

მოხუცი

შვილების დაკარგვაზე უფრო მტკივნეული რა
უნდა იყოს, იტირე.

კლიტემნესტრა

[890] შენ კი ეს ყველაფერი, მოხუცო, საიდან იცი,
ვინმემ გაითხრა?

მოხუცი

დანერილი დელტოსი მომქონდა შენთვის იმ
შეტყობინებაზე, შენ რაც მიიღე.

კლიტემნესტრა

არ ნამოვსულიყავი, თუ მიბრძანებდა, ბავშვი სა-
სიკვდილოდ ჩამომეყვანა?

მოხუცი

რომ არ ჩამომეყვანა, იმ წამს შენს მეუღლეს გო-
ნება დაუბრუნდა.

კლიტემნესტრა

თუ ეგ წერილი მოგქონდა, რატომ არ მაძლევ ახ-
ლა?

მოხუცი

მენელაოსმა ნამართვა, ამ უბედურებათა მიზეზმა.

კლიტემნესტრა

ნერეისის ვაჟო, პელენესი ძეო, გესმის ეს ყველა-
ფერი?

აქილეუსი

გაევიგონე შენი ტანჯვის ამბავი, მაგრამ ჩემსას
იოლად ვერ გადავიტან.

კლიტემნესტრა

ჩემს შვილს კლავენ, შენთან ქორწინებით მოტყუ-
ებულს.

აქილეუსი

კვიცხზე მეც შენს ქმარს და იოლად გარდავქმე-
ტან ამას.

კლიტემნესტრა

[900] არ შემცრებება, რომ შენ წინაშე მუხლებზე
დავემხო – მოკვდავი ქალღმერთის შობილის წინაშე,
მამ, რას ვამაყობ? (მუხლებზე ეცემა აქილეუსის წი-
ნაშე). ვისზე უნდა ვიზრუნო, თუ არა ჩემს ბავშვზე?
დამეხმარე, ქალღმერთის შვილო, ჩემს უბედურება-
ში და იმის, ვინც შენს საცოლედ იწოდა, მართალია,
ამაოდ, მაგრამ მაინც. შენთვის გვირგვინი დავადგი
თავზე და საქორწინოდ ჩამოვიყვანე და ახლა ხმლის-
თვის ჩამომიყვანია. შენ გაიკიცხები, რომ არ დავებმა-
რე; ცოლად არ მოვიყვანია, მაგრამ შენ სიტყვით მა-
ინც იყავი ჩემი უბედური გოგოს საყვარელი ქმარი.
შენს წევრს, შენს მარჯვენას, შენს დედას გაფიცებ,
[910] რადგან შენმა სახელმა დამლუბა, ახლა მან უნ-
და გადამმარჩინოს. არ მაქვს სხვა საკურთხეველი,
რომლის წინაშე დავემხო, შენი მუხლების გარდა.
არც ერთი მეგობარი არ დგას ჩემ გვერდით. აგამემ-
ნონის ამბობი გაიგონე, რა სასტიკია და რა თავზედი;
მე, ქალი, მოვედი, როგორც ხედავ, მეზღვაურების,
თავაშვებული მეზღვაურების, ყველაფრის გამბედავ-
თა ლამქარში... თუშცა კარგიც შეუძლიათ, თუ ისურ-
ვევენ. თუ გაზედავ და ხელს გამოძინედი, გადავგრჩე-
ბით, თუ არა, ვერ გადავგრჩებით.

კორინთაოსი

უცნაური რამაა დედობა, მას აქვს ჯადოსნური
ძალა, რომელსაც ყველა დედა გრძნობს, შეუძლია,
ყველაფერი გადაიტანოს შვილის გამო.

აქილეუსი

ჩემი ამაყი სული მაღლა მიიწევს, [920] მაგრამ
ნასწავლი მაქვს ჭირში ზომიერად ნუხილი და ლბინ-
ში თავდაჭერილი სიხარული. ანგარიში ეხმარება ადა-
მიანებს, ცხოვრება სწორად წარმართო ბრძნული
წესებით. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც
სახსიამოვნოა, მეტისმეტად ბრძენი არ იყო, მაგრამ
არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გარკვეული
სიბრძნე სასარგებლოა. მე კი ყველაზე უფრო დღის-
მოსავი კაცის, ქირონის, აღზრდილმა ვინაჟღე, იოლი
ხასიათი მქონდეს. და ატრეიდელსაც, თუ კარგად
მოიქცევიან, დავემორჩილები, ხოლო თუ ცუდად, არ
დავემორჩილები. [930] მაგრამ აქაცა და ტროაშიც
თავისუფალი სული მექნება, არესს კი ჩემი შუბით
დავაშვებ. შენ კი, ქალბატონო, რომელიც ასე სას-
ტიკად იტანჯები უახლოესისა და უყვარესისგან,
მე ახალგაზრდა კაცის მთელი შემართებით, შეგიბ-
რალე და დაგეხმარები და არასოდეს არ მოკვდება
მამის ხელით ქალიშვილი, რომელიც მანამდე დასა-
ხელად ჩემს საცოლედ. რადგან მე არ დავუკავშირებ
საკუთარ თავს შენი ქმრის ხრიკებს. რადგან ესაა ჩე-
მი სახელი, თუნდაც ხმლის გარეშე, რაც კლავს მენს
ბავშვს. დამნაშავე კი [940] შენი ქმარია. მე უკვე ვერ
ვიქნები უდანაშაულო, თუკი ჩემ და ჩემი ქორწინე-
ბის გამო დაიღუპება ეს უბედური ქალიშვილი, რო-
მელსაც თავს დაატყდა სასტიკი და აუტანელი უბე-
დრება. მე ვიქნები არაოცებელში ყველაზე უარესი,
მე ვიქნები არავინ და მენელაოსი ჩაითვლება კაცებ-
ში, მე ვიქნები არა პელენესის ძე, არამედ შურისგების

აგი სულე, თუკი ჩემი სახელით მკვლელობას ჩაიდნეს შენი მეუღლე. არა, ვფიცავ ნერგვას, რომელმაც თავისი ტალღების საზღვაო სახლში შვა და აღზარდა თეტისი, რომელმაც მე შშვა, [950] ვერ შეხვება მეუფე აგამემნონი შენს ქალიშვილს. თითსაც კი ვერ დააკარგვს მის კაბას. თუ არადა სიძილისი? ბარბაროსთა ეს სასაზღვრო ქლაქი, საიდანაც წარმოიშვა ამ მეთაურთა მოდგმა, იქნება ქალაქი, ხოლო ფთისის სახელი არასოდეს იქნება ნახსენები. მწარე სამსხვერპლო ქერი და ხელის განმწმენდი წყალი უნდა მოაშალოს მსხვერპლმწიფისთვის მისიანმა კალქასმა. რა კაცია მისიანი, რომელიც ცოტა სიშარბილესა და ბევრ ტყუილს ამბობს შემთხვევით და თუ არ გაუმართლებს, თვითონაც იღუპება? ამ ქორწინების გამო არ ვამბობ ამას – ათი ათასი ქალიშვილი [960] ნადირობს ჩემს სარეცელზე – არა! მაგრამ მეუფე აგამემნონმა შეურაცხყოფა მომაყენა. მას ჩემთვის უნდა ეეთხა ჩემი სახელის გამოყენების ნებართვა, რომ ქალიშვილი ჩამოეყვანა, რადგან კლიტემნესტრამ სწორედ ჩემთან ნამოყვანა თავისი ასული. მე დავუთმობდი ბერძნებს, თუკი ამაზე იქნებოდა დამოკიდებული ჩვენი წასვლა ილიონში; მე არასოდეს არ ვუღალატებდი ჩვენი ჯარისკაცების საერთო საქმეს. ახლა კი არავინ ვარ მხედართმთავრების თვალში, მათ არ აღადგებთ, კარგად მოვიქცევი თუ ცუდად. [970] მალე ეცოდინება ჩემს ხმაღს, სანამ ფრიგიას მიიღწევს, მკვლელობის სისხლიანი ლაქებით დაიფაროს, თუ ვინმე გამომატყებს შენს ქალიშვილს. მაშ, დამშვიდდი; ღმერთივით დიდად მოგეჩვენე, ღმერთი არ ვარ, მაგრამ შენთვის ვაგზებდი.

კორინთიოსი

თქვი, მკვლეცის ძეო, შენი ღირსი და ზღვის დამონისა, წმინდა ქალღმერთისა.

კლიტემნესტრა

აჰ! როგორ მეგაქო გადაჭარბების გარეშე, თან ისე, რომ არ დავაკლო და არ დავკარგო შენი ზონყალება. პატიოსანი აღმამანები, როდესაც მათ აქებენ, რაღაცნაირად [980] შეიძლება მაქებრებს, თუ მეტისმეტად აქებენ. მრცხენია, რომ თავს გაბრალებდნენ მწარე სიტყვებით ჩემი გასაჭირის გადმოცემით, როცა შენ არ გეხება ჩემი უბედურება. მაგრამ კარგ კაცს ეს შეეფერება, რომ დაეხმაროს უბედურს, თუნდაც თვითონ არ იყოს ამასთანავე გაუმართო. მაშ, შეგვიბრალე, რადგან მართლაც შესაბამისი ვართ; ჯერ ერთი, იმედი გამიცრუდა, შენ რომ სასიძოდ მეგულეობდი, შემდეგ, ჩემი შვილის მკვლელობა, მოსალოდნელი ქორწინების ნაცვლად, ავის მომხანავებელი ნიშანი იქნება შენთვის, რომლისგანაც თავი უნდა დაიცვა. [990] დასაწყისშიც კარგად თქვი და ბოლოშიც; რადგან თუ შენ ისურვებ, ჩემი ქალიშვილი გადარჩება. გინდა, მოვიდეს და მავედრებლად მუხლებში ჩაევიარდეს? ქალწულს არ შეეფერება, მაგრამ შენ თუ მიგაჩნია, მოვა, თავისუფლად დაბადებულის მოკრძალებული იერი. თუ ჩემი ვედრება საკმარისია შენთვის, დარჩეს სახლში; პატივსაცემს პატივი მიეცეს; ჩვენ უნდა დავიცვათ მისი თავმდაბლობა, რამდენადაც შესაძლებელია.

აქილეუსი

ნუ გამოიყვან ქალიშვილს ჩემს დასახლად, არ დაგიმსახუროთ საყვედურო უმეტესათაგან, ქალე; [1000] ერთად თავმოყრილ ლაშქარს, რომელსაც აშშინაო საქმეები არ გაჩნია, უყვარს ბოროტი ქორი და ასიტყვაობა. ბოლოს და ბოლოს, შემევედრება მე თუ არა, იმავე შედეგს მიიღწევ; რადგან მე თვითონ ვარ გარეული ამ საქმეში და ვიბრძოლებ, რომ განსაცდელისგან დაგისნათ. ერთი კი მოისმინე და იცოდე: ტყუილი არ მითქვამს; თუ ტყუილს გეტყვი და ყალბი დაპირებით აგიგდებ, დაე, მოგეცდე, ხოლო თუ ქალიშვილს ეხისნი, ნულარ მოგეცდები.

კლიტემნესტრა

დაილოცე, რომ ყოველთვის ეხმარები განსაცდელში ჩაგარდნილებს!

აქილეუსი

მაშ, მოისმინე ახლა, რათა საქმე კარგად წავიდეს.

კლიტემნესტრა

[1010] რას გეთავაზობ? რადგან მოსმენა მმართებს.

აქილეუსი

კიდევ ერთბელ ვცადოთ დავარწმუნოთ მამამისი, უკეთ იაზროვნოს.

კლიტემნესტრა

მხდალი ვინმეა, მეტისმეტად ეშინია ლაშქრის.

აქილეუსი

მაგრამ სიტყვებს შეუძლიათ დაამარცხოთ სიტყვები.

კლიტემნესტრა

ფუჭი იმედია, მაგრამ მითხარი, რა უნდა ექნა.

აქილეუსი

ჯერ შევედრე, არ დახოცოს შეილები; თუ გაჯიუტდა, მოდი ჩემთან. მაგრამ თუკი დაითანხმებ, ჩემთან მოსვლა არ იქნება საჭირო; ისედაც ხელთ გექნება ხსნა. მეც საუკეთესო მხრივ უნდა წარედგე მეგობრის ნიშნად, [1020] ლაშქარიც არ გამოცხადებს, თუ ყველაფერს ძალის გამოყენების გარეშე მოგაგვარებ. საქმე თუ კარგად წავიდა და ყველა გაიხარებთ, მენც და შენი მეგობრებიც, ჩემი ჩარევის გარეშეც.

კლიტემნესტრა

რა გონიერულად თქვი! გაგაკეთებ, როგორც შენ მიგაჩნია სწორად. მაგრამ თუ ისე არ მოხდა, როგორც მინდა, სად გნახო ისევ, სად? უნდა მოვიდე მე უბედური, რომ ვიპოვო შენი უბედურებასთან მებრძოლი ხელი?

აქილეუსი

ყურადღებით ვიქნები და როცა საჭირო იქნება, დავიცავთ, ვერავინ უნდა დაგინახოს, რომ თავზარდაცემული დადიოდე [1030] დახალული ლაშქარის გველით; არ შეარცხივო მამამენის სახლი, რადგან ტინდაროსს არ დაუშაბურებია, მასზე ცუდი თქვან, დიდი კაცი იყო ბერძნებში.

კლიტემნესტრა

ასეა. შიბრბანე, შენი მონა უნდა ვიყო. თუ არიან ღმერთები, მენ შენი სამართლიანობისთვის გადავიხადიან ისინი, ხოლო თუ არ არიან, რა საქირა გარჯა?

აქილევსი და კლიტემნესტრა გადიან.

გუნდი

სტროფი

რა საქორწინო სიმღერა გაისმა ლიბიურ ფლეიტაზე, მოცეკვავეთათვის ძვირფას კითარასა და აიონისზე შესრულებული მუსიკის თანხლებით? [1040] იმ დღეს, როდესაც პელიონის ფერდობზე პიერისე-ბის ლამაზობიანმა გუნდმა ოქროსანდლიანი ფეხი დაადგა მიწას და მოვიდა პელევსის ქორწინზე, ღმერთების ნადიმზე, ტკბილი ჰანგები შეაგება და შეაქო თენისა და აიაკოსის ძე, კენტარების ბორცვზე, პელიონის ტყეში. დაგრდაელი ვაჟი, [1050] ზევისს საერეთის საყვარელი განიცხრომა; ფრიგიელი განიმედესი, კრატერის ოქროს სიღრმეებში შეზავებულ ღვინოს უსხამდა სტუმრებს. დამარწმუნებლად თეთრ ქვიშაში, სრემი დატრიალებული საქორწინოდ ცეკვავდა წერცის ორმოცდაათი ქალიშვილი.

ანტისტროფი

ფიჭვის ფოხებზე დაყრდნობილი და ფოთლების გვირგვინით შემკული მოვიდა ცხენოსან კენტართა მხურვალე ჯგუფი [1060] ღმერთების ნადიმზე, ბაკქიას კრატერიდან ღვინის დააღვავდა და ქირონმა მამალა შესასხა: „წერცების ასული, შენ შობ ვაჟს, თხილის დიდ სინათლეს“, მისამა, ფიონისისგან შთაგონებულ ხელობაში დაოსტატებულმა მოგვცა მისი სახელი. იგი მირმიდონელ მუბთანგეთან ერთად მივა პრიამოსის სახელოვან მიწაზე, [1070] გადაბუგავ მას, მისი სხეული იქნება ჰეფესტოსის გამოგვიდად ოქროსი საჩურველში, ეს იქნება ქალღმერთი დედის, თეტისის საჩუქარი, რომელმაც იგი შეა. მაშინ ღმერთებმა დალოცეს ქორწინება კეთილშობილი პატარძლისა, რომელიც იყო პელევსის საცოლე და ნეტრების შირველი ქალიშვილი.

ეპოდოსი

[1080] შენ კი არგოსელები გვირგვინს დაგადგამენ, დაგინავენ ლამაზ თმის კულულებს, როგორც ხალხები ურჯი დეკულს, ჩამოყვანილ მთის კლდოვანი ქვაბულიდან და სისხლით მოხვედრიან მოკვდავს ყელს. არ გაზრდილხარ სალამურისა და მწყვეტის სტეფის თანხლებით, დედის მხარეს გაიზარდე, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქორწინოდ მორთულიყავი ინაქოსის რომელიმე შვილის პატარძლად. როგორ ექნება ახლა მოკრძალებასა და [1090] სათროებას რამე ძალა, როდესაც ბინიერებას აქვს ძალა, ათნოვება მოკვდავთაგან უფლებებელყოფილი, უკანონოება მძლავრობს კანონზე, მოკვდავები კი ერთად ვერ უპირისპირდებიან ღმერთების გულისწყრომას?

მეთხე ეპისოდოინი

კლიტემნესტრა, აგამემნონი

კლიტემნესტრა

(გამოდის კარვადან). კარვადან გამოვედი, რომ მოვძებნო მკვლელი, რომელიც კარვა ხანია, არ არის

კარავში. [1100] ჩემ საბრალე ქალიშვილს (კრემის) ღვინო და გოდების მეტი არავფერი შეუძლია მას შემდეგ, რაც გაეცო, რომ მამა მოკვლას უპირებს. (თვალს მოჰკრავს აგამემნონს). როგორც ჩანს, შორს არ ყოფილა წასული, რადგან აგერაა აგამემნონი, რომელიც მალე საკუთარი შვილებისადმი დანაშაულს ჩაიდებს.

აგამემნონი

ლუდას ასული, კარგია, რომ კარვის გარეთ გიზოლუ, უნდა გითხრა ჩვენი ქალიშვილის გარეშე ისეთი სიტყვები, როგორიც არ უნდა ისმინოს საქორწინოდ გამზადებულმა ასულმა.

კლიტემნესტრა

რა ხდება, რა ხელსაყრელი დრო დაიჭირე?

აგამემნონი

[1110] გამოუშვი ბავშვი კარვადან, რომ შეუერთდეს მამა, რადგან განსაზღვრული წყალი უკვე გამზადებულია, ქერის მარცვლებიც ორი ბელთი ხასროლია გასასმენდელ ცეცხლში და ქორწილის წინ დასაკლავი დეკულეებიც მოყვანილია ქალღმერთის საპატრიცემულოდ – არტემიდაისთვის, მათი შვიი სისხლი ჭავლად იფეთქებს.

კლიტემნესტრა

ლამაზად ლაბირიკობ, სიტყვები კარგია, საქმე კი, არც ვიცი, როგორ უნდა შევაფასო შენი ლამაზი ლაპარაკი გამოდი, ასული, გარეთ – რადგან იცი მშვენიერად, რას აპირებს მამამენი – კაბის კალთაში ჩახივი და გამოიყვანე ორგატეციც, შენი ძმა, შვილი. [1120] შეხედე, მოდია, გემორწმუნება. დანარჩენს ვიტყვი მამი და ჩემი სახელთაც.

აგამემნონი

შვილო, რატომ ტირი, ტკბილად რატომ არ იყურები? რატომ დავისრია მიწისკენ თვალები და კაბა რატომ გავცს თვალზე აფარებულ?

კლიტემნესტრა

აჰ! რომელი უბედურებით დავიწყო სათქმელი? რადგან თავიცი, ბოლოშიცა და შუაშიც ყველგან უბედურება მაქვს.

აგამემნონი

რა ხდება? ყველა ერთმანეთს მკვებართ, დაბნეულობა და განგაზი ყველა თვალში.

კლიტემნესტრა

ჩემო მკვლელე, გულწრფელად მიპასუხე, რასაც გკითხავ.

აგამემნონი

[1130] თხოვნაც არ არის საქირი, თვითონაც მიწა, რომ მკითხოთ.

კლიტემნესტრა

შენი და ჩემი ბავშვის მოკვლა გინდა?

აგამემნონი

აჰ! რა სისასტიკეს ამბობ! რა უსამართლო ეგვია!

კლიტემნესტრა

დანყარდი და, უპირველეს ყოვლისა, კითხვაზე მიპასუხე.

აგამემნონი

შენაც რამე გონივრული მკითხე და გონივრულ

პასუხს გაიგონებ.

კლიტემნესტრა

მე სხვა კითხვა არ მაქვს, სხვა პასუხებით არ მომ-
ცა-

კლიტემნესტრა

ო, დედოფალო მოირა და ბედო, ჩემი დამომოსი!

კლიტემნესტრა

დიარ, ჩემიც და მისიც, სამივეს ერთი ცუდი ბედი
გვაქვს.

აგამემნონი

ვის მოვეცეცი უსამართლოდ?

კლიტემნესტრა

შენ მეკითხები? შენი ეს გონიერება გონიერული
არაა.

აგამემნონი

[1140] დავილუხე, ჩემი საიდუმლო გაცემულია!

კლიტემნესტრა

ყველაფერი იცი, გაგონილი მაქვს, რას მიპირებ,
რომ გამიკეთო. შენი ღუმელი და შენი ობგრა არის
აღიარება. თავს ნუ დაიდლი მოყოლით.

აგამემნონი

ნახე, ვლუშვარ; რა საჭიროა ტყუილი გაითხარ და
თავიწოდება დავუმატო უბედურებას?

კლიტემნესტრა

ახლა მისმინე: რადგან გაგაშთიშელებ სიტყვებს და
აღარ გამოვიყენებ უადგილო გამოცანებს. უპირვე-
ლეს ყოვლისა – და ეს არის ჩემი პირველი საყვედური
– ცოლად მომიყვანე ჩემი სურვილის წინააღმდეგ და
ჩაღის გამოყენებით, [1150] ჯერ ქმარი ტანტალოსი
მომიკლა და ჩემი შვილი მინაზე დააწარცხე, როდე-
საც იგი მზეცური ძალადობით მკერდიდან მომგლი-
ჯე. შემდეგ ზეუსის ორი ძე, ჩემი ძმები, ცხენებით მო-
ივლარეები შეთან საომრად წამოვიდნენ; მაგრამ
ტინდაროსმა, ჩემმა მოხუცმა მამამ, გადაგარჩინა,
მავლარებლად რომ მიხვედი და ჩემი სარცელი გერ-
გო. ამის შემდეგ შეგიირადი შენ და შეგიძლია მოწ-
მედ მომიყვანო, რომ მე ვიყავი უსაქლო მუღლად შენ-
თვის და შენი ოჯახისთვის, ულაღალო, [1160] შენს
სახლზე მზრუნველი, ასე რომ, შემოსულაც გიხარო-
და სახლში და გასულსაც შედინერი იყავი. იშვია-
თი ნადავლია, რომ ქმარს ერგას ასეთი ცოლი, უჯარ-
გისი ცოლი კი არ არის იშვიათი. გიშვი სამი ქალიშვი-
ლი და ერთი ეს ვაჟი, რომელთაგან ერთს შენ უფუ-
ლოდ მართმევ. ვინმემ რომ გკითხოს, რის გამო კლაე
მას, თქვი, რას ეტყვი? თუ მე ვთქვა შენს ნაცვლად?
„რათა მენელასმა მიიღის ჰელენე.“ რა ღირსეული
გაცევაა, გადაიხადე ცუდ ქალში ბავშვების სი-
ცოცხლე! [1170] ყველაზე უფრო საძულველად ვიფიქ-
რობთ ყველაზე უფრო საყვარლის ფასად. და ჯერმი
რომ მიდიხარ და სახლში მტოვებ, და თუ იქ მოგინა
დეიდანს ყოფნა, სახლში მე გულის არ შექნება, რო-
გორ გგონია? როდესაც ამდენ ცარიელ სკამს დავი-
ნახავ და ჩემი შვილის მიტოვებულ თითებს, დავჯდები
მარტო თვალტრემილიანი, გაუთვალავლად ჩილზე
მტკლივარე: „ჩემო შვილო, შენ დავლავა მშობელმა
მამამ, საკუთარი ხელით, არა სხვაგვარად და არა
სხვისი ხელით, ასეთი დებრუნება დაიტოვა სახლში.“

[1180] ასე რომ, მოკლე საფუძველი შეჩვენა მხო-
ლოდ მესა და დარჩენილ შვილებსაც, რომ შენ მივი-
ლოთ შეც, როგორც შეგგუერება. ღმერთების სახე-
ლით, ნუ მაიძულებ, სასტიკი გავხდე შენდამი, თუ-
თონაც ნუ გახდები. იყოს! შვილს რომ შესწირავ, შემ-
დეგ რა ღოცვას იტყვი? რა სიკეთეს გამოსთოვ შენ-
თვის, როცა საკუთარ შვილს მოკლავ? სახლში ხვე-
ლად დებრუნებას სახლიდან სამარცხვინო წასვლის
შემდეგ? ჩემთვის სამართლიანი იქნება, მენელასი ჯარ-
გი ვისურვო ღოცვაში? აშკარად უფუნურებად არ
მიგვანია ღმერთები, [1190] თუკი მათ ვთხოვთ, კი-
თილი თვალთ გადმოხედონ მკვლელებს? არგოსში
რომ ჩამოხვალ, აპირებ, ჩახუტო შეიღებს? ხომ არ
გაქვს ამის უფლება? ბავშვებიდან რომელი შეგე-
ლეებს თვალს? შენ ხომ უნდა ჩახუტო, რომ ნურ
მოკლა ამას უნდა ფიქრობდე, თუ შენი ცოლი ასა,
რომ კვერთხი გეჭიროს და ლაშქრის სათავეში მზა-
ვებდე? სამართლიანი რომ იყო, ეს უნდა უთხრა არ-
გოსელებს: „გნებავთ, აქაცელეობ, ფრიგიის მინაზე
გაცურავ? წილივარამ გადაწყვიტოს, ვისი ქალიშვი-
ლი მოკვდეს.“ ეს იქნებოდა სწორი შენთვის, მაგრამ
შენ აირჩიე [1200] საკუთარი ქალიშვილის მსგერ-
პლად შენარცე დანაშაულისთვის; ან მენელასი უნ-
და მოკლა ჰერმიონე დედამისისთვის, ეს ხომ მათ
საშვე იყო! ახლა, პირიქით, მე, რომელმაც არ შე-
ბლაღე შენი სარცელი, უნდა დაგკარგო ჩემი შვილი,
ხოლო დამნაშავე მუღლად უნდა შეიწარხუნოს თა-
ვისი ასული და ის სპარტამი, საკუთარ სახლში, ბედ-
ნიერად იტოვებებს. თუ მართლად არ ვამბობ, მის-
სუხე; მაგრამ თუ სწორადაა ნათქვამი, ნუ მოკლა
შვილს, რომელიც ჩემიკა და ბრძენი იქნება.

კორინთიოსი

დაუჯერე! შვილის გადარჩენაში მშობლები გა-
ერთიანდები, [1210] აგამემნონი, ამის წინააღმდეგ ვერც
ერთი მოკლავი ვერ იქნება.

იფიგენია

მე რომ მქონოდა ორფეუსის მეჭერმეტყველება
და სიმღერით დამქონწუხებინა კლდეები, გამოძო-
ლოდნენ, ან სიტყვებით მომეჯადოებინა, ვისაც მო-
ვისურვებდი, ამ ხელოვნებას მივმართავდი; ახლა კი
მთელი სიბრძნე, რაც მაქვს, ჩემი ტრეზლება – ეს
ყველაფერია, რაც შემეძლია. მავლარებლად გეხვევა
მუხლებზე ჩემი სხეული, რომელიც ამ შენმა ცოლმა
გიშვა. ნუ დამლუშავ უდროოდ, რადგან ტუბილია ხი-
ნათლის ცეკრა, მონისქევერთის ნახვას ნუ მაიძულებ
[1220] მე პირველმა გიწოდე მამა და შენ პირველმა
მიწოდე შვილი; პირველი გვეცეკი მუხლებზე, პირვე-
ლი მოგვეფერე და პირველს მომიყვარე. შენი სიტყუ-
ბა ეს იყო მამამ: „ნუთუ გნახავ, შვილო, ბედნიერ
ქმრის სახლში მცხოვრებას და ახვარებულს, როგორც
ჩემს შვილს შეეფერება?“ მე კი, შენა ნიკას ვეჩუბო-
დი ხელით, როგორც ახლა ვეჩუბი და ამას გუგუბნებო-
დი: „და მე რა უნდა გაგიკეთო? მოხუცებული ჩემს
სახლში უნდა მიგოლო, მამა, [1230] შენს ზრუნვასა და
აღზრდას ვუპასუხო შენზე ზრუნვით?“ მე მასხუს
ყველა სიტყვა, რასაც ვამბობდი, შენ კი დაივიწყე
და მოკვდას მაიწირებ. არა, ელოფისა და ატრეისა,
მამაშენის სახელით, და ამ დედაჩემის, რომელმაც
ტყვილით მშობა და ახლაც მეორედ იტანვება რა
მაცემირებს მე პარისისა და ჰელენეს ქორწინებას-

თან? მისი ჩამოსვლა რატომ უნდა მოუხდეს, მაშინ? წმინდე; ერთი მზერა და ერთი კოცნა მაჩუქე, რომ სიკვდილის წინ ეს მაინც შეიძლება [1240] სახსოვრად, რაჟი ჩემს სიტყვებს არ უჯერავ. (მაღლა სწევს ჩვილი არქიტექტს). მაშო, ჯერ მაქარა ხარ, რომ დავინარო, ვისაც უყვარხარ, და მაინც იტორ ჩემთან ერთად, გვევდრე მაშას, არ მოვიკლას და; ჩვილსაც კი აქვს უხედავობის შეგრძნება. ნახე, უსიტყვოდ გვევდრე- ნა, მაშა. დამინდე, შეიბრალე ჩემი სიცოცხლე! დიას, ნიკაზე გვევდრებით ორნი, რომლებიც გიყვარს, ერთი ჩვილი ბავშვია და მეორე უკვე დიდი. ყველა ჩემს შედარას ერთ სიტყვამი გავგარბინებ: [1250] უყუ- როს სინათლეს, - ადამიანისთვის ყველაზე ტკბილია, ქვემოთ - არაფერია: ყველა შენლილია, ვინც სიკ- ვადეს მიეღღეს. ქირში სიცოცხლე სჯობია ლამა- ხად სიკვდილს!

კორინთიონი

უბედურო შელენე, შენი და შენი ქორწინებების ბრალია, რა დიდი ბრძოლაც მოუხდათ ატრეიდესებს შეილებთან.

აგამემნონი

ვიცი, როდის უნდა შევიბრალო და როდის არა და შეილებიც მიყვარს, შემოიღო ვიწებოდი, რომ არ შევარბოდა. ჩემთვის სამიწელია ამის გაბედავა, ააულო, სამიწელია უარიც, რადგან ამის გაკეთება მშარბობს. ხედავ, რამოდენაა ეს საზღვაო ლაშქა- რი, [1260] ბრინჯაოთი შეიარაღებული ბერძენი მკ- ირნივრც რამდენი არიან, ისინი ეერც ილიონის კომ- ქებს მოადგებიან, თუ შენ არ შეგწირავ, მაგორც ნისამა კალქასმა თქვა, ვერც ტროის სახელოვან ციხესიმაგრეს დაიბოხებ. ბერძენთა ლაშქარს და- უცილებელი სურვილი დაეუფლა, გაეცუროს რაც შე- იძლება სწრაფად, ბარბაროსთა მინახე და შენგვი- ტოს ბერძენი ცოლების მოტაცება. არგოსში დარ- ჩენილ ქალიშვილებსაც მომიკლავენ, თქვენც დაგ- ზოტავენ და მეც, თუ ქალიშვილების ბრძანებებს არ შევასრულებ. მეწელაოსმა კი არ დამიმონა, შეილო, [1270] მე მის სურვილს კი არ მიყევია, არამედ აა- ბრძინეთაა, რომელსაც სჭირებდა და მინდა თუ არა მინდა, უნდა შეგწირო, ამ აუცილებლობას ვერ ვე- წინაღმდეგები. რადგან იგი თავისუფალი უნდა იყოს, ზნეზე იქნება თუ ჩემზე დამოკიდებული ეს; ბერ- ძენები ვერ დაუშვებენ, რომ ბარბაროსები მათ ცო- ლებს სტაცებდნენ.

აგამემნონი გადის.

კლიტემნესტრა

ო შეილო, ო უცხო ქალებო, ვაი მე, შენი სიკვდი- ლის გამო! გაიქცა მამაშენი და შენ პადესა გადაგცა.

იფიგენია

ვაიმე, დედა! ერთი და იგივე [1280] გოგება გვარ- გუნა ორივეს ბუდმა. აღარაა ჩემთვის დღის სინათლე და მზის ეს ნათება. ოჰ, ოჰ! ფრიგიის თოვლიანი ტყე- ები და იდის ბორცვები, სადაც პრიამოსმა ბედის ანა- ბარა მიატყვა ნაზი ჩვილი, მოშაორა რა დედას, სა- სიკვდილო ბედისათვის, პაროსი, რომელსაც იდის შეი- ლი, [1290] იდის შეილი ენოდა, ენოდა ფრიგიელთა ქალაქში. ნეტავ არასოდეს დასაბლებულიყო ჯოგბს ალზრდელი მსყვესი ალექსანდროსი ან აქარა ნაკადებს

შორის, სადაც ნიმფების წყაროებია და მათი ღვთა- ლებით დამშვენებული მღელეო, რომელიც ვეფის ვარდი და სუშულო ქალღმერთების თავმოსაყრე- ლად. აჰ ოდესღაც [1300] მოვიდნენ პალასი, ცნებრი კიპრისი, შერა და შერმესი, ზეფის შიკრიკი. ერთი ტრფობით მაყი - კიპრისი, მეორე შუბით - პალასი, შერა კი მეუფე ზეფისის სამეფო სარეცდით, სათხოვენ, გადაწვევით დაეა მათი სილამაზა შესახებ და ჩემი სიკვდილი, [1310] რომელიც ბერძნებს ილიონის გაზას გაუხსნის მას შემდეგ, რაც არტემისი მიიღებს ქა- ლიშვილს მხებერალად. ო, დედა, დედა! ის, ვინც ბო- როტი შელენე შვა ამ მწუხარე სიცოცხლისთვის, წა- ვიდა და მარტო დამტოვა. ო, რა უბედური ვარ! მწა- რე, მწარე ნიშანი იყო ჩემთვის შელენე, ვკვდები, ვო- ლუპები უწმინდური მამის უწმინდური ხმლით. ნე- ტავ, არასოდეს არ მიეღო ავლისს თავის ნავსაყუ- დელში [1320] ბრინჯაოსცხვირისანი გემების კიროები, რომლებიც ტროისკენ მიიჩქარის, ნეტავ არასოდეს დატყუარა ზეფს ქარი ევრიპოაზე, საბრძოლვეო ქა- რი, რომელმაც განსხვავებული გრძობა აღბრა სხვა- დისხეი ადამიანში, ზოგს გაუსხარდა და გასაცურად მოეშადა, ზოგი დამწუნდა, ერთი დასაწყისისთვის გაბეწვევნე და მეორენი - ხანგრძლივი ლოდინის- თვის. [1330] უბედურებით საესეა ადამიანთა მოდ- გმა, მართლაც უბედურებით; ასეა დადგენილი, რომ კაცო უბედური უნდა იყოს. აჰ, აჰ, რა დიდი განსაც- დელი, დიდი ტკივილი მოუტანა დანაელებს ტინდა- რეოსის ასულმა!

კორინთიონი:

მებრალეები, ამ უბედურებაში რომ ჩავარდი, რომელსაც არ იმსახურებდი!

იფიგენია

მხოველო დედა, ახლოს ვხედავ ადამიანთა ჯგუფს.

კლიტემნესტრა

ეს ქალიშვირთის ვაჟია, შეილო, ვისთანაც აქ ჩა- მოხვედი.

იფიგენია

[1340] (კარვის შიგნით მყოფი მიმართავს.) გა- მიღეთ კარვის კარი, მსახურებო, რომ შევძლო და- მალვა.

კლიტემნესტრა

რატომ გარბიხარ, შეილო?

იფიგენია

აქლევსისი დანახვისა მრცხენია.

კლიტემნესტრა

მაგვრამ რატომ?

იფიგენია

ქორწინების უიღბლო დასასრულმა ხირცხილთი დამფარა.

კლიტემნესტრა

იმ ვითარებაში, რომელშიც აღმოჩნდი, დახვენი- ლობის დრო არ არის. დარჩი: ეს მოკრძალებულობა შევიწახიოთ იმ დროისთვის, როდესაც სიამაყე იქნება ნებადართული.

აქილევი

ო, უბედურო ქალო, ლედას ასულა!



კლიტემნესტრა
სწორი სახელია.

აქილევსი
საშინელი ყვირილი ისმის არგოსელებში.

კლიტემნესტრა
რა ყვირილია? მითხარი.

აქილევსი
შენს შვილზე.

კლიტემნესტრა
ცუდის ნიშანია შენი სიტყვა.

აქილევსი
მისი შენიერა აუცილებელიაო.

კლიტემნესტრა
ამის საწინააღმდეგოს არავინ ამბობს?

აქილევსი
მე თვითონაც განსაცდელში ჩავყარდი.

კლიტემნესტრა
რა განსაცდელში, უცხოელო?

აქილევსი
[1350] ჩაქოლების.

კლიტემნესტრა
რომ ჩემი ქალიშვილი არ გადაგერჩინა?

აქილევსი
სწორედ მაგიტომ.

კლიტემნესტრა
ვის გაბედა, თითი გამოეშვირა შენკენ?

აქილევსი
ყველა ბერძენმა.

კლიტემნესტრა
მირმიდონელთა ლაშქარი ხომ შენ მხარესაა?

აქილევსი
ესენი პირველები იყვნენ ჩემ წინააღმდეგ.

კლიტემნესტრა
ეტყობა, დავიღუპეთ, შვილო!

აქილევსი
მე კი ქორწინების მონა მინადეს.

კლიტემნესტრა
და რა უპასუხე?

აქილევსი
რომ ჩემი საცოლდე არ მოკლან.

კლიტემნესტრა
სამართლიანია.

აქილევსი
მამამისი მის ხელს დაჰპირდა.

კლიტემნესტრა
და არგოსიდან გამოაგზავნინა.

აქილევსი
მაგრამ ყვირილით გადაფარეს.

კლიტემნესტრა
უმრავლესობა ხომ საშინელი უბედურებაა.

აქილევსი
მაგრამ მე მაინც დაგეხმარები.

კლიტემნესტრა
და მართო მრავალს შეებრძოლები?

აქილევსი
ხედავ ამ ხალხს, ჩემი აღჭურვილობა რომ ზო-
აქვთ?

კლიტემნესტრა
დაილოცე კეთილი განზრახვისთვის.

აქილევსი
[1360] ნარმატებას მივაღწევ.

კლიტემნესტრა
ჩემს შვილს არ მოკლავენ?

აქილევსი
ჩემი თანხმობის გარეშე ეერა.

კლიტემნესტრა
თუ ვინმე მოვიდა და ხელი ჩაავლო ასულს?

აქილევსი
ათი ათასი, ოდისეისს მეთაურობით.

კლიტემნესტრა
სისიფოსის მოდგმის?

აქილევსი
თვითონ ის.

კლიტემნესტრა
თავისი ნებით თუ ლაშქრის ბრძანებით?

აქილევსი
ათი არჩენითა და საკუთარი ნებით.

კლიტემნესტრა
საზიზღარი არჩევანია, სისხლიანი.

აქილევსი
მე უნდა შევანერო.

კლიტემნესტრა
ხელს ჩაავლებს და წაიყვანს მისი ნების გარეშე?

აქილევსი
დიახ, მისი ოქროს თმების სახელით.

კლიტემნესტრა
რა უნდა ვქნა მაშინ?

აქილევსი
ქალიშვილს არ მოშორდე.

კლიტემნესტრა
თუ ამის გამო არ მოკვდება.

აქილევსი
მაგრამ აქამდე მივა საქმე.

იფიგენია
დედა, უსმინე ჩემს სიტყვას, რადგან ვხედავ რომ
სულ ამაოდ ხარ განრისხებული საკუთარ [1370] მე-
უღლეზე. ძნელია ჩვენთვის, წინააღმდეგობა გავნი-
ოთ, როცა ეს შეუძლებელია. ჩვენი მადლობა ეკუთვნის
ამ უცხოელს დახმარებისთვის მზადყოფნის გამო;
მაგრამ ასევე უნდა დაინახო, რომ მისი სახელი ვერ

გადაგვარების ღონისძიებაზე, არც ჰყენ გვერდებზე რამე და ისიც საფრთხეში აღმოჩნდება. მომისმინე, დედა, ვიფიქრე და აი, სად მივდი: ჩემი სიკვდილი გადამწყვეტილია, ამიტომ მინდა, ეს სახელოვნად გააკეთო და ყველა მხალისი გრძნობა გულიდან ამოვიღო. აქეთ მომართე, დედაჩემო, შენი ფიქრები და ჩემთან ერთად აწონ-დანონე, რამდენად სწორად ვლაპარაკობ. ჩემდამი მომართული ახლა მთელი მსოფლიო საბერძნეთის მხერა, ჩემსა და მამის დედა-ბუღი გემების გამგზავრება და ფრიგიელების გაზიდვებზე; [1380] ჩემს ძალაუფლებაშია, დაეხმონ ან თუ არა თავს ბარბაროსები ბედნიერ საბერძნეთს, კიდევ დადგება თუ არა დედა, როდესაც ისინი გადამწყვეტენ, მოიტაცონ მისი ქალები, თუკი ერთხელ სიკვდილით არ დაისჯებიან პარისის მიერ პელონეზე დაქორწინების გამო. ამ განთავისუფლებაზე უზრუნველყოფდა ჩემი სიკვდილი და ჩემი დედა, რომ საბერძნეთი ვაგვთავისუფლებდ, ბედნიერი გახდება. გარდა ამისა, უფლება არ მაქვს, ჰეტისმეტად სიცოცხლის მოყვარული ვიცო; ყველა ბერძნისთვის დამაბადე, არა მხოლოდ შენთვის. როგორ?! ნუთუ ათიათასობით კაცი, ფარებით შეიარაღებული, ათიათასობით ნიჩბების მქონე, სამშობლოს შეურაცხყოფის გამო, უნდა პოულობდეს სიმამაცეს, რომ შეუტოს ბოროტების და დაიღუპოს საბერძნეთისთვის [1390] და ჩემი ერთი სიცოცხლე უნდა წაშლიდეს ამას ყველაფერს ხელს? ეს რანაირი საზნაობაა? შემძლია, ვიპოვო სიტყვა საპასუხოდ? ახლა სხვა საკითხს მივმართოთ: არ არის სწორი, რომ ეს კაცი შევიდეს ყველა არგოსელთან ომში ან მოკვდეს ქალის გამო. უმჯობესია ერთი კაცი ხედავდეს სინათლეს, ვიდრე ათი ათასი ქალი. თუ არტემისმა გადაწყვიტა, წაიღოს ჩემი სხეული, მე, მოკვდავი, ხელს უნდა ვუშლიდე ქალღმერთს? არა, ეს შეუძლებელია. ვაძლევ ჩემს სხეულს საბერძნეთს. შეანიერთ, დააქციეთ ტრაი. ეს იქნება ჩემი სამუდამო სასოფარი, ეს იქნება ჩემი შვილები, ქორწინება და დედა. [1400] სწორია, რომ ბერძნები ბატონობდნენ ბარბაროსებზე და არა ბარბაროსები – ბერძნებზე, დედა, რადგან ისინი მონები არიან და ჩვენ – თავისუფლები.

კორიფაოსი

შენი სული, ყმანვილო ქალო, კეთილშობილია; მაგრამ შედისა და ქალღმერთისა აყადა.

აქილეუსი

გამეზნონის ასული! რომელიც ღმერთმა გადაწყვიტა, ნეტარი გავცხადე, თუ ჩემი ცოლი გახდება. ვთვლი, რომ შენი ბედნიერია საბერძნეთი და შენ – საბერძნეთი. კარგად ილაპარაკე, სამშობლოს ღირსად; ღმერთებთან ბრძოლა არ გამართე, თუმცა ისინი ცუდად გექცევიან; შენ პატროსანად შეაფასე, თუ რა არის სასარგებლო და აუცილებელი. [1410] და ახლა, როდესაც ვხედავ შენა კეთილშობილ ბუნებას, კიდევ უფრო მიძლიერდება აურელი, რომ ჩემი ცოლი გახდეს. შეხედ: რადგან მსურს, დავცხმარო და სახლში წავიყვანო და, თეტისი იყოს ჩემი მონა, როგორ ვწუხარ, რომ ვერ ვისანი შენს სიცოცხლეს დანადგებთან ომში. დაფიქრდი: სიკვდილი საშინელი უბედურებაა.

იფიგენია

ამას ვამბობ და არანაირი ფარული განზრახვა არ გამაჩნია. საკმარისია, რაც ტინდაროსის ასულმა ომი და სისხლისღვრა გამოიწვია თავისი სილამაზით; შენ კი, უცხოელო, არაფერ მოკლა ჩემ გამო და თავადაც არ მოკვდე, [1420] დამანებე, შენგან ჩემი საბერძნეთი, თუ შეეძლება.

აქილეუსი

გმირული სულია! ამაზე მეტს ვერ ვიტყვი, რაკი ასე მგაჩნია; რადგან კეთილშობილი გადამწყვეტია; რატომ არ უნდა თეცა ვინმემ სიმართლე? და მაინც, თუკი შემდეგ შეიცვლი აზრს, იცოდე, რა არის ჩემი შემთავისუფლება, მე მივალ და საკურთხევის ახლოს დავსაწოთ ამ ჩემს იარაღს, რომ არ დაფუჭება და ხელი შევუშალო შენს სიკვდილს. შესაძლოა, გაიხსნოს ჩემი ეს სიტყვები და გამოიყვანო, როდესაც კისრის ახლოს ხმაღს დაინახავ. [1430] ამრიგად, არ დაეღუშებ, რომ შენი დაუფიქრებლობით დაიღუპო, იარაღით მივალ ქალღმერთის ტაძართან და დაველოდები შენს იქ მისვლა.

აქილეუსი გადის.

იფიგენია

დედა, რატომ დუმხარ და თვალები ცრემლით გაქვს სველი?

კლიტემნესტრა

მაქვს მე უბედურს მიზეზი და გული მტკივა!

იფიგენია

შეჩერდი, ღაჩრად არ მაქციო, ამაში დამიჯერე.

კლიტემნესტრა

მითხარი, შეილო, ჩემგან არასოდეს არ გავის უსამართლო მოქცევა.

იფიგენია

ჩემზე გლოვისას არ მოიკეცო თმები და შავი არ წაიცვა.

კლიტემნესტრა

ამას რას აბობ, შეილო? უკვე დაგკარგე?

იფიგენია

[1440] შენ არ დამკარგავ; მე გადავრჩი და ჩემით შენც სახელგანთქმული იქნები.

კლიტემნესტრა

როგორ აბობ? არ უნდა დავიტირო შენი სიკვდილი?

იფიგენია

არავითარ შემთხვევაში, რადგან მე არ მექნება საფლავი აღმართული.

კლიტემნესტრა

როგორ? სიკვდილი თუა, როგორ არ არის დაფლავის ბორცვი?

იფიგენია

ზევისას ასულის, ქალღმერთის საკურთხეველი იქნება ჩემი საფლავი.

კლიტემნესტრა

კარგი, შეილო, დავემორჩილები, კარგად ლაპარაკობ.

იფიგენია

დიახ, რადგან მე პედნიერი ვარ, რომ საბერძნეთს მოვემსახურე.

კლიტემნესტრა

და რა ვუთხრა შენს დებს?

იფიგენია

არც მათ ჩააცვა შავი სამოსელი.

კლიტემნესტრა

არ გაქვს საყვარელი სიტყვა, რომ გადაცეც ქალიშვილებს?

იფიგენია

[1450] გაიხარონ. დამპირდი, რომ ორესტეს კაცად აღზრდი.

კლიტემნესტრა

ხელში აიფიგენე, უკანასკნელად ხედავ მას.

იფიგენია

ო, უსაყვარლესო! უნდა დაეხმარო, რამდენი მეგობარიც გეყოლება.

კლიტემნესტრა

რამე შემიძლია გვაკეთო არგოსში, რომ გასია-მოვინო?

იფიგენია

ნუ შეიძულებ მაჩაჩემს, შენს მეუღლეს.

კლიტემნესტრა

მიძიმე ბრძოლების გადატანა მოუწევს შენ გამო.

იფიგენია

თავისი ნების საწინააღმდეგოდ, საბერძნეთის მონათვის მომსპო.

კლიტემნესტრა

ცბიერებით, უღირსად და ატრევისისთვის შეუფერებლად.

იფიგენია

ვინ გამოწყვება მე, სანამ თმებს მომკვეცენ?

კლიტემნესტრა

მე გამოგყვები.

იფიგენია

არა, შენ არა; სწორად არ ამბობ.

კლიტემნესტრა

[1460] შენს კაბას ჩამოვეცილები.

იფიგენია

დამიჯერე, დედა, აქ დარჩი; ასე უკეთესია ჩემთვისაცა და შენთვისაც. ნება დართო მაჩაჩემის რომელიმე მსახურმა წამიყვანოს არტემისის ქალაში, სადაც მსხვერპლად შემწირავენ.

კლიტემნესტრა

შვილო, მიდიხარ?

იფიგენია

და უკან არ მობერუნდები.

კლიტემნესტრა

დედას ტოვებს?

იფიგენია

როგორც ხედავ, დაუმსახურებლად.

კლიტემნესტრა

შეჩერდი, არ დამტოვო!

იფიგენია

ნებას არ გრთავ, იტირო. (გუნდს). თქვენ, ქალიშვილებო, უნდა უმღეროთ პეანი არტემისს, ზეცის ასულს ჩემს მიძიმე ზედრზე; დანაელებში კი იყოს საზეიმო დუმილი. [1470] მოაზაადოს ვინმე კალთები, დაანთოს ცეცხლი განსანმუნდელი მოსაფრქვე მარცვლებისათვის და მაშინვე მარჯვენა ხელი ჩააღლოს საკურთხეველს, რადგან მოვდივარ, რომ ვისინა საბერძნეთი და მიცეც მას გამარჯვება. ნამიყვანეთ, ფრიგიელთა ილიონის გამანადგურებელი მომიტანეთ გვირგვინი, რომელიც დამიმუშენებს კულულებს; მოიტანეთ განსანმუნდელი წყალიც. [1480] დატრიალით ტაძრის ირგვლივ, არტემისის საკურთხევის ირგვლივ, დედოფალ არტემისის, ნეტარს; რადგან ჩემი მსხვერპლშენიერის სისხლით უნდა ნაწყო მისი წინასწარმეტყველება. ო, დედოფლო, დედა დედოფალი! არ მოგცემ შენ ჩვენს ცრემლებს, [1490] რადგან წმინდა ნებს ეს არ შეეფერება. იო, იო, ყმანელიო ქალებო, ქება უმღერეთ არტემისს, ქალკისის მზრძანებელს, რადგან მრისხანე შუბოსნები მძინეწარედ ცხარობენ აქ, ავლისის ვინო ნავსაყუდელში ჩემ გამო. ო, დედა პელასგია და მიკენე, ჩემი საცხოვრებელი!

გუნდი

[1500] პერსევის ციხესიმაგრეს მოუხმობ, კიკლოების ხელით აგებულს?

იფიგენია

თქვენ მე აღმზარდეთ, რომ საბერძნეთის სინათლე ვიყო და ამიტომ არ ვეუბნები სიკვდილს არასა.

გუნდი

დიდება არასდროს მიგატოვებს შენ!

იფიგენია

ვაი, ვაი! ჩირაღდანაინაო დღეო, ზეცის ელვარება! სხვა სიცოცხლე, სხვა ხედვარი მელოდება მემვიდობით, საყვარელო სინათლე!

გუნდი

[1510] ვაი, ვაი! შეგდეთ ილიონისა და ფრიგიელების დამატყვევარი მიდის, თავზე გვირგვინი ახურავს, განსანმუნდელი წყალი ნამკურები აქვს, ქალღმერთის საკურთხეველს დაედრება მისი სისხლი, როდესაც მოხდენილ კისერს ხმლით გაკვეთენ. რადგან იქ გელოდება განსანმუნდელი წყალი მამის ხელიდან, რადგან აქაველთა ლაშქარი გელოდება, მონადინებული [1520] ილიონის ქალაქში წასასვლელად. მაგრამ განვადიდეთ არტემისი, ზეცის ასული, ღმერთებს შორის დედოფალი, რომ კეთილგანწყობილი ბედი შეგვცხადეს. ო, დედოფალი, მძლავრო ქალღმერთო, მოკვადითა მსხვერპლშენიერის მოყვარულო, გააგზავნე ფრიგიელთა მიწაზე ბერძენთა ლაშქარი და ტროის ცბიერ საფანესთან, ავამეზნოს კი საბერძნეთის შუბოსნებში სახელოვანი გვირგვინით შეუმკე თავი და მოუშოვე უკვდავი დიდება.

მეხუთე ეპისოდისი

მაცნე, კლიტემნესტრა, აგამემნონი

მაცნე

გამოდი გარეთ კარებიდან, ტინდარეოსის ასულ-
ლო, კლიტემნესტრა, და მოუსმინე ჩემს სიტყვებს.

კლიტემნესტრა

შენი ხმა გავიგონე და გარეთ გამოვედი მთლად
აცხვებულად და უბედურად და შიშისგან თავზარ-
დაცემული. უნდა მთხრა რამე ახალი უბედურება,
რომელიც ამჟამინდელს დაემატა?

მაცნე

არა, მაგრამ მე მოგიტანე შენს ქალიშვილზე
უცნაური და სასწაულებრივი ამბავი.

კლიტემნესტრა

მაინი ჩუ დააყოვნებ, რაც შეიძლება, სწრაფად
მთხარი.

მაცნე

[1540] ძვირფასო ქალბატონო, ყველაფერს ცხა-
დად შეიტყობ; გიტყვი დასაწყისიდან, თუ არ მიღა-
ლატა მესხიერებამ და არ შეიტანა გაურკვევლობა
ჩემს მონათხრობში. როგორც კი მივაღწეით ზეფ-
ის ასულის, არტემისის, კოროსი და ყვეაილოვან
მდგლოს, სადაც აქაველთა ლაშქარი იყო თავმოყ-
რილი, ასული რომ მივიყვანეთ, არგოსელთა ზრბო
წეიკრება. როდესაც დაინახა მეუფე აგამემნონმა
თავისი ასული, კოროსისკენ რომ მიდიოდა მსხვერ-
პლად შესანიშნად, ამოიხირა, თვალებიდან [1550]
ცრმეღლი ნასკვდა და სახის წინ საოოსი აიფარა.
გაღიშებული კი მამას ახლოს დაუდგა და ეს ბრძანა:
„მამარეო, აქ ვარ; ჩემი ნებით გაბარებ ჩემს სხე-
ულს ჩემი ქვეყნისა და საბერძნეთისთვის, ასე რომ,
შეგიძლია, მიმიყვანო ქალღმერთის საკურთხეველ-
თან და მემწირა, რადგან ეს არის ზეფის ბრძანება.
სიკეთე მომეტანოს თქვენთვის, დაე, გამარჯვებუ-
ლი დაბრუნებულიყავი სამშობლო მინაზე. არც ერ-
თმა არგოსელმა არ მახლის ბელი, [1560] რადგან
მე უსიტყვოდ და ეატეაცურად დავიდებთ კისერს.“
ეს თქვა; და ყველა გოგონდა, როდესაც გაიგონეს
ქალიშვილის დიდსულოვნება და სათნოება. შუაში
დადგა ტალთიბოისი, რადგან ეს იყო მისი მოვალე-
ობა და ლაშქარს ყურადღებისა და სიჭიმისკენ მო-
უწოდებდა. მისანმა კალქასმა ოქროს კალათში ჩადო
ერქობიდან ამოღებული ბასრი ხმელი, ქალიშვილს
კი თავი გვირგვინით შეუქცო. შემდეგ პლევრას
ქმე იღო კალათი და ხელში გახსანშენდელი მცლით,
ქალღმერთის საკურთხეველს შემოუბრინა და თქვა:
„ზეფის ასული, ნადირთმშევერლო, რომელიც
ატრიალებ ელვარე სინათლეს წყვილადმი, მიიღე
ეს მსხვერპლი, რომელსაც ჩვენ, აქაველთა ლაშქა-
რი და აგამემნონი ჩვენთან ერთად, მიმოგირავთ
შენ, სულთა სისხლი მშვენიერი ქალწულის კისრი-
დან; და მოგვეცი უსაფრთხო გატურება ტროის ცი-
ხესიმაგრისაკენ ჩვენი შუბებით.“ ატრეიდესები და
მთელი ლაშქარი მინას დაჰყურებდა. ქურუმმა ამი-
ოლო ხმალი, ილოცა, დაიწყო ახლოდან კისრის დოი-
ვალეობა, თუ სად უნდა ეიჭერა ხმალი. [1580] მე
მსუხარებით მეცნებოდა გულში, ვიდექი დაბრალი

თავით, როდესაც მოხდა მოულოდნელი სასწაული
ყველამ გაიგონა ცხადად დარტყმის ხმა, მაგრამ
გვრავინ ვერ დაინახა, სად გაქრა ქალიშვილი. მეს-
ახა ქურუმმა, თუღმა ლაშქარმა ყვირილი დაი-
წყო, გაუგონარი სასწაულის მნახველებმა, რომე-
ლიცაღ ღმერთის ნიშანი, დაჯერება არ შეეძლოთ,
თუმცა კი დაინახეს. რადგან უზარმაზარი ირემი
იწეა მინაზე, დიდებული სანახავი, სული ძვრებო-
და და მისი სისხლი რწყავდა ქალღმერთის საკურ-
თხეველს. [1590] მაშინ, ზედები, რა სიხარულით
თქვა კალქასმა: „გაერთიანებული ლაშქრის მზე-
დართმავრებო, ხედავთ ამ მსხვერპლს, რომელიც
ღმერთმა დადო საკურთხეველზე, მთაში მორბე-
ნალ ირემს? ეს მისთვის უფრო მოსაწონია, ვიდრე
ქალწული, რადგან არ მოითხვერება საკურთხევე-
ლი კეთილშობილი სისხლით. სიამოვნებით მიიღო
იგი და გაცურვის ქარი მოგვცა ილიონზე მეტევის-
თვის. მამ, თითოეულმა მეზღაურმა გულში გაე-
კაცება ჩაიღოს, მიაღვს თავის სიამაღლეს, რადგან
დღეს [1600] ჩვენ უნდა დავტოვოთ აელისის ცარი-
ელი ყურეები და გადავკვეთოთ ეგეისის ზღვა.“
შემდეგ, როდესაც მსხვერპლი მთლიანად დაინახა
ფერფლამდე ჰეფესტოსის ცეცხლში, კალქასმა
ილოცა ლაშქრის მინ ზედნიერი დაბრუნებისთვის.
გამომგზავნა აგამემნონმა, შენთვის ეს რომ შეთ-
ქვა და ბრძანა, რომ ეს იყო რომელიცაღ ღმერთისგან
გამოგზავნილი ბედისწერა და უკვდავი სახელი
მთელ საბერძნეთში. ახლა აქ ვარ და გელაპარაკე-
ბი როგორც თვითმხილველი, ცხადია, რომ შენი
შვილი აფრინდა ღმერთებთან. დაინყარე ტკივი-
ლი და შენევიტე მეუღლეზე მრისხანება; [1610]
რადგან ღმერთების გზები მოკვდავებისთვის გა-
მოუცნობია, მაგრამ ვინც უყვართ, იმას გადაარ-
ჩენენ. დიახ, რადგან ამ დღემ შენი შვილი მკვდარი
და ცოცხალი დაინახა.

მაცნე ვადის.

აუნდი

როგორ გაიხიარე, ეს რომ მოვიხსინე მაცნისა-
გან; მან თქვა, რომ შენი შვილი ცოცხალი რჩება
ღმერთებში.

კლიტემნესტრა

ო შვილო, რომელმა ღმერთმა მოგიპარა? რო-
გორ უნდა მოგმართო? როგორ დავიჯერო, რომ ეს
ფუჭი ზღაპარი არ არის ჩემს დასამშვიდებლად,
რომ შევწვიტო საწყალობელი გოდება, შენი და-
კარგვის გამო?

აუნდი

აი, მეუფე აგამემნონი გვიახლოვდება, [1620]
რომ დაგიდგას ტუროს ამბავი.

აგამემნონი

ქალბატონო, ბედნიერებად უნდა ჩავითვალოთ
ჩვენს ქალიშვილთან დაკავშირებით, რადგან იგი
ღმერთების შორისაა ახლა. უნდა აიყვანო ეს ჩვილი
ბავშვი და სახლს გზას დაადგე, რადგან ლაშქარი
გასატურად ემზადება. მშვიდობით, დიდი დრო გა-
ივლის, სანამ ტროიდან ჩამოვალ და გნახავ. იქნებ
ეს კარგიც იყოს შენთვის.

ზბიგნეჟ ჰერბერტი

თარგმნა ზვიად რატიანმა

ლექსები წიგნიდან „ბატონი კოგიტო“ (1974)

ბატონი კოგიტო ჯოჯოხეთის შესახებ

ქვედა, უკანასკნელი წრე. გავრცელებული მოსაზრებების საპირისპიროდ, აქ ვერ შეხვდებით ტირანება და მამისმკვლელებს, ვერც მათ, ვინც მუდამ გვამებზე ცეკვავდა. ეს არის სივრცე ხელოვანი ხალხისათვის, სარკეებით, მოღებრებებით, ინსტრუმენტებით. ერთი შეხედვით, ჯოჯოხეთის ყველაზე მყუდრო განყოფილება, არსად კუბრი, არსად ცეცხლი, არავინ კენესის.

მთელი წელი იმართება კონკურსები, კონცერტები, ფესტივალები. არ არსებობს მკვდარი სეზონი, აპოგეა უწყვეტია და სრულყოფილი. სულ მცირე, ყოველ კვარტალში ერთხელ იბადება ახალი ჟანრი, არის განცდა, რომ ვერაფერი შეაფერხებს აენგარდის ტრიუმფალურ აღმავლობას.

ბელზებელს უყვარს ხელოვნება. ეამაყება მისი გუნდი, მისი მხატვრები, მისი პოეტები, რომლებმაც, წესით, რახანია გადაუსწრეს სამოთხელ კოლეგებს. ხომ ცნობილია - ის იმარჯვებს, ვინც იმარჯვებს ხელოვნებაში. ცოტაც და, ძალებს მოსინჯავენ ორი სამყაროს ფესტივალზე. მაშინ ვნახოთ ეგ თქვენი დანტე, ფრა ანჯელიკო, ბახი.

ბატონი კოგიტო სათნოების შესახებ

1

რა გასაკვირია

თუ ის არ არის ნამდვილი მამაკაცების სატრფო

გენერლების

ათლეტების მმართველების

ტირანების

რომელთაც მუდამ ფეხდაფეხ დასდევს

ეს წუნუნა შინაბერა

ხანის არმიის სასაცილო თავსაბურავით

და სულ რაღაცას მოუწოდებს

რაღაცას ახსენებს

ხან არქივიდან ამოაძვრენს

სოკრატეს პორტრეტს

პურის გულისგან გამოძერწილ პატარა ჯვარცმას

ობიან სიტყვებს

- გარშემო ზოზოქრობს ნამდვილი სიცოცხლე

ნითელი როგორც სასაკლავო გამთენიისას -

პატარავდება და იღევს

სულ ადვილად ჩაიტყვდა

იადი სუვენიერებისთვის განკუთვნილი

მოვერცხლილი პატარა ყუთი

პატარავდება და იღევს

ემსგავსება თმის ღერს პირში

ზუზუნს ყურებში

2

ღმერთო

ყოფილიყო ცოტა ახალგაზრდა

და ცოტა ღამაზი

გელო თავისი ეპოქის მხარდამხარ
და ერხია თეძოები
თავისი დროის მუსიკის რიტმში

პეგარეზოდით
ნამდვილ მამაკაცებს
გენერლებს ათლეტებს მმართველებს დესპოტებს

ეზრუნა თავზე
ყოფილიყო მუდამ ფორმაში
ელიზაბეთ ტელიორივით
თავისუფლების ქალღმერთივით

და არ ყარდეს ნაფტალინით
და არ სცრიდეს მოკუშული ბაგეებიდან
ერთადერთ და დიდებულ არას

თავისივე სიჯიუტით გაბეზრებული
აასაცილო ანარქისტის სიზმარივით
მოსაწყენი წმინდანების ცხოვრებასავით

ბატონ კოგიტოს სული

ადრე
როგორც ცნობილია
სული მამინ ტოვებდა სხეულს
როცა გული წერდებოდა

ამოშეშებოდა
ბოლო ამოსუნთქვას
და ცისკენ წუმად მიფარვებდა

მაგრამ ბატონ კოგიტოს სული
ამითაც გამორჩეულია

დროდადრო ტოვებს ცოცხალ სხეულს
გაუფრთხილებლად

თვეობით წლობით
მოგ ზაფხობს სხვა ქვეყნებში
ბატონ კოგიტოს საზღვრების მიღმა


მისი სამყოფელის დადგენა რთულია
ის გაუზრბის ურთიერთობებს
არაფერი ისმის მისგან
არ ინერება

უცნობია თუ დაბრუნდება
იქნებ ამჟერად სამუდამოდ გადაიკარგა

და იგერიებს ბატონი კოგიტო
მურის უკადრის შემოტევებს

მხოლოდ კარგს ფიქრობს თავის სულზე
ფიქრობს მასზე მხოლოდ სინაზით

უნდა მოსინჯოს რა თქმა უნდა
სხვა სხეულებიც



რადგან სხეული მრავალია
სული კი ცოტა

და ბედს შეეგუა ბატონი კოგიტო
არც კონდა დიდი არჩევანი

თავსაც იმხნეებს
- ჩემი სული მაინც ჩემია

და ფიქრობს სულზე სევდიანად
ფიქრობს მასზე მხოლოდ სინაზით

და როდესაც მოულოდნელად
სული ერთხელაც უბრუნდება
ის არ ბედება მას სიტყვებით
- რა კარგია რომ დამიბრუნდი

ჩემი აღერსით უთვალთვალებს
როგორ ჯდება სული სარკესთან
და თმას ივარცხნის
აბურღულს ქალარას

ბატონი კოგიტო კითხულობს გაზეთს

პირველ გვერდზე ომის ქრონიკა
მოკლულია 120 მეტრძოლი

ომი გაიწელა
დროა შევეგუოთ

შემდეგ გვერდზე კრიმინალი
სენსაციური ძალადობა
მკვლელების პორტრეტი

ბატონ კოგიტოს გულგრილი თვალი
ნაჩქარევად გადაურბენს
მეტრძოლების უსულო გვამებს
რათა მალე ნეტარებით ჩაუღრმავდეს
სენსაციურ საშინელებას

ოცდაათი წლის აბალგაზრდამ
ნერვიული აშლილობისა
მოკლა ცოლი და ორი შვილი

დანამაჟლის ტეტალური აღწერილობა
მკვლელობების თანმიმდევრობა
და გვამების გახლაგება
და ასე შემდეგ

უაზრობაა
120 მკვდრის რუკაზე ძებნა
ბრძოლის ველი ისე შორია
და მკვდრების რიცხვიც იმხელაა
ნარმოსახვას ველარ შეარყევს
ყველაფერს აქცევს აბსტრაქციად
ის ბოლო წული

თემა განსჯისათვის:
თანაგრძნობის არითმეტიკა

ბატონ კოგიტოს უფსკრული

სახლში ყოველთვის დაცულია

მაგრამ ზღურბლთანვე
როცა დილით ბატონი კოგიტო
გადის სასაფლაოზე
იქ ხედება უფსკრული

ეს არ არის პასკალის ქვეცნელი
და არც ქვეცნელი დოსტოევსკის
არამედ არის
ბატონი კოგიტოს ყაიდის უფსკრული

მას თავზარს სცემენ
უძირო ღღერები

უფსკრული დასდევს როგორც ჩრდილი
გლომებს საფუძვლზე მდებარე
და კითხულობს მის გაზეთს პარკში
მისივე მხარზე დაყრდნობილი

გზამკაცით მოუჩვენელი
ძალიანვე ერთგული
ჯერ არც იმხელა რაღაც შთანთქმის
მისი ფეხები ხელები თავი

იქნებ ოდესმე
გაღრმავდეს უფსკრული
მოშინდეს უფსკრული
დასერიოზულდეს

იცოდეს მაინც
თუ როგორი წყალი ასვას
თუ როგორი პური აჭამოს

ბატონ კოგიტოს შეუძლია
მიაყაროს მუქი ქვიშა
მუქა ქვიშით ამოავსოს
მაგრამ არ შეეძლება


დაბრუნებული
ტოვებს მას ზღურბლთან
ოღონდ ჯერ ნიღბავს საიმედოდ
ფეხსაწმენდი ბინძური ნაჭრით

ბატონი კოგიტო და აზრთა მდინარე

აზრები მდინარეებზე თავში
გვამცნობს მოარული ფრაზა

მოარული ფრაზა
აზვიადებს აზრთა მდინარეებს

რადგან მათი უმეტესობა
დგას უძრავად
მოსაწყენი ხედის ფონზე
ნაცრისფერი მთების ფონზე
გადამხმარი ხედების ფონზე



ზოგჯერ მილასლასდებიან
 სხვისი აზრების ნყალუხე მდინარეშდე
 და ცალ ფეხზე
 დგანან ნაპირთან
 მშიერ ყანჩასავით

დანანებით იხსენებენ
 ამომშრალ სათავეს

ერთმანეთს ერწყმიან
 და თესლს დაეძებენ

არსად მიდიან
 რადგან ვერსად მიაღწევენ
 არსად მიდიან
 რადგან არსად აქვთ ნასასეღელი

სხედან ქვებზე
 და თითებს ისრესენ

თავისუფლის
 მოღრუბლული
 დაბალი
 ცის ქვეშ

ბატონი კოგიტო სპინოზას ცდუნების შესახებ

ბარუხ სპინოზამ ამსტერდამიდან
 მოინდომა ღმერთთან საუბარი

თავის სხეულში
 იმდენიანს წმინდა სათვალის ღონზე
 რომ გამჭვირვალდა ბნელი ჰაერი
 და აღმოჩნდა მის პირისპირ

დიდხანს საუბრობდა
 (და ლაპარაკისას
 ფართოვდებოდა მისი ტვინი
 და მისი სული)
 სვამდა შეკითხვებს
 ადამიანის ბუნების შესახებ

- ღმერთი წვერზე ზელს ისვამდა
 გაკვირვებული

სვამდა შეკითხვებს პირველმჩიეზე

- ღმერთი უსასრულობისკენ იხედებოდა

სვამდა შეკითხვებს ბოლომჩიეზე

- ღმერთი თითებს იტყაცუნებდა
 დროგამოშვებით ახველებდა

და როცა სპინოზა დადუმდა
 ბრძანა

- კარგი ლაპარაკი გცოდნია ბარუხ
 მომწონს შენი გეომეტრიული ლათინური

ჩეაფიო სინტაქსი
და მწეობრი მსჯელობა

მაგრამ მოდი
მნიშვნელოვან საკითხებზეც
ვილაპარაკოთ

- რას გიგავს ხელები
როგორც ცახცახებენ

- რატომ იფუჭებ მზერას
წყვიდიადში

- იფიდე სახლი
და გენეციურ სარკეებსაც მიუტევე
რომ ირეკლავენ მხოლოდ ზედაპირს

- მიუტევე თმაში ჩანსულ მინდვრის ყვავილებს
მიუტევე მთვრალის სიმღერებს

- შენც იზრუნე შემოსაველზეც
როგორც შენივე კოლეგა დეკარტი

- იყავი ცბიერი
როგორც ერაზმუსი

- და ტრაქტატიც მიუძღვენი
ლუდოვიკო მეთოთხმეტეს
მაინც არ არის წამკითხავე

- მოთოვე შენი
რაციონალური მრისხანება
მრავალი ტახტი დაეშობა შენი შიშით
და ეარსკეღავები ჩაქრებიან

- იფიქრე ქალზეც
ვინც შვილს გაგიჩენს

- ხომ ხედავ ბარუხ
როგორც იქნა ელაპარაკობთ მნიშვნელოვანზე

- მინდა ვუყუარდე
უგუნურებს და უმართავეებს
სინამდვილეში
მხოლოდ მათ ვჭირდები

და სწორედ ამ დროს ღმერთი ქრება
საინოზა მარტოა

ველარ ზედავს ოქროს ღრუბელს
და სხივს ზენიტში

მხოლოდ სიბნელეს


საფეხურები აჭრიალდნენ
ვილაც ჩადის
ალბათ თვითონვე



მაკა ლდოკონენი

Aurora borealis

სადაც მატერიაა, იქ გეომეტრიაც არის
ოიპანეს კეპლერი



ფერები გვხიბლავს, როდესაც თოვლით გადა-
თეთრებულ ფიჭვებსა თუ ქახელებს მარადმწვა-
ნე ნაძვხარი და წითელყვითელფოთლიანი ხეები
ენაცვლება. და სულაც არ გვახსენდება ამ ზღაპ-
რული სიჭრელის გამომწვევი მეცნიერული მიზე-
ზები. სკოლაში ვინ მოთვლის, რამდენჯერ ამოგ-
ვიხსნია ამოცანები ერთი პუნქტიდან მეორე პუნ-
ქტისკენ მიმავალ მგზავრებსა თუ ტრანსპორტზე.
მანძილის, დროისა და სიჩქარის მაჩვენებლებს
ფორმულებში ვსვამდით, მიღებულ რიცხვებს შე-
საბამის განზომილებებს ვუნერდით და ვერც მა-
შინ წარმოგვედგინა, რომ გაკეთილზე დაგვიანე-

ბის გარეშე მისვლას ჩვენი მოძრაობის სიჩქარე
(გავლილი მანძილის დროსთან შეფარდება) განა-
პირობებდა; რომ სოლფეჯიოზე არგამოცხადება
დროის განვლის ან გზიდან გადახვევის (დროისა
და მანძილის შეგნებულად გაზრდის) ლოგიკური
შედეგი იყო. ლათინურ ასოებს A, B, V, T, S... ჩვენს
ყოფით ცხოვრებას ვერ ვუსადაგებდით - ისინი იქ,
თავისთვის არსებობდნენ, ჩვენ აქ, ჩვენთვის გცხოვ-
რობდით. მეცნიერება ცხოვრებას თანდათან და-
უკავშირდა, თუმცა ამოცანის ამოხსნასავე თუ სა-
ტი პასუხები მაინც ვერ მივიღეთ.

ეს ამბავიც, სხვა თავგადასავლების მსგავსად,

ერთი რიგითი გადაადგილებით დაინსო იმ სამყაროში, რომელიც საგულდაგულოდ გადასწავლა და გეოგრაფიულ ფიგურებზე დაჰყევს ჰომო საპიენსებმა. საიდუმლო მაშინ გამჟღავნდა, სამხრეთული A პუნქტიდან (სადაც ნოემბრის მინურული მთხვევად გაზაფხულის ანინდები იდგა) ჩრდილოური B პუნქტისკენ მიმავალი ექსპლუატაციის ნეურებმა გზის ორი მესამედი რომ გაიარეს და... დაუზამთრდით.

* * *

მკერდმოშმელებული მეზღაურები გემბანზე შეკრებილ, მოზუზულ მაზავრებს უდიდოდნენ და თავისებურად ამხვევებდნენ: ჯერ სადა ხართ, ამას სიცოცხე არც პეცია, უკანა გზაზე აქ რომ გამოივლით, გაზაფხული გეგონებთო. ჩრდილოეთში გაკაფებულბებთან თავის მოწონებას და გამძლეობის გამოცდას თბილად ჩაცმა არჩია და კაოუტისკენ გასწავა პროფესორმა დავით კონსტანტინსკიმ. ჩემოდანი ნომერი ერთი კარიბი დახვდა, ბარგისთვის გამოყოფილ გრძელ საკაშზე შემოდო და გახსნა.

ჩემოდნის მარჯვენა ბალთასთან პასტით მიწურათ N1. უცხო თვალისთვის შუღმწინელი, არაფრისმთქმელი სიმპოლი და ციფრი პროფესორისთვის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იტყვდა. ნომერ ერთ ჩემოდანში, როგორც ნესი, მოგზაურობის დასაწყისში საჭირო ნივთები ეწყო. სად როგორი დარი და როგორი ყიდის საზოგადოება, რა სახის გაუთვალისწინებელი გარემოებები თუ სასიხარულო მოულოდნელობები დაუხვედებოდა მკერდისდათიკოს, მისმა მეუღლემ ზედმინებებით იტყოდა.

ჩემოდან ნომერ ერთს, ისევე როგორც ჩემოდან ნომერ ორს, სამსა თუ ოთხს (რაოდენობას მოგზაურობის ხანგრძლივობა განსაზღვრავდა) საკანთამისანტენისა ახლად სათადარიგო ახლით, რომლებიც ნივთილი პასტით ინერგებოდა და თვალსაჩინო ადგილას მაგრდებოდა. ჩემოდანი ნომერი ერთი ამფერადაც მოწონების სიმადლეზე აღმოჩნდა: პატრონი პირველი ბორობის შემოებრება სათანადოდ რომ დახვედროდა, ზემოდან ეწყო გამზირული კაშნი, პლუშის სარჩულიანი, წყალგაუმტარი, მსუბუქი ლაბადი, ორმაგი ზამბის წინდები, წელზე შემოსაბევი, ანგორის ფაფით ნაქცული სარტყელი საღაფის სიფრფხისა ღივებით, პომელოპათური ნევთები შემცივების პრევენციისთვის. აქვე იყო ფლანელის ლამის პოემა, ნესესერი, ერთფერადი პარფიუმერიით და ლოგიკური ფიქრის შედეგად ჩალაგებული სხვა უამრავი ნივთი.

დავით კონსტანტინსკი გათბა, ზურგში დაძაბულობის შეგრძნება გაუქრა, გაღრუბლი, ნივთილი დაძაბარი მომინარჯვა და მაგადივლ გაძლილ ხახაზეებს მოუვდა. როგორც თავად ამბობდა, ამოსუნთქვისხანა დასდგომოდა: გამოცდები და საექსპერიმენტი გასაუბრებები გადაეცარებინა, მკაცრი ლექტორის იმიჯი უსუფლდა და სტუდენტებთან მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებდა. გამოშ-

გზავრების ნინ დანიშნული შეხვედრა ჩვეულებრივით წარმართა, სწრაფად გაიარეს საორგანიზაციო საკითხები, განიხილეს გერმანული სინუსტისა და დისციპლინის აე-კარგინობა, რასაც ბუნებრივად გადაება ბლიც-ლექცია 23,4 გრადუსის ფუნქციონალურ ზეგავლენებზე ადამიანების ცხოვრებაში.

ზოგჯერ ელემენტარულ ქეშმარიტებას ახლებურ პერსპექტივაში აღვიქვამთ და საუბრის სალერდული გვეშლება. იმ დღესაც ასე მოხდა, თორემ სასკოლო პროგრამის გახსენებას ნამდვილად არ გვემავდა პროფესორე (სტუდენტები, ლათინურ გაიდაზე მიმართავენ ბაბონ დავითს). ახალგაზრდები მშენიერ განწყობაზე დახვდნენ, საოცებრივ ექსპლუატაციის წეროვა განადგურებულ ქონდათ, ახალ ამბულს იფერებდნენ და პოზიორბდნენ - მოსალოდნელ მკაცრ კლიმატურ პირობებზე წუნუნებდნენ. ხატიამ, დისტროფიული აღზავობის გოლონამ ბიჭური ვარცხნილობით, მეგობრებს თვალი ჩაუქრა, გაკაფება აქედანვე უნდა დავინყო, სვიტერი გაიხადა და მაისური გამოამზეურა. თიერ გულისპირზე, მკერდის გასწვრივ ლეკობიუზიკა! სათვალე ეხატა, ქვეშ კი შიდა ასოვბით ეწერა: „ყველაფერი გამომეო გეომეტრია!“

სტუდენტებმა ხატისა მაისურს ტაში დაუკრეს, ლეკობიუზიკის ფრთიანი ფრახების კორიანტული დაეცნუს, რასაც სკეპტიკოსების მხრიდან შესწორებები მოჰყვა: გამოთქმებს არასწორად თარგმნიან და მათ ავტორებსაც ერთმანეთში ურევენო! ყველაზე დაზავრული კი ეკლერია, მის ხაზრებს ვის აღარ მიაწერნო!

ასე შეზავდა ორიგინალური კოტეილი ინგრენდენტებით „ეკლერი“, „ლეკობიუზიკი“, „გეომეტრია“, „არქიტექტურა“, რომლის მეცნიერულმა არომატმა პროფესორე დაფასთან მიიყვანა და ელიფსი მოახაზინა. მალე ელიფსზე ევრაზიისა და აფრიკის კონტინენტების კონტურები გამოიკვანო, მარჯვნივ გადახრილი, დანაშაულებით ღერძა და ეკვატორს შორის კი 23,4-გრადუსიანი კუთხე გადაიზომა.

- რომელ კლასში ვართ?! აბა, ბავშვებოო, გავითვალთ, მოცემული კუთხე ბლავია, მანვილი თუ გამლილი?! აზიმუტი, მადმუზანელ ხატი, აზიმუტის კუთხე ტრანსპორტირით გადაზომილი... ბიხეტტისათ თუ გაგვიღია კუთხის გვერდთა შორის, შეილო გოფერმი?! - ვერ ცხრებოდნენ აკტირებული სტუდენტები.

პროფესორე ცერა თითს მალდა სწევდა, ახალგაზრდებს თავს უქნევდა და იღიმოდა. მერე ცარცა ავადი, დაიჭრა, შეკრული მუშტით ჰაერში სრე შემოხაზა და აუდიტორიაში სიჩუმემ დაისადგურა:

- ერთი შეხედვით უმნიშვნელო მახვილი კუთხე, რომლის სიდიდეც 23,4 გრადუსია, მკერფათ არქიტექტორებოო, უნიკალური გეომეტრიული სიდიდეა და... მილიონობით დეტალზე ჩვენს არათუ ყოველდღიურ, ყოველნამიერ ყოფით ცხოვრება-

ში! და-ა... არა მხოლოდ ცხოვრებაში, ჩვენს ყოველ-ნა-მი-ერ მეტყველ-ებაშიც კი... დააკვირდით, გადინებარა დედამისის ჩრდილოეთი პოლუსი მზისკენ (კუთხის სიდიდე 23,4 გრადუსი, გვახსოვს პირველივე კლასიდან) და-ა... დათბა-გამინვანდა-გაიღვია-გაიხადა-გაიღმა სამყარომ. ნახევარ ნელსინაშა და-ა...შალა დედამისმა ჩრდილოეთის პოლუსი მზეს (23,4 გრადუსი უცვლელი და-ტოვა, ცხადია) და-აა... რადიკალურად შეგვცვალა: შევამცირენ-გადავგათეთრ-მივგანავლ-ჩაგვფუთნ-მოვცაყინა. გეომეტრიანო გარშემო ყველაფერი, მადნაწეულ ხატიოში და ვეთანხმებით, როგორ არ ვეთანხმებით!.. Ubi materia, ibi geometria, არ-ქი-ტეძ-ტო-რე-ბო! ანუ, სადაც მატერიაა, იქვეა გეომეტრია! - ვისაც არ უნდა ეთქვას, კეპლერი, ლე კორბუზიეს, ჯორდანო ბრუნოს¹ თუ სულხან-საბას², ის ბრუნავს! ბრუნავს 23,4-გრადუსიანი მახვილი კუთხით დახრილი და ეს სიზუსტეც პასუხისმგებელია ჩვენს სახიანი-სურვილ-გამგებ-ტანაცმელ-საკეცზე, გადადგილების საშუალებებზე, უხადრუკ ოცდაათხ საათში დღისა და ღამის კუთხილ საკონტროლო პაკეტზე, შემოდგომის ფოთლების პიგმენტაციასა და სხეულის გარუჯვაზე, თოვლის გუნდებისა და ყვავილების თავიუღლების ფორმა-დიზაინზე, ლექსებისა და სიმღერების მოტივსა თუ მაჟორ-მინორლობაზე!.. და რაც თთავარი-ა ლექსიკაში... დიას ლექსი-კის სიმღერებზეც კი! მოცემული კუთხე, შილო გოდერძი, რომ ყოფილიყო ბლავგი, გაშლილი ან მართი, არ იარსებებდა ისეთი მშვენიერი სიტყვები, როგორიცაა გა-ზაფხული, შე-მოდგომა, ზამთარ-ი, ზაფხუ-ლი და კიდევ უამრავი, რომელზე ფერიც თქვენთვის მომინდვია! ზედა კი, დღისი მყიდ საათზე, ზუსტად შვიდ საათზე ვიკრიბებით და-ა... ამ სიტყვებზეც 23,4 გრადუსია პასუხისმგებელი!

გემის კიუტაში შეყუფულ-ჩაფუთული დავით კონსტანტინსკი სწორედ იმ ბლიც-ლექციას იხსენებდა და იღიმოდა. უცებ ნამოდა, გაღებული ნითელი ფანქარი აავდო, დაიჭირა, შეკრული ჰუმტით პაერში წრე მოხაზა, ნახაზებიან მაგიდას მოსწრაფა და ილუმინატორთან გადაინაცვლა. სტუდენტები, სავარაუდოდ, გოგას ან გოდერძის კიუტაში შეიკრიბებოდნენ. ახლა მათთან ყოფნას რა სჯობდა - ნარმოიდგინა ნაქსოვი ჯაქეტებისა და კამიზების სიქრულე, ალკოჰოლისგან განითილებული ცხვირები, დაუფიქრებლად ნარმოთქმული ფრაზები და უმიზეზო სიცილი. ილუმინატორს მოშორდა და ჩემოდანი ნომერი ერთი სასნეღის პოვნის მიქედით გადაათვალიერა. როგორი დელიკატური ტექტიკით ჩაენაცვლებინა უმშვენიერესადიკოს ალკოჰოლის ადგილი ექიმის დახიმზულეებით, ნაწლებითა და მათი მიღების გრაფიკებით. არადა, ერთი საწუკვარი ბოთლი როგორ შეუსაბუთებდა დადამზნულების უპენტკამდე მისაღწევ, ბორიოტარიან, მოსაწყენ გზას.

კარზე დააკაკუნეს. გოდერძი აღმოჩნდა. ხომ არ შემოვიერთდებითო, მორიდებით შესთავაზა.

თვალეზბარწყინებული პროფესორი ჩემოდნისკენ მკვეთრად შეტრიალდა და მეტი გულმოდგინებით შეუდგა ძებნას. ცოტა ხანში არყის ბოთლით ხელში უკან დაბრუნდა და გოდერძის თვალს ჩაუკრა:

- ნამდვილად უ-ცხო-პლანეტელია!

- რა? ანუ, ვინ? - დაიბნა გოდერძი.

- ყურადღებას ნუ მომაქცევ, ჩემს მეუღლზე ვფიქრობდი, - პლუშის სარჩულიანი, წყალგუმბარი, მსუბუქი ლაბადა სწრაფად მოიცვა და ქაშ-მირალი კაშვი ჯიბეში ჩაიტენა დავით კონსტანტინსკიმ.

- აჰ, ცოლზე ანუ... გასაგებია.

- ცოლზე უფიქრებია ხომ?

- არა, არა, ეგ არ ვიცი, თუმცა გააჩნია...

- რას გააჩნია?

- უცხოპლანეტელი სინამდვილეში არ მინახვს, მაგრამ როდესაც ამას ცოლზე ამბობთ, ანუ ვამბობთ ზოგადად, დასაწყვია რომ... მოუღე ცოტა დაველი და უნდა მაპატიოთ, ძალიან ცივა, გოდერძი განითლდა.

- კარგი რა, ასე სერიოზულად რატომ უდგები საკითხს. გამოცდებს ხომ მოვრჩით? - პროფესორემ არყის ბოთლი, პოლარული დათვის გამოსახულებით ეტიკეტზე, გოდერძის გადასცა და კიუტა გამოკეტა.

გოდერძის თვლები გაუფართოვდა. გულუსვი სანუქარი იყო, მართლაცარაბშპლანეტურიგარკვეულიცაგებობით, - გაიფიქრა, თუმცა ამჯერად თავი შეიკავა და არაფერი უთქვამს.

- მე ვიცი, თქვენ ზღაპრების გამოგონება რომ გიყვართ, დიხაიც ვიცი-ო! - ცისფერთვალეა, ლოყებლადედა, ქერათმიანი და მკერდსაცხე თინა პროფესორეს მიეჭრა, როგორც კი ის გოდერძისთან ერთად გოგას კიუტაში შევიდა.

- ეს ვინ მოგახსენათ-ო? - ლაბადა გაიხადა და სავარძელზე გადადგინა დავით კონსტანტინსკიმ.

- თქვენი შვილიშვილი ჩემი მეგობარის მეგობარია, თბილისი რომ პატარაა, მოგეხსენებათ-ო და შემთხვევით მოვიხსენიე, როგორ ყვებოდა, ჩვენთვის სიტყვებს იგონებდაო, სიმღერებსო, ზღაპრებსო.


- ანუ, დღემდე ჰგონიათ, რომ ვიგონებდი. გასაგებია.

- რა არის გასაგებია?

- შვილიშვილების ამბავი თქვენ რა იცით, ძვირფასო თინა-თინ, რას არ მოიძოქმედებენ, ოღონდ მეზღაპრე ბაბუად გაქცონ.

- უცხოპლანეტელი ცოლის არ იყოს! - შინაურულად ჩაუშტა გოდერძიმ და არყის ბოთლი პაერში ასწია, - აბა, მოვიდა თეთრი დათვის ციება!

აიტაცეს. გახსნეს. პროფესორეს ჭიქა მიანოდეს. ჩამოიხარა. თქვას, რომ „არქიტექტურის ისტორია არის სინათლისთვის ბრძოლის ისტორია!“ ადღეგრძელეს არქიტექტურა!.. ადღეგრძელეს სინათლის-ნათელი.. ადღეგრძელეს სინათლით სავსე არქიტექტურა!.. ადღეგრძელეს ამ სიტყვების ავტორი ლე კორბუზიეს!.. თავი დაიზღვიეს, კეპლერიც მი-



მარიკა ნუკლი

ძველთაძველ ასტროლოგიურ რუკაზე რომ დახედო, ჯივრული ქართულით მიაწერა (წითლით თეთრზე): „ზამთარ მზისგან ხედვა ქვეყნისა!“

- ეააა-უ, მაგარი! - ყველამ ერთხმად წამოიძახა.

- ზამთარ მზისგან ხედვა ქვეყნისა, რა დონე ნათქვამია! - ხატია წამოდგა, გოგას მიუახლოვდა, ხელი გადახვია და ცხვირზე ცხვირით ნაზად მიეფერა.

- ახალი მასიურის იდეაც ჩაისახა. ვივა გოგა! ვივა პროფესორე! - ჩაიცინა თინამ და ყურსასმენებიან ანიკოს, აფრიკული ნაწნავებით თვალი ჩაუკრა.

ანიკომ ცალი ყურსასმენი მოიხსნა, რა ხდებოდა, თინას ხელით ანიშნა, თუმცა სადღევრძელოების გაგონებაზე წარბები შეჰყარა, თვალები დააეღამა და ყურსასმენებს დაუბრუნდა.

დანარჩენებმა ერთხმად ადღევრძელეს სულხან-საბა ორბელიანი!.. ადღევრძელეს „სიტყვის კონა!..“ ადღევრძელეს „სიბრძნე სიცრუისა!..“ ზღაპრებიც ადღევრძელეს, არქიტექტორებმაც ზღაპრებიც არ გამოტოვეს და ისევ ერთხმად გადაიხარხარეს.

გოგამ ფილიპ გლასის კომპოზიციები წართო, „კრონოსის კვარტეტის“ მესრულებით და კაიუტაში გადმოღვრილმა მელიდიამ საკუთარ რიტმზე დაატრიალა სამყარო. პროფესორე კი შეეცადა აეხსნა, რატომ იყო უხილავი დედამიწის მეორე თანამგზავრი. მანამდე კი უპირობოდ და ერთხმად შეთანხმდნენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა არამატერიალურია, შეიძლება გეოშეტრიული იყოს; რომ ადამიანს ზედმინეგნითი სიზუსტე და მომაკვდინებელი სერიოზულობა ახადგურებს; რომ თვალთ ყველაფრის დანახვა შეუძლებელია და ულტრაიისფერი სხივები ამის უმარტივესი მაგალითია;

- თვალთ მუდამ გამოსავალს დაძებნა დაა, რას ნიშნავს გამოსავლის ძებნა?... გა-მოს-ვლის ანუ

ბუდიდან ამოხტომის სურვილს. ანუ გავაჩვენოთ უნდა არსებული „ხედვაი ქვეყნისაი“ და იძულებულნი ვართ მითები შევთხზოთ, რელიგიები გამოვიგო-ნოთ, ზღაპრებით ვისაზრდო-ნოთ. ასე და ამგვარად, თავს ვიქცევთ, ვაჯერებთ, ვიტყუებთ, სანამ ვიღაც, დიას, ვიღაც ჩვენზე ფართოდ არ შეხედავს სამყაროს და იტყვის: მრგვალიაო-ბრუნავსო-იზიდავსო-ფარდობითიაო, აგერ კვარკები-მა ცა გადასერესო, იქით ჰიგსის ბოზონი ავსონეთო და დანარჩენებსაც არ დაგვაჭყეტინებს თვალეზს.

- იმის თქმა გსურთ, რომ ბორიალეს დანახვაც წინ გვაქვს...

- კარგი რა, ლაღი, რა გვაქვს წინ? აგერ, ნანახი აქვს ადამიანს, ვერ გაიგე?! გეძინა აქამდე? - თინამ უცნაოფილოდ გადახედა მრგვალსაიან, თავგადაპარსულ მიქსს, კვფაზე ღრიანკალის ტატუო და თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

- ცნობილი თუ არის, რომელ გრძელსა და განედზე ყოფნის დროსაა შესაძლებელი მისი დანახვა, პროფესორე? - მშვიდად გააგრძელა ლაღომ.

- ერთმნიშვნელოვნად ჩრდილოეთის პოლარულ ხაზს მიღმა. როცა ზამთრის მზე ჩრდილოეთის თვალს ვეღარ აწვდნს, ბორიალე პოლუსთან ისევ ახლოს მიდის, გეგონება, ხელს გაიშვერ და... მისი მინდვრებიდან ყვავილებს მოწყვეტო.

- ვაიბე, რა ყვავილებს, ანუ იქ სიცოცხლეც არის? არ გადამრიოთ ახლა! გოგა, დამისხი, - თინა წამოხტა, ანიკოს ეცა, ყურსასმენი მოიხსნა, - რას უსმენ, გოგო, ამისთანას, მოდი, ნახე, რა ხდება, მომკლა ამის აფრიკულმა პერიოდმა. ამომიტრიალეს ანბანი, ამომიტრიალეს კოორდინატები! გოგა, დამისხი!.. რა გაცილებს ძე უდღურო, - ახლა თაზის შეუღრინა და მწვანე კაშმიშე წაველო ხელი, - ვაიმე, შენ უნდა იყო აქ და ლანკა თბილისში?

- ანუ, მზეს ეძებდა? - თითქოს სიზმრიდან გამოერკვო, ხატისა ხმა გაისმა, - ბორიალე მზეს





ემალემა, პროფესორე?

- შენესავით მზეთუნახავია, - თაზი თინას და-
უსხსტლა და ისევე ხატისკენ გაინია სატაფლოს-
ფერზე ზაგებიანი მწვანე კაშენს ქნევით.

- ჩრდილოეთის ციალი, Aurora borealis, - ჩაე-
ცინა ლადოს, გოდერძის თვალი ჩაუკრა, წამოდგა,
ანიკოს გვერდით გადაჯდა და ყურსასმენზე თა-
ვით მიეყრდნო.

- ჩრდილოეთისციალია, ჩრდილოეთისციალია,
გამოხტა მეორე ცინიკოსი, - გამჭოლი მწერა ეს-
როლა თინამ ლადოს კეფაზე ამოსვირინგებულ
მორიელს.

- ანუ, პროფესორე, თუ ჩვენი პლანეტის დახ-
რის კუთხე შეიცვალა და ოდესმე ზამთრის მზე
მისწავდა ბორილეს... ყველა დაინახავს? - ჩაეკითხა
ხატია.

- ძვირფასო ხატი, ორმოცი წლის წინ, არსებუ-
ლი დახრის კუთხის პირობებშიც მშვენიერად და-
ყინავდა. მაშინ ჩრდილო პოლუსზე თქვენსავით ახალ-
გაზრდები გავემგზავრეთ Aurora borealis ინფრას-
ტრუქტურის დასაპროექტებლად. თქვენსავით
გვეცოდნო, თქვენსავით ვგაგმდიო, თუმცა გაცი-
ლებით მძიმე პირობებში გერჩევდა ყოფნა: ფურ-
ღებში ცეცხოვრობდით, ივრთებში გშუშობდით...
და-ა, ერთ ღამეს თუ დღეს (ერთმანეთისგან ვე-
ღარც ვარჩევდით), მორიდ სადღეგრძელოს ვიგო-
ნებდით, ხმაური რომ შემოგვეხსნა, თითქოს ყინუ-
ლი ჩაჩყდოდა. გარეთ გავცვივდით და ჩემოდნების
წემა დაგვაცხრა. ავიხედე და ციდან, მერვე თუ
მეცხრე ჩემოდნის შუამდე, კარიბულ ცისფერ პალ-
ტოში გამოწყობილი ქალი მოქრუნდა, ხელს მიქ-
ნევდა. მოგვიანებით კი ამიხსნა, განიშნებდი, გაი-
ნიეო, მაგრამ მე მაშინ ჯენტლმენურად მოვიქციე,
საპასუხოდ მივესალმე, ხელები გავშალე და-ა...
დავიჭირე.

- ციდან... ჰაერში, - თინამ გაუხედავად დაი-
ჩურჩულა.

- დიახ, დავიჭირე და დიდხანს ვიდექი გახვე-
ბული, ისიც გაცივებული მომჩერებოდა. ორივე
სწრაფად ვსულთქავდით, იმ განსხვავებით, რომ მე
არყის ოსმივარი ამომდიოდა, მას კი კუმარუს,
Dipteryx odorata სურნელი. ბოჭიერ ჩემს გარშემო
დადგნენ, რას შერებდი, დათაიკო, რამ გავაშვსო? -
ჩამეკითხნენ. ქალი დავიჭირე-მეთქი, - ვუპასუხე.
რა ქალი, რის ქალი, ბელაია ხომ არ ჰქვიაო? - და-
ცინდა დამიწყეს.

- გაიმეცე, ბელაია! ბელაია თუ იყო ბორილეს
დანახვის საშუალება, პირდაპირ გეთქვათ, ბატო-
ნო პროფესორე! - ისევე წამოხტა მწვანეკაშენიანი
თაზი, არაყი დაიხსა, გადაჰკრა და ისე დაიხსა.

- ჩაქტოლეთ, ეს არქიტექტორებს შემოეკლდე-
ბული ინჟინერ-მშენებელი, ასეთი სამიტერესო მო-
მენტში რომ აწყვეტინებს და ხმას იღებს!.. მერე,
პროფესორე, გააგრძელებ, ანუ დანარჩენებმა რა-
ტომ ვერაფერი დაინახეს?

- სულ რამდენიმე წუთით დაბრმავდნენ. იცით,
ცოტა უცნაურია, მაგრამ... ბორილედან გადმო-
სულეს ყველა თვალის ინდივიდუალურად აღიქ-

ვამს, ზოგი მაშინვე, ზოგიც თანდათან მერყენული

- და საბოლოოდ?

- სანამ დაინახავდნენ, ჯერ ხმა გაივს: ბელა-
კი არა, ანგელინა ვარ აპოლონისკაიო, და-ა... ეს
გოლიათი არქიტექტორები, ინჟინრები და კონ-
სტრუქტორები თავქუდმოგლეჯილები გაცვიფ-
დნენ აპანოსკენ. დამინდნენ. როგორია, ხმა ესმო-
დათ, ქალს კი ვერ ხედავდნენ. აპანოში დიდხანს
დარჩნენ, სანამ სამედილინოლოდ არ გამოფიზი-
ლდნენ, მაგონი ჩვენს ქორწილამდე აღარ გაჰკარე-
ბიან აპანოელს... თვალის მოსჭრათ უმშვენიერსმანა-
ლიკომ.

- და თქვენ?

- რა ჩვენ?

- თქვენ როგორ გააგრძელებთ, ჩამოსვით და
მერე...

- რა თქმა უნდა, ჩამოსვით, თუმცა რას ჩამო-
ვაქვევითბდი, ჩემზე ოდნავ მაღალი აღმონდა. მა-
შინვე ავამორე ქუსლები ყინულს და გავიჯვამე.
თქვენი სახელიო? - სხვათაშორის მკითხა და კა-
რიბული ცისფერი პალტოს კალთები ჩამოიბერ-
ტყა. დათიკო შექვა, ქალბატონო ანგელინა-მეთქი.
ჩაეცინა და ჩემოდნების მოვროვნა დაიწყო.
თუმცა როგორ მოაგროვო, არ მახსოვს, თითქოს
ისევე იქ იდგა, მიყურებდა, ადგილიდან არ დაძრუ-
ლა და თან დაფაცურებდა, ჩემოდანს ჩემოდანზე
დაჰამდა. რაღაც პარალელური ამბები ხდებოდა
ჩემს ირგვლივ, მე კი გახევებულ-გაოგნებული ვი-
დექი და ვცდილობდი, მათთვის გადაკვეთის წერ-
ტილები მეპოვა. ბოლოს ჩამოვჯდა, ბენვის ქუდი
დაიხსრა (ისიც კარიბული ცისფერი), ფეხი ფეხზე
გადაიდო და სად წავიდე არ ვიცი ჯერო. ჩემთან
წამობრძანდით-მეთქი, - შევთავაზე.

- სასწაული! - თინას უფრო მეტად აღუწითლდა
ლოყები.

- მშვენიერიადიკო ბორილედან ჩამოფრენი-
ლა, - ხატია გოვას ჩაეხუტა, მერე ლოყაზე აკოცა
და ყურში ჩასჩურჩულა, - ხომ მაგარია?

- ასე თუ ცვივა ქალები იქიდან, მაგარია, აბა
რა! - გოვამ წელზე შემოხვია ხელი და თვალელები
ჩახედა, - მართლა გჯერა თუუუ... გინდა რომ გჯე-
როდეს?

- ნეტავ რა განსხვავებაა. გიყვარვარ თუ გინ-
და რომ გიყვარდე? - ისევე ჩასჩურჩულა და ისდევ-
რი რეზინი თმებიდან მოხსნა, - ასე გაშლილი უფ-
რო მომწონს.

- ქალები თუ ცვივააა, ეგ ყოფილა მესამე კი
არადა, უფეველად უპირველესი მნათობი ჩვენს გა-
ლაკტიკაში და ყველა არდამნახავის ჩემდთავად!..
ჩამოვიერთ, - ჭიჭა ჰაერში გაიშვირა თაზიმ, - გა-
დავდივარ მეზღაპრების ფან-კლუბში.

- გაგარია, - კბილებში გამოსცა თინამ და თა-
ზის ნათქვამი გადაამღერა, - ქალებითაცვივაგად-
მოვფარვარუკლებში, რაღა გეჭირს. მენ კიდევ
რას უნებნე ამისთანას? - ხელი დაუქნია ანიკოს.

ანიკომ ნახევრადმძინავრი ლაღი მოიშორა, ცა-
ლი ყურსასმენი მოიხსნა და ისევე ხელით ანიშნა
თინას, რა ხდებოდა: თინამაც ფესტებით აუხსნა: მი-

დი, შენთვის იყავი, არაფერი ისეთი.

- უაიმე, დონე გოგო თინიკო, გული ხომ არ ჩაგნდება, მართო ქალები რომ ცვივა თეთრი ციდან?... თუმცა ეგ კიდევ გასარკვევია! - თაზიმ მწვანე კანში ერთი ბოლო მიკროფონივით დაამრგვალა, ტურმბთან მიიტანა და პროფესორებსკენ გადიახლოდა, - ბატონო დავით, შემთხვევით ხომ არ მოგპოვებთ ინფორმაცია, ბორიალებების ინტენსივობის სტატისტიკაზე სექსისა და ასაკის მიხედვით? რაინდის იმედი თუ უნდა ვიქონიოთ და, თუ კი, რა პერიოდულობით? და აქვე, კიდევ ერთ კურორტს ხომ არ გაჩისენებდით?

- ჩაფუჭით იარე, ეგ რაინდი თავისი ამუნიციით შენ არ დაგასკდეს, - თინა პლედში გახევია და სვარდლის მოსაწვევად კომპანიონის დაუსწოძებნა. გოდერძის მიმდე ხელი კი კვლავ თაზის მისწვდა და პროფესორს მოაშორა.

- მშვენიერო თინათინ, დაე მე დამეცეს რაინდი, თუნდაც უჩაფხუბოს, თქვენთვის რას არ ავიტანა! ის ასე, კანის აშკარა სივარდის მოსაწვევად გამოგყვებით ქვეყნის დასალიერში! გოდერძი, შეგშევი თუ ძმა ხარ, - თავი გაითავისუფლა თაზის და თინას გაქცევა.

- რატომ გადმოვხტით, არ უთქვამს? - ისევ სიზმრისნული ხმით იკითხა ხატია.

- ჰქონდა თავისი მიზეზები, თანდათან რომ გამომიძლია. მოკლედ რომ ვითხრობ და თავი აღარ შეგანწყონით, ერთი მწერლის ცოლობას გაუბოძა, მშობლებს კი მიზეზს ვერ აგებინებდა. იე, ბორიალები, მწერლები სასურველი საქმეები არიან. ადვილად კი ციფრების შეტი არაფერი აინტერესებდა. ცრემლებიც კი ართიმეტიკული სიმბოლოების ფორმისა ჰქონდა, ნაბიჯს რომ გადადგამდა, გარშემო სულ პარაბოლები და ჰიპერბოლები იჩაფებოდა.

- აუუუ, წარმოვიდგინე და რა მაგარია! აუუუ, მეც მინდა ასე!

- მერე რა მოხდა, როგორ გადაწყვიტეთ ერთად დარჩენა? - დაბრუნდა შემცვივებული თინა ეთოშიდაჭკვიანებული თაზის თანხლებით.

- თავიდან, ფურგულში კვირები სწრაფად მიქროდა: ის ანგარიშობდა, მე გზაზავდი. მერე ის ჩემს მავკეტტში, მე კი მის ციფრებში გავივრედი, საბოლოოდ ძალები გავაერთიანეთ და პირველი შენობაც დავასრულეთ. ოჯახს მივხერე, ცოლს ვირთავ, ოღონდ ჩვენბურთი არ არის და არ გადაირით-მითქვით. არ ვიცო რაზე საუბრობდნენ და როგორ იქცეოდნენ ჩემს ჩამოსვლამდე, მაგრამ გემოდან რომ გადმოვიდეთ, ყველა დამხედურმა ერთხმად ამოისუნთქა და წარბი გახსნა.

- ანუ გვრევდით დაინახავ?

- არა, რა თქმა უნდა, წამის მესამედში ბორიალეს ქარმა გადაუარათ და თვალთ დაუზნელდით, მაგრამ ეგ არაფერი, ქორწილამდე ყველას ყველაფერი დაეარსება. დღემდეც ასე გრძელდება და მიჩვეულები ვართ, პირველი მხახველი ერთხმად ვერ უსწორებს თვალს უმშვენიერესადიკოსს. აბა,

რა იყო ახლა აქ გამოგონილი? რომ ჩახვალთ, Aurora borealis თავად ხახვით, უკან რომ დაგებრუნდებით, ანგელინა ამოლონსკაიასაც გაგაცნობთ. რაც შეეხება ახალ თანამგზავრს, მისი მიგნება თქვენს არქიტექტონიკაზე დამოკიდებული და ისლა დამარჩენია, წარმატებები გისურვით.

ამის შემდეგ სტუდენტებმა რატომღაც თავები მოიფხანეს... წყვილები ერთმანეთს ჩახუჭუნდნენ... ფილიპ გლასის კომპოზიციები მეორე წრეზე დატრიალდა... დავით კონსტანტინსკიმ თეთრი დათვის გამოხახულებიან ცარიელ ბოთლს მსვლიან პლუმის სარჩულთან, წყალგაუმტარი, შესუფთვლად მოიცვია, ქაშშირული კაშვე ჯიბეში ჩაატყნა და შეუშენველად დატოვა გოდერძის კაიუტის საკუთარ რიტმზე მბრუნავი სამყარო.


მეორე დღეს იმდამინდელ საუბარს ზოგერთი ძლივს ინახებდა, ზოგერთი ენთუზიაზმით აევსო და ბორიალეს ნახვა დაესახა მიზნად: იყვნენ ისეთებიც, ერთი სიტყვაც რომ არ ან ვერ მოისმინეს. თუმცა საბოლოოდ თითოეული მათგანს ჩრდილოური განედების ცხოვრების წესსა და დელამურ რიტმს დაემორჩილა.

გადაადგენლავა სამხრეთული A პუნქტიდან ჩრდილოურ B პუნქტამდე იქ დასრულდა. პორტიდან სასტუმრომდე კი ათვლის ახალი ნერტილება დაფიქსირდა და ამბავიც განსხვავებული დინჯო. „Aurora borealis“ მაგზარებს ელოდა: მის ყირულენაშვარ პარამეტრზე, კარიბული ცისფერში შესრულებული შუქრადიოები დაუვინყარ გვეტქსქმნიდა. ნლების მიუხედავად, შენობას რელიგიანტურობა არ დაეკარგა, გარემოს კი ისე ბუნებრივად ერწყმედა, იმდენ შუქს ატარებდა, პირველ დანახვასე ყველას ეგონა, გამჭვირვალე კედელა აღმართულიო. მისი დათვალეირების შემდეგ კი გაიძახოდნენ, ნამდვილად არაამქვეყნიურ მათემატიკური გამოთვლებით აავსეს. ექსპედიცია წევრები ჯერაც წინა ღამის შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს: ამბობენ, ექსპედიციის დასასრულს ყოველთვის ჩამოვინს ანგელინა ამოლონსკაიო; ნებდა, თუ დავინახავთ პირველივე შესუდრანო; სექსტიკოსებს კი ელიმებოდით: პორტშიც იყო მოსული ძვირფასიდათიკოს გასაცდელად, მაგრამ ტყუილა ბორიალეს ქარმა დაგვრთ, ვერ შევინძნეთო; არც ახლა ხართ სახარბიულო დღეში, მივადევით სასტუმროს და სადაცაა შესასდებით და იქნებ თავებს გაუფრთხილდეთ, კიდევ გამოგადგებათო.

1. შედური წარმოშობის ფრანგი არქიტექტორი (1887-1965);
2. გერმანელი მათემატიკოსი და ასტროლოგი (1571-1630);
3. სადაც მატერიაა, იქა გეოქეტრიაც არის (იოჰანეს კეპლერი);
4. იტალიელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, პოეტი, კოსმოლოგიის თეორეტიკოსი (1548-1600);
5. ქართული მწერალი და დიპლომატი (1658-1725).
6. ამერიკელი კომპოზიტორ-მინიმალისტი (დაიბადა 1937 წელს);

გიგი გულედანი

იმპერიის საპასუხო დარტყმა



ჩემი კარიერა თსუ-ში სტუდენტ-ასპირანტობით დაიწყო და ახალგაზრდა ლექტორის კარიერით გაგრძელდა. სანამ სტუდენტი ვიყავი, ვიწვევდი ფილოსოფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის პირქუშ ლექციებზე. კათედრებზე ჯერ კიდევ ბლომად იყო საბჭოთა ბიბლიოთეკიდან შემორჩენილი ლიტერატურა. ლექციიდან ცარიელ კორიდორში გამოსული ეხედავდი ხოლმე როგორ ეცემოდა მზე სარემონტოდ აყრილ პარკეტს ისე, რომ მისი შუქ-ჩრდილისგან შთაბეჭდილი აბსტრაქცია გამოდიოდა.

სტუდენტობის თუ მოქალაქის, არ ვიცი ზუსტად, უკვე დაესრულებინა ტრადიციების რემონტი - მესასველში იატაკზე კაუჩუკი დაეგოთ, ხოლო უკვე შიგნით - ხაოიანი ბაზალტი, თუ მისი იმიტაცია, რომ აღაშიანს ფეხი არ დაეცურებოდა. და აქ ჩნებოდა ყველაზე საინტერესო - ტრადიციების რეკონსტრუქცია გულისხმობდა ე.წ. „ღია ტრადიციების“ სისტემაზე გადასვლას, რომელსაც ექსპერიმენტის

სახე ქონდა და გულისხმობდა პისუარების მოწყობას ღია ცის ქვეშ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ეზოში.

ეზოზე გადმოდიოდა უნივერსიტეტის კორიდორების, კიბის უჯრედებისა და მოსაზრებელი ოთახების, ასევე მიმდებარედ აშენებული ახალი ფემინისტური უბნის სტუდიების უზარმაზარი ფანჯრები, საიდანაც ხელის გულზე ვჩანდით ჩვენ, ანუ ხალხი, ვინც უნივერსიტეტიდან ღია ცის ქვეშ, „ღია ტრადიქში“ მოსაფსმელად გამოვიდოდა.

თუმცა, არავინ იმჩნევდა, რომ ამაში რამე უჩვეულო იყო. ჩვენ (მშარდავები) და სამართხ სართულიანი ახალი სახლებიდან (ოფისები იყო ძირითადად) მაყურებლები ერთმანეთს თვლებში დიმილით ვუყურებდით, მაგრამ მაინც ვაგრძელებდით შარდვას „ღია ტრადიციების“ პისუარებში, რომლებიც დაქსაქსულ განმჯანებაში ლანდშაფტის დიზაინერებს ოსტატურად ჩაემათაყუბინათ.

უკვე გასრულებული მარდვას, როცა კარი გაიღო და „ღია ტუალეტში“ გამოვიდა თსუ-ს რამდენიმე თანამშრომელი, მათ შორის გიორგი დანელია ვი-
ლაც ქალთან ერთად, თუმცა ქალების ღია ტუა-
ლეტს ცალკე შესასვლელი ჰქონდა - ვარდისფერი
კედლებით. ჩვენსას - ლურჯი!

დანელიამ მკითხა, როგორ ვგვუფლებდი ახალ სა-
მუშაოს. მე ვუთხარი, რომ ყველაფერი „ნაის“ იყო.
მართლაც ასე ვფიქრობდი. თუმცა შევატყე, მან არ
დაიჯერა და იფიქრა რომ უბრალოდ კორექტულად
გვასაუბობდი, როგორც ახალ, მორიდებულ თანამ-
შრომელს შეეფერება.

შემდეგი ლექცია ჟურნალისტიკის კორპუსში
უნდა მქონოდა. ეს უფრო პრაქტიკული კურსი იყო,
რომელზეც მონტაჟის საფუძვლებს ვუფიქრობდი.
სამონტაჟო მასალად მე ჰშირად ვიყენებდით ჟურ-
ნალისტიკის ფაქულტეტის ვიდეოარქივში უსიტე-
რულ შენახულ ფილმებს, რომლებიც წარმოშობაც
არც არავინ იცოდა, და არც არავის აინტერესებდა,
მანცინდამანც. ეს უბრალოდ სამუშაო მასალა იყო,
რომლითაც უნდა აგვეთვისებინა ვიდეომონტაჟის
ხრიკები. თუმცა, ვიდეოგამოსახულების ფანატი-
კოსები ამ ციფრულ ნაგებში ჰშირად ნააწყვედომ-
დნენ ერთი შეხედვით უაზრო კადრებს, რომლებიც
სინამდვილეში ბევრისთვის უნილავ ისტორიულ ფა-
ხეულობას შეიცავდა.

სამონტაჟო აპარატი იყო პანანინა და შიგნით
ეტეოდა ასევე პანანინა ლენტი, რომელიც ალაგ-
ალაგ გადანებებული იყო ლაკით. აქვე იყო საბრო-
ექციო ფუნქციაც, მოკლედ, აპარატი იყო ტექნიკუ-
რად საქმიად სრულყოფილი. ლენტა ხელით დავახ-
ვიე, რომ ყველაფერი სულ თავიდან მენახა, მაგრამ
ჩემდა სამუშაოდ 1990-ზე იქით (ანუ, უფრო ად-
რე) არაფერი იყო ზედ ჩანერგილი. პატარა ეკრანი
აჩვენებდა რაღაც უღიმღამო გადაცემის ნაწყვე-
ტებს:

ქალაქში შემოსული იყო მტრის მძიმე ტექნიკა,
1 ერთეული. ჩვენ ვიცოდით, რომ ჯავშანმანქანის
შიგნით მფდომები გარემოს ხედავდნენ მხოლოდ
რადარის დახმარებით, ანუ როგორც ბოყაყები, და-
ახლოებით. მათ მომართული ქონდათ ლაკატორე-
ბი, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ჩვენ შეგვეძლო
თავისუფლად გვემორჩა ქუჩებში თუ მათ შეუქ-
მნიდით იმის ილუზიას, რომ თითქმის არ ვიცით,
რომ ეს მტრის მანქანაა. ყველას მთავრად გვეცოდე-
ბოდა ბრონირებულ მანქანაში მსხდომები. იმინი იყ-
ნენ მტრის ქალაქში, მარტო, აგრეთვედნენ ინფორ-
მაციას და არ იცოდნენ რომ გახერ თუკე ყველამ
იცოდა მათი არსებობის შესახებ.

ქუჩაში იდო დიდი თოვლი და მტრის ტრანსპორ-
ტი, თავისი ქუჩით, შეუმჩნეველად გადაადგილდე-
ბოდა თოვლზე შეხლუხიების ღრჭილით.

ლექციების შემდეგ უნივერსიტეტიდან ლაბო-
რატორიაში ჩავიდო პლენარზე, მტკერის მარცხე-
ნა სანაპიროზე, სადაც უზნადის მიდამოებში, ზედ
მტკერის პირას იყო დიდი, სანახევროდ მიტოვებუ-
ლი ეზო, სადაც იმ დროს ჩვენი სამეგობრო ყოველ-
დღე იყრიდა თავს. ჟურნალის გოგონები, ტელევი-

ზიის ბიჭები და სხვებიც - აკადემიკოსები, მწიფე
ტიისტების უფროსი თაობიდან. ჩვენ არალეგალუ-
რად გვერდობდა დაკავებული დასაგრეკად გამზადე-
ბული ეზოს ერთ-ერთი მიტოვებული ბინა, სადაც
ადრე მეტოქისის ინსტიტუტის ლაბორატორია ფუნ-
ქციონირებდა.

დიდ ოთახში რომ შევედი, დავინახე, რომ იქ დიდ
სასტავს მოეყვანა თავი და ბიჭებს უკვე დაეწყო
მოსანენის დახარისხება გასაყიდად. „როგორც იქ-
ნა გადადგეს ეს ნაბიჯი“, გავიფიქრე ბალახით გაჭ-
რობის პერსპექტივაზე და თან ძალიან ვამიხარდა,
იმიტომ რომ მოსანენის მოვან მაშინ უკვე სერო-
ზულ პრობლემას წარმოადგენდა.

ამასთან ერთად, ძალიან შემეშინდა, იმიტომ რომ
ზუსტად წინა დღეს სადაც წავიციებო, რომ ჩვენი
კანონმდებლობის მიხედვით, სპეცოპერაციის დროს
მნიშვნელობა არ აქვს შენ პირადად გქონდა მოსა-
ნენი თუ არა. უკვე იქ ყოფნით მე ვარდევები კა-
ნონს, რამაც საკმაოდ დამძაბა, მითუმეტეს, რომ
საითაც არ უნდა გამეზედა, ყველა კუთხეში მიღო
და დიდი ბანკებიდან და პაკეტებიდან ბალახისა და
მწვანე მჭერის დახარისხება.

კიბეებზე სიგარეტს ენეოდნენ გოგონები, ოთახ-
ში იყვნენ ასათიანი, ფილო, აშიკო და სასტავი. გა-
დავწყვიტე გარეთ გამოვსულიყავი.

ლაბორატორიის კიბეებიდან თვალს შევავლე
შორს, გაღმა, საღამოს მზეზე მოვლავრ ძველი შე-
ნობების ფორმებს. ჩანდა, როგორ მოდის ჩვენსა და
მეორე ნაპირს შორის ძალიან ადიდებული მტკე-
რი. ვინაიტრე, რომ ვინმეს ამ ფონზე გადაეღო ჩვენ-
თვის ჯგუფური ფოტო - ჩვენი ვდგავართ მიტოვ-
ებული ლაბორატორიის კიბეებზე, ხოლო ჩვენს უკან
მოჩანს იმპერიის ნანგრევები.

ლაბორატორიის ეზოს დანგრევიდან რამდენი-
მე წლის შემდეგ, მე და თემომ თავი მოვაბით და მო-
ვიფიქრეთ გეგმატი ძველი „სეკას“ გრაფიკული დი-
ზაინით, სადაც სპეციალური ალგორითმით, ერთმა-
ნეთზე, ტეტრისის სტილით, ფუტკრის ფიჭისავით
ლაგდებოდა ლაბორატორიის სასტავის სხვადასხვა
ნიღებში გადაღებული ფოტოები, რომლებიც საბო-
ლოდ ვაშო ქმნიდა ერთ დიდ სურათს.

ეს იყო ჯგუფური ფოტო, გადაღებული უკვე
2000-იანების დასაწყისში, სადაც ყველა ვიდეო-
სასრიალოდ გამოიყენებოდა სათხილამურო კუ-
რორტზე, მზეზე აბრწყვალებულ თევზ თოვლში,
და კამერაში ვილიშდით.

საიტს უნდა ემუშავა ერთჯერადი ტრანსლაცი-
ის პრინციპით. დადებული მასალები იქ მუდმივად
არ რჩებოდა. გულაურის ჯგუფური ფოტოს შექ-
მნისთანავე ტრანსლაცია დასრულებოდა და ყვე-
ლაფერი გაქრებოდა სამუდამოდ.

თემომ კომპიუტერი გამოართო და მითხრა, რომ
კარგა იქნებოდა თუ ვეგსაიტის ტრანსლაციის დას-
რულებისას, ბოლოს დავაშტებდით ილია მეორეს
მოძრავ გულს, რომელიც საიტზე დაგვიანებით შე-
მოსულ ვიზიტორებს ეტყოდა: „ნადით, ნადით!“, რა-
ზეც, რამდენიმეწამიანი სიჩუმის შემდეგ, ორივეს
ავიციყდა სიცილი.

კობა ცხაკაია

ყირამალა



ამ ცოტა ხნის წინ, ოპერის ვარსკვლავმა, ჩვენმა ბროლის ხმამ, ქალბატონმა ელზამ ხმა დაკარგა.

ეს უდიდესი ტრაგედიაა და უმძიმესი დარტყმა ჩვენი, და მსოფლიო საოპერო ხელოვნებისთვის...

ღვანლმოსილი დირიჟორი, ბატონი ელიაზარი, მეუღლის, მომავადობედი ელზას, სოლო კონცერტს ამზადებინებდა. ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა, აფიშები უკვე გაკრული იყო, ბილეთები გაყიდული, EL-EL-ის (თაყვანისმცემლები ასე უწოდებდნენ ვარსკვლავურ წყვილს, სათაყვანებელი კერპების სახელების პირველი ასოების გამო, ელიაზარ - ელზა) კონცერტის სატელევიზიო ტრანსლაციას თითქმის ყველა წამყვანი ტელევიზია ითხოვდა. ბოლო რეპეტიციები, საყვარელი მეუღლისა და ერ-

თვული ორკესტრის თანდასწრებითა და თანამონაწილეობით ტარდებოდა.

და, აი, უკვე საიუბილეო კონცერტი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ... ქალბატონმა ელზამ ხმა დაკარგა.

საქმე ისაა, რომ ბატონი ელიაზარი საკუთარ სიზმარში, ლა სკალას სცენაზე, ვირტუოზულად ცეკვავდა... ის ასრულებდა უცნაურ საბალეტო პარტიას და დიდ დირიჟორს ეს კარგს არაფერს უქადდა. მას ცუდად ჰქონდა დაცდილი ამგვარი საცეკვაო, განსაკუთრებით კი საბალეტო პარტიები.

ჰოდა, ამ Balançoire, battement და Pas de chat-ების შესრულების დროს, ის ძილში შეხტა, შემდეგ აყირავდა და ბოლოს საძინებლის ქერზე ფეხებით დაეკიდა... როცა ძილბურანში მყოფმა ელიაზარმა თავისი უცნაური მდგომარეობა

რეობა გაიზარა, ჯერ შეეშინდა „არ ჩამოვკარ-
დეო!“, მერე დაინტერესდა, ბოლოს კი დირი-
ჟორს ეს „ყირამალობის“ მდგომარეობა მოე-
წონა კიდევ...

„**Eliazar culbute** (ელიაზარის ყირმალა) - შე-
მოქმედების ქვეცნობიერის ფიზიკური გამოვ-
ლინება, ანუ მიზიდულობის კრეატიული - ხე-
ლოვანისეული კანონი“ - ასე შევა ეს ფენომენი
ენციკლოპედიაში! - გაიფიქრა ბატონმა ელია-
ზარმა და გადაწყვიტა ეს უჩვეულო ამბავი ტკბი-
ლად ჩაძინებული მეუღლისთვის ეცნობებინა.

როგორც კი ღრმად ჩაძინებულ ქალბატონ
ელზას გამოეღვიძა და ფეხები დაკიდებუ-
ლი, შიმშილი მაშაპავი დაინახა, ელდა ეცა-
ხოლო როცა მასში, ბედნიერად მოღიმარი მე-
ორე ნახევარი ამოიციცო, თვალგებდაჭყეტილმა
ისე ხმამაღლა დაიბლაულა, რომ ხმა იმნამსვე
დაკარგა...

მეუღლის ბლავილმა ბატონი ელიაზარი შე-
აშთოცა. შეძრა და დააბნია კიდევ... ამან კი და-
არღვია მისი ე.წ. „**Eliazar culbute** (ელიაზარის
ყირმალას) - შემოქმედების ქვეცნობიერის ფი-
ზიკური გამოვლინების, ანუ მიზიდულობის კრე-
ატიული - ხელოვანისეული კანონი“, მოსწყვი-
ტა ჭერს და თავით იატაკს დაანარცხა... ამის
გამო მან მსუბუქი, მაგრამ საბედისწერო ტრავ-
მა მიიღო, რამაც სმენა დააკარგვინა.

ასე რომ, ბატონი ელიაზარის „ყირამალო-
ბამ“ ჩვენს ოპერას დაუკარგა ორი მეტრი - სა-
ოცარი სმენა დირიჟორისა, და უნიკალური ხმა,
საოპერო კერპის სახით...

ორივემ სასწრაფოდ მიაკითხა მსოფლიო
დონის სპეციალისტებს, ჯადოსნური და ღვთი-
ური ნიჭით დაჯილდოებულ ექიმებს. თუმცა,
EL-EL-ის ხანმოკლე და საკმაოდ ძვირადღირე-
ბულმა მკურნალობამ, არც ხმა დაუბრუნა მსოფ-
ლიო კლასიკურ მუსიკას და არც სმენა...

ამასთანავე, ბატონ ელიაზარს უკვე აღარ
შეეძლო ჩვეულებრივად ცხოვრება, ჯდომა, ძი-
ლო, ან სიარული. ტრავმამ ის საბოლოოდ ამო-
აგდო ჩვეული კალაპოტიდან. ყოფილი დირი-
ჟორი მხოლოდ ყირამალა გადაადგილდებოდა.

ხეების ტოტების, პორიზონტალური შვერი-
ლების, ჭერის, კედლების, სატელეფონო და
ელექტროენერგიის სადენების მეშვეობით და-
სეირნობდა ქალაქში და თან, დეპრესიამ ჩა-
ვარდნილ მეუღლესაც ხელში ატატიებულს დაა-
ტარებდა.

ოპერის ადმინისტრაცია და უბრალო ხალხი
ჯერ თანაგრძნობით, მერე კი გაკვირვებული
უყურებდა მათ უკუღმართ სიარულს... ბოლოს
კი, დაკინვისაგან თავს ვეღარ იკავებდა, რად-
გან ქალბატონ ელზას კაბის ქვეშედად მუდმი-
ვად მოუჩანდა საცვლები... თუმცა ამის გამო

EL-EL-ები არც კი დადარდინებულან, პირიქით.
ოპერის ყოფილ დივას დეპრესიამ გადაუარა...
რის გამოც წყვილი კისკისით „დაქროდა“ ქა-
ნაქალაქების თავზე... და ყურადღებას არავის
აქცევდა.

„შემოქმედებითად გარდაცვლილი“ ისინი
ბედნიერნი იყვნენ, ამას ასაბუთებდნენ კიდევ.

„ერთმანეთი არა ნაჩიხს, პოპულარობის, ან
გარეგნობის გამო, არამედ სულიერი სილამა-
ზის გამო გვიყვარს.“ - ჩამოსძახა ბატონმა ელი-
აზარმა ინტერვიუს ასალეზად მისული ტელე-
ჟურნალისტს, - „უნდა გარდაცვლილიყოფით,
რომ ეს სრულფასოვნად შეგვეგრძნო!“

„რაც შეეხება ჩემს საცვლებს, ნუთუ ამ მშვე-
ნიერ ცაზე მეტი ვერაფერი დაინახეთ?“ - ხრინ-
ნინი ჩურჩულით დააყუდა ჟურნალისტის უტაქ-
ტო შეკითხვისგან ნამონითლებულმა ელზამ...

ამ ცოტა ხნის წინ კი, ბატონმა ელიაზარმა
შეიტყუა, რომ მისი მეუღლე როგორც იქნა და-
ფეხმძიმდა... სიხარულისგან ფრთამესხმულმა
გაბედა, ბოლოს და ბოლოს გაბედა და ღია ცის-
კენ გადადგა პირველი ნაბიჯი...

ვინც კარგად იცნობდა ბატონ ელიაზარს,
იქნის, რომ ეს საოცრად გამორული და თავგან-
წირული ნაბიჯი იყო მისი მხრიდან, რადგან
ჩვენთვის, ჩვეულებრივი მოკედავებისთვის, უფ-
სკრული ქვევითაა, მისთვის, ანუ ყირამალად
მოსიარულისთვის, უფსკრული ზევით, ცაში
იყო. სიმაღლისა კი, ანუ „ამჟამინდელი“ სიღ-
რმისა, ყოფილ დირიჟორს ბავშვობიდან ემზი-
და. ფანჯარასთანაც კი თვალდაბრუნებული მიდი-
ოდა და ქვევით არასოდეს იხედებოდა.

მაქელედ, მომავალმა მაშამ გადადგა ეს ნა-
ბიჯი და შოი საოცრება, ცაში კი არ „გადაიწე-
ხა“, არამედ შეფრინდა... დიახ, მან სივრცეში
ნარჩარი, ფრენა იწყა...

შოდა, იმ დღის მერე ცოლ-ქმარი, თავისი
ფრენებით უფრო მეტად აღიზიანებდა ჩვენს
ქალაქის ღირსეულ ადამიანებს...

წარმოიდგინეთ, მიდიხართ ქუჩაში და თქვენს
თავზე ვილატეები დაფარფატებენ, და ეს ვილა-
ტეები ანგელოზებიც არ არიან და პერიოდუ-
ლად საცვლებიც და მშველი ფეხებიც მოუჩანთ...

ბოლოს და ბოლოს, ნორმალურ ხალხს ასე-
თი ამბები რწმენასაც დააკარგვინებს და თავ-
საც.

შოდა, ასე მანამ გაგრძელდა, სანამ ნადი-
რობის სეზონი არ დადგა...

ამით იმის თქმა მინდა, რომ ტრამვისგან და-
კარგული ნიჭი და მივიწყებული პოპულარობა,
სულაც არ გამოვეთ იმის უფლებას, რომ ცაში
კამარები კრათ და სიცილ-კისკისით იფარფა-
ტით პრობლემებით გათანგული ქალაქელები
თავზე.

ბელა ჩეკურიშვილი

სოფლის სახლი. მინისძვრა. ბერლინი

*„ეკა ქევანიშვილს უნდოდა დაენერა ლექსი
ერთ პატარა ქალაქში მომხდარ დიდ მინისძვრაზე“.*

ცხელი ჩაი ხელზე გადამეხზა
და სურათიც ჩამოვარდა კედლიდან.
მინისძვრა, - იყვირა ძიამ, -
ჩქარა, ეზომი, ვიდრე კიბე ჩამორღვეულა!
და ზრიალში, ფანჯრების და ქუჩების მსხვერვის ხმას რომ მოჰგავდა,
ქვევით დავეშვიტო.
ქოშები სადღაც გზაში დავკარგე,
და ფეხშიშველი, მეზობლებს შორის რომ ვიდექი,
გაზაფხულის სველ, ცივ მინაზე,
ხელში აყვანილ შვილს მზარზე ისე ვიბუტებდი,
იქნებ როგორმე არ დანახა,
სახურავიდან გადმოყრილ კრამიტს
ეზოს კნუტები რომ გაესრისა, იქვე კედელთან
და ქუჩიდან ხმამალალი მოთქმაც გაისმა,
ახლა უკვე ადამიანს არ გაუშართლა...
იმ ჩოჩოლში ყველამ ვიცოდი,
ჩვენს სახლებს კიდეც ერთხელაც თუ შეაქანებს,
დაზარულ კედლებს, ისედაც სული დაღევეაზე აქვთ,
ეს ლამაზი, ძველი უბანი,
ნამში აგურის გროვად იქცევა და დიდ-პატარას ქვეშ მოგვიყურებს.
ამ მოლოდინით გათანგულ ხალხში
ბავშვს ჩავჭურჩულე:
იქნება დაჯდე, სახლიდან ფულის ჩამოტანას კიდეც მოვასწრებ,
ერთად დეცს ჩემი ბეჭედი და ხათლობის ჯერები.
და უარი რომ ერ მოეხსნა, დავამატე: სოფელში წავალთ.
სოფელში წავალთ? -
სხივად იქნენ მისი თვალები, მზიარულად აიქნია მკლავები და ყელიდან მომწყდა.
ის მარნიანი, გრილი სახლი,
ფშავიდან ჩამოსახლებულმა ჩვენმა დიდბაბამ
ოდესღაც კახეთში რომ ააშენა,
შვილიშვილებმა რომ მოვიტულეთ და დავივიწყეთ,
გამოეკეტეთ და ფეხსაც აღარ ვდგამთ
გუშინ ბერლინში გამახსენდა,
იმ ლექსის კითხვისას,
ეკა ქევანიშვილს რომ უნდა დაენერა
პატარა ქალაქში მომხდარ მინისძვრაზე
და გადაფარა დიდი ქალაქის ზაფრა და შიში
როგორც მაშინ, იმ ლამეში,
2002 წელს, მინისძვრის დროს იმედად რომ ამოიზარდა,
ჩემი შვილის გაშეშებულ თვალებში,
სისხლიანი კნუტების გვერდით.




ქვრივის ვარდი და მარწყვები

ასკილის ვარდი,
მაქმანად რომ მისდევდა ღობეს
საუბნო გზაზე,
ქვრივის ღიდი ბალის გარშემო
და ეკლებით ფხისლად იცავდა
გაზაფხულობით
იმ მარწყვის ბაღს
თან უმანკოდ, თეთრად ყვავდა,
სიმწრის ცრემლებად რომ დაგვცალა,
გადაძრომა რომ მოვინდომეთ უბნის ბაღლებმა
ერთმანეთის ზურგზე შედგომით
და მერე რაღას გავეზიდავდით,
ძაღლის ნაცვლად ის ასკილი უელიდა იმ ბაღს
ნაკვერჩხლად რომ ღუოდა მარწყვი
ქვრივი კი ფრთხილად აგროვებდა ველური ვარდის ფარფატი ფურცლებს
და მაქრის ფხვნილში ფაქიზად სრესდა,
ზამთრის პირას სურნელოვან მურაბად რომ მოეხარშა ნუშის გულებით.
რას იფიქრებდა,
მეც რომ ერთი მათგანი ვიყავ,
გარეცხილს და ჯამით მორთმეულს
მოპარული რომ მერჩივნა და
ალუწის ხეზე მიგფრებოდი მის დასაზვერად,
იქნებ ეზოდან გასულიყო,
ის ავი ქვრივი,
ბებიაჩემი.

იზოლდე ოლბაუმს, ფოტოგრაფს

ის ყვებოდა სულელებზე,
სხეულები რომ დატოვეს ერთ დღეს,
მაგრამ სადღაც კი არ გაფრინდნენ,
ქვებში შესახლდნენ.
ყვებოდა ქვებადქცეულ ქალებზე -
ძეგლად რომ იდგნენ
საკუთარი სამარის კართან
და სიშიშვლის აღარ რცხენოდათ,
გაფაციცებით აყურადებდნენ გულების ფეთქვას,
გამჭლელების, ჭირისუფლების,
მათ სანახავად რომ მიდიოდნენ
როგორც გრანიტის, მარმარილოს ქერუბიმების
და ხელს უსვამდნენ მუხლისთავებზე
და ამოწმებდნენ,
ხომ არ შეეძლოთ გაცოცხლება,
გვერდით გაყოლა,
რომ მიენციათ სადმე ბარში, სადმე ყავაზე,
აკი მკერდები აბურცევოდათ
და მუცელიც ისე ვნებით ეკუმშებოდათ,
კამერას რომ უახლოვდნენ.
ყვებოდა, რომ ყველაფერს გრძნობდნენ,
კამერასთან, როგორც სარკის წინ, იპრანჭებოდნენ,
მზერას იცვლიდნენ,
თითქოს ამბობდნენ
რომ ქვად დარჩენა ბედისწერა კი არ არის, არჩევანია
და სულ არაფერს არა ნანობენ.



რომანა განცონის ბეჭდები

რომანა ხელს მართმევს
და თითები უყვავის.
ეს მისი ბეჭდების სხივებია,
რომლებიც ვარსკვლავებად კი არ ციმციმებენ,
მნათობებივით ბრღვლიანებენ
და შეხვედრისას ახალ-ახალ ამბებს ყვებიან.

ფიქრობ:

ნუთუ, ადამიანები ყველგანად გადაარჩინა
და მათი ამბები ამ ბეჭდებად დაიმასოვრა?
მაკვირვებს მათი ფერადოვნება
და ვეკითხები
(ვბედავ და ვეკითხები):
ნუთუ, ასეთი ჭრელი იყო შენი ნარსული?
ციმციმებდა, სხივებს აფენდა?

მპასუხობს:

მხოლოდ საქორწინო რგოლი იყო
ცეცხლისმფრქვეველი,
ეს მარტივი ოქროს ბეჭედი,
სხევემა მის გვერდით წეიძინეს ფერადოვნება,
როცა ჩემს თითებს ერთხელ შეეხნენ
და ნაბიჯი ველარ გადადგეს.



ომი არ იყო

„ისინიც ზომ ხალხია იქ, -
ამბობდა დედა, -
ნამდვილი ომი ზომ არ არის,
ისე ისერიან, ერთმანეთის შესაშინებლად,
ან სახურავებს, სვეტებს ესერიან“.
თუმცა ვხედავდით,
იმ ტყვიამ ერთი მეზობელი ქუჩაში დაჭრა,
მეორეს იქით აივნის კარი ჩაუღვნა,
გადალმა სახლს კი ცეცხლი გაუჩნდა.
კიდევ კარგი, შენობაში არავინ იყო,
თორემ ისე სწრაფად მოედო,
გაძარცვაც კი ვერ მოახერგეს უსაქმურებმა.

„ნამდვილი ომი ზომ არ არის,
ბუნკერში ბიჭებს არაფერი დაუშავდებოდათ“, -
გვამშვიდებდნენ წმინდა ნინოს ეკლესიაში
და პრეზიდენტის მომხრეთა გვერდით,
ჩემი ძმისთვისაც ანთებდნენ სანთელს,
რომელიც, ჯერაც ვერ გაგვეგო,
ან იმ ადგილას როგორ აღმოჩნდა,
ან ბუნკერში რამ შეიყვანა.

„გამოდითა ჩვენთან,
ვიდრე მაქვთ ყველაფერი ჩანჩარდებოდეს -
გვირეკავდნენ ბიძაშვილები, -
ზომ ჩედავთ, რომ პურზე ვასვლავ საშიში გახდა,
ახალი წელი დადგება მალე, ერთად აღვნიშნოთ“.

„განა ომია, -
ვპასუხობდით, -
შეგეჩვიეთ უკვე ამ ხმებსაც, ხანგამოშვებით ისვრიან და
ქუჩაშიც უფრო ზრდილობიანად იქცევიან,
ვიდრე მაშინ, როცა დაიწყო“.

და გაგრძელებდით ყველა ისე, როგორც შეგვეძლო:
ველოდით მამას, კახეთს რომ შერწა და ქალაქში აღარ უშვებდნენ;
ძმისაგან - ცნობას: ბოლოს და ბოლოს, უბანში იყო ის ბუნკერი,
გამოპარვა რა გაუჭირდა?
მე - ჩემი შვილის დაბადებას, ექიმის თქმით, თვის ბოლოსკენ უშვებდა უკვე;
ნანა გუპეის გამოცდისთვის წერდა კონსპექტებს,
თან სამსახურში დადიოდა მოვლითი გზებით.
ომი არც მაშინ დაეიჯერეთ,
ჩემი ქმარი რომ პალატოზე აკრული ავტომატით მოვარდა სახლში
და ჩუმად გვითხრა:
„ეს გაეყიდოთ, როცა ბავშვი დაიბადება“.


ომი არ იყო.
ჩვენ ვიყავით გაძარცვულ და დამწვარ ქალაქში,
იყო სიცივე, უპურობა, სიბნელე, შიში...

მავისტო

ნორბერტმა კატა დამიტოვა,
შეგბულებაში წასვლის წინ,
ორი კვირით
და დამარიგა, რით შეკვება დილა-საღამოს
როდის მიმეცა ნუგბარი და მელიკამენტი.

მოიწყინა მუცემ ჩვენთან,
სახლიდან შორს, უცხო ადგილას,
მოიწყინა და ქაშა აიკრძალა,
კარადის ქვეშ შეძრა და დარჩა.
მესამე დღეა, მუცე კუჭში არ გასულა,
რა უნდა გენათ, დილიდან ვდარდობ,
ნაცნობებს ვწერ, კატა ვისაც ჰყავს, ან ჰყოლია:
დავიცადო, თუ უკვე დროა, ვეტექიმი გამოვიძახო?

გსმენიათ რამე კატის კუჭის მოქმედებაზე? -
ვწერ მეგობრებს ჩემს ქვეყანაში,
სადაც დღეს ათი წლისთავია ბოლო ომიდან
და ისინი საპროტესტო აქციაზე დგანან თბილისში,
სასტუმრებს უბერავენ
და იხსენებენ,
როგორ აწამეს ცხინვალში რუსმა ხანხედროებმა
ქართველი ჯარისკაცი გიორგი ანწუხელიძე,
რომელმაც საქართველოს დროშას არ დააბიჯა,
ქალაქის მინას არ დააფურთხა,
და როგორც ტყვე, წამებით მოკლეს.



დღეს ათი წლისთავია ბოლო ომიდან,
როცა თბილისი დაიბომბა
და ხუთი ღამე მე და ჩემს შვილს, ზურგჩანთებზე თავმოდებულვს,
ფეხსაცმელებით გვეძინა,
მეტროს გვირაბში გაქცევა რომ სწრაფად მოგვესწრო.

გსმენიათ რაზე კატების კუჭის მოქმედებზე? -
ვრეკავ თბილისში, მეგობრებთან,
რომლებიც სანთლებით ხელში
შინდისში დაღუპული ბატალიონის საფლავთან დგანან
და აგვისტოს ცხელი ქარი თვალებში ასკდებათ.

ისინი სანთლებიან ხელებს ხეფივით იშვერენ მაღლა
და პასუხად ჩამესმის ხმები:
ოკუპაცია
სამაჩაბლო
კატაბალაზა
მავთულხლართი
ლუი მეთოთხმეტე
ალარ დაბრუნდე



ფოტოალბომი

ალარ არის აფხაზეთი, - ამბობს ჩემი შვილი, -
როგორც წინა ბუბო, დაბერდა და გარდაიცვალა,
ჩვენ კი მის ნაცვლად ახლა ფოტოალბომს დავყურებთ,
სადაც ზოგჯერ ახალგაზრდაა, ზოგჯერ ჩვენთან ერთად იცინის.
აი, შეზეფე, -
და მაჩვენებს ხელში სურათებს,
სადაც მე და მამამისი ბიჭვინთის სანაპიროზე ერთმანეთს ვცხუტებთ, -
მამაჩემიც სადაც წავიდა
და ყველაფერი სურათებად იქცა,
ამ ფოტოსურათებად,
გადმოიღე და ათვალიერე.

თვითონ კი გასახსენებელი არაფერი აქვს,
თუმცა ვუყვები,
რომ მისი თავი ბიჭვინთაში ჩავიფიქრე,
როცა თაფლობის თევში,
ორლანის მოსასმენად ტაძარში შევედი და
ქმარმა მითხრა: შენ იცი, რომ აქ ოდესღაც წარმართული ღვთაება იდგა?
მე კი გავიფიქრე: ბიჭი გვეყვოლება.

ის ბიჭი თბილისის ომის დროს დაიბადა,
დანგრეულ, შეშინებულ ქალაქში,
არ უნახავს აფხაზეთის ზურმუხტის ტბები
ბავშვობიდან კი სიბნელე და სიცოცხლე ახსოვს
და დედაქალაქს მომდგარი მტერი,

ამიტომ მპასუხობს: დღეს სხვა რაზე გვაქვს მისახედი,
აფხაზეთი კი შენს ალბომშია,
თუ გენატრება, გადმოიღე და ათვალიერე.

გიორგი ლომსაძე

მახსოვრობა/ვარაუდები

ძილის წინ ირჩევ ნაწყვეტებს შესაქმედან
 დღე-ღამის გახცალკეება - სიკვდილის წინასაბუთი,
 მიბერვა სულის და სისხლის შიში,
 ცხოველების არსებობა ადამამდე,
 როგორც უკანხედვის გამოჩენა.
 პირველი და ყველაზე მძიმე უკმარობა,
 ან არასაკმარისობის პირველი მოჩვენება,
 ადამის დაძაღვანდე, ხელმეუხეხელი
 სამყაროსთვის ბოლოჯერ შეხედვა,
 გახსენება, როგორ შეიძლება
 ყოვლისმომცველქმშარიტებაში განსვენება.

საკითხავი მუხლები ქალაქის ანგელოზებისთვის

შენ, რომელსაც დილის ანგელოზი გჟვია
 და მატარებლის გაჩერებებს შორის მიმოფრენ,
 შეეხე ჩვენს გულებს და დაგვარქვი სხვა სახელები,
 მაგრამ ისე, რომ ვერ ვხვდებოდეთ.

როცა უხილავ საკმევებს მიმოფენ ზღის ნაპარაკებს
 და სივარდილს შენი ორარით აკავებს,
 იპოვე უშორესი წერტილები,
 რომლებიც კორპუსებს შორის მოჩანს
 და გაგვიხსენე

რომელი ანათებს ახალ სხივებს ანთებულ ლამპიონებს
 როგორც ნათელსა ზედა ნათელს
 და მაღვიძარის ზარებს უსმენ ყოველი გამეორებისას,
 გამოფხიზლების სამოსელს არიგებ ნუგეშისთვის.

იხილე ზეცა, როცა ყინვისგან ფრთაშესხმული
 იცვლიდი სადგურებს,
 გზასთან მიყინულმა შენმა სხეულმა
 დილაბხელზე გამოსულებს
 სიკვდილის მეორე მხარე აჩვენე.

უყურე არეული ოთახის სარკეს,
 როგორ ირეკლავს დაუტყვევლ ვედრებას,
 ძველი ავეჯი და შეუტყნობელი ნაკლოვანება
 ძილის დროს გადაავადებს.


შენყვება

სანამ ყველაფერი ადრეა და დრო გეკუთვნის,
 სითუთრე, სადაც შენი სული დაისადგურებს -
 რომელიმე გაჩერებზე ვაგონიდან გასვლისას
 აღმოაჩენ, აღარაფერია წინა დღის მსგავსი,
 მოულოდნელად არაფერი აკავშირებს
 ოეთრ ქვებში ჩამარხულ ამ ადგილს
 შენს უახლოეს ან რამენაირ წარსულთან.

მოძრაობის წრიული მცდელობა,
 მუდმივი განმეორებებით და მცირე განსხვავებებით,
 როგორც წესი, არაარსებითით,
 მენი ადგილი იქ არ არის, სადაც ყველა ზის
 და ელოდება თავის რიგს ნაცნობ დროს
 მინის შიგნიდან ამოსასვლელად.



ისუნთქე ხმამაღლა და მარტომ,
როგორც ამას გააკეთებდა ყველა
შენს ადგილას ყოფნისას,
ცხოვრების რომელიმე
მიუვალ მომენტში მაინც:
მამინ, როცა მდინარეს აყოლებდი
ნახევრად დაშვარ ფურცლებს,
რომლებიც არ იყო შენი,
სხვების სიტყვებიდან გამომდინარე
სიმშვიდის ყოველი სტუმრობისას.
ყოველი ჩასუნთქვა საეცე იქნება
სხვისი სახლის ფანჯრიდან მონაბური
ნელთბილი და უცხო სულის



ნესრიგი

მან უთო მესამედ გადაუსვა იდეალურად სწორ პერანგს,
როცა დაკარგა საოცნებო სამსახური,
მონძინდა სუფთა იატაკი, როცა გამორდა ცოლი,
გაასუფთავა მტერისგან მიგნების ყდები,
როცა შვილმა გაისიყრნა ახალ მამასთან,
დაახარისხა ნაგავი უახლესი სტანდარტებით,
როცა შემოაკლდა მეგობრები,
დილას მეზობლებმა აარიდეს თავი,
საღამოს განძინდა ფანჯრები და გააერო აბლაბუდები,
ლამით შეაწუხა სახლის პატრონმა და გადასვლა სთხოვა,
დღლით ზუთაჯერ დაივარცხნა თმა და საცხოვრებელი შეიცვალა,
ახალი ნაცნობები ფიქრობდნენ, რომ მას ნესრიგი უყვარდა,
მაგარამ ის უბრალოდ სხვა ფორმით ოცნებობდა.

უკან მობრუნება

დაბნეულების სახლებს იფარავ თავიანთი თივისგან,
როცა ფანჯრებს უხურავ ღამით,
ქარისა და წვიმის ვედრებით ესმით ნაპრალებში
გარედან შიგნით ხედვის საზღვრებთან,
მოჩვენებითი შემთხვევითობის ცდა,
სახელის პოვნის ან საუკუნო დაკარგვის წამი.

მიმოსვლის ზრუნვა, შიშისა და მოლოდინის გაზავება
არის შენი სახელი, სადაც დრო არ ცვლის აზრებს
ადგილებსა და მნიშვნელობებს შორის
და აუხსნელ წინაგამზადებას არ უძებნიან სიტყვებს.

ვისაც არ გჭირდება თქმა, რაც ისედაც იცი,
გამეორებისთვის არ ქრის შენი უცვლელობა
თაგებს ზეშოთ და არ ეძებს გამოვლინებებს,
გარკვეულებს, მიჩენილ ადგილებს, გონების კიდეში,
მეუმჩნეველად აკითხავ დიდი ხნის წინაგამზადებას.

შუა დღე სახურავზე და უძრობა

სადაც სითბო იღვრება უსიტყვო გარკვეულობით,
დიდი ხნის წინ გაჩენილი მნიშვნელობებით,
რომლებიც გარედან არასდროს ჩანდა.
სადაც შეუღწევლობას მზის გული უფრო ამძაფრებს,
მოჩვენებითი მოწყალებით ჩუქნის
განსაკუთრებულ მარტოობას ძალაღ საართულებს,
სადაც ცივა ყოველთვის,
სადაც დიდი ხნის წინ დაბერა სასტიკმა ქარმა,
და დღემდე ისმის გაურკვეველი ვედრება
შაერთა კეთილად შეზავებისთვის.

ლალ ავალიანი

ოთარზე – მოკრძალებით და სიყვარულით



* * *

გუშინდელ დღესათი მასხოვს ოთარ ჭილაძის პირველი ნახვა. მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემს უსაყვარლეს კურსელს და ჯგუფელს, თინიკო ჭილაძეს ჰყავდა „ძმები ჭილაძეები“ - პოეტები. ჩვენი ამხანაგებიდან უნივერსიტეტთან ყველაზე ახლოს თინიკო ცხოვრობდა (პეტრიაშვილისა და ბარნოვის კუთხეში), ამიტომაც ხშირად დავედიოდით მასთან.

ერთხელაც, როცა პეტრიაშვილის ქუჩის აღმართზე, ღვინის ქარხნის გასწვრივ მისი სახლისაკენ მიგზავნილობდით თინიკო და მე, ზემოდან ჩამოშვავალი, წარმოუდგენლად მიმზიდველი „კაცი“ („კაცი“ ოცდახუთი წლის თუ იქნებოდა) მოგვიჩვენოდა, საკმაოდ მკაცრად გამოგჩედა, „გამარჯობაო“ - სერიოზულად მიესალმა თინიკოს და შეუჩერებლად გაგვპირდა.

თინიკომ საღამო დაუბრუნა, რატომღაც ჩაიცივნა და გულგრილად შეუყვია აღმართს. მე გავოგნდი: როგორ, ასეთი გადასარევი ნაცნობი ჰყავს და ის კი უდარდელად ფხუქუნებს! ათიოდე ნაბიჯი, ზრდილობისათვის, ჩუმად გავიარე, მერე თინიკოს მივვარდი, - ვინ არის და საიდან იცნობ-მთქი?! - ჩემი

ძმაო! - სიცილით მიპასუხა თინიკომ, - ოთარმა ასე იცის, გაგვეზურაო.

სტუდენტობის მინურულს და მერეც, ჭილაძეების სტუდენტობის მოყვარე ოჯახში უკვე შინაურულად ვგრძნობდით თავს (ზღაპრული დედ-მამა ჰყავდათ); ვეთაყვანებოდი ნანა თოფაძეს, ოთარის მეუღლეს, დახვეწილ, უმწვენიერეს ქალს, სანიშნო დედას და ცოლს; თინიკოსათვის რძალს კი არა, - „დისაგანცა უფრო დებს“, მისი ამხანაგებისათვის კეთილ და ყურადღებიან უფროს მეგობარს, ყოველი ჩვენი თავის იდეალს...

გაცივლის წლები, ვირუსული გრიპი მაქვს, 39° სიცხე, გვითხულობს სამადლოდ ნათხოვარ „აველუმს“ (აბა, ნიგნების საყიდელ ფულს ვინ მომაქვავებს!), მელანოს ყოველ გაელვებაზე უდროოდ გარდასული ნანა მიდგას თვალნის და მდულარე ცრემლებს ვღვრე.

* * *

ახლა 1973-74 წლებში გადავინაცვლოთ: ოთარ ჭილაძის, უკვე დიდი სახელის მქონე პოეტის პირველსავე რომანს („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“) მეზის გავარდნის ეფექტი დაჰყავს იმთავითვე: უმრავ-

ლესობა აღტაცებულია, უმცირესობა ამალღებულ მითის „დამინება“ მიუღწევად თვლის; გულ-გრილი კი არაფერია ჩნება. მე ამ დროს ენციკლოპედიაში ვშეშობ, უნივერსიტეტშიც ვითხოვლობ ლექციებს და სხვათა მსგავსად, ლიტერატურით ვცოცხლობ. არა და არ ცხრება ამ დიდებული რომანით მიღებული გრანდიოზულობის განცდა, გაოგნებული ვარ და, ცოტა არ იყოს, დამფრთხალიც: ეს რა სიბოროტის ქარიშხალი მძინევარებს ავტორის სულსა და გონებაში, როგორ უძლებს „ჩვეულებრივი“ ადამიანი ვნებათა ამგვარ გადმოწონებას, მხატვრულ ცალიბში მოქცევას და მკითხველის მონუსხვას?!

„არალირიკული“ გადახვევა: ახლახანს „არილ-ში“ ნაფიკითხუ ზაზა ფირალიძის უაღრესად ზუსტი შეფასება სხვადასხვა დროის ორი დიდი ქართველი მწერლისა, პასუხი შევითხვარე – რით შეიძლება 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე დაჯილდურების გერმანული მკითხველი: „თუ მაინც უნდა გამოვყო, დავით კლდიაშვილს და ოთარ ჭილაძეს გამოვყოფდი. გერმანულზე ბშირად ამბობენ, რომ მათი დისციპლინირებულობა, რეაქცია მათში ღრმად დაფარული ქაოსისა და ანარქიის ვნებაზე. როგორც შკინი, სწორედ აქ, ამ შერეში შეიძლება პოვოს გამოძახილი ამ ორი მწერლის ტექსტებში“...

მაგრამ ისევ ძველ დროს დავბრუნდეთ: – ეს ის დროა, როცა ქუჩაში წარაბარა გზეულები ოთარს, ხან რუსთაველზე, ხან მაჩაბელზე: უმცროსი დავითის ამხანაგებს ცოტა არ იყოს, ზემოდან დაგვეყურებს, ამას უდრტყნივდა ეგვიპტე; თანაც ენამწარვედ არის და ამკარად ვფრთხილობ მასთან საუბრისას, თუმცა ახლობლობის განცდა მაშეშვდება.

ახლა კი თითქმის ყველაფერი შეიცვალა. ერთხელაც გრიბოედოსა ქუჩიდან კიბით ჩამოვრბივარ რუსთაველზე, „მერანთან“. გზედავ, ოთარი მილიმის; დაბნეული და თვალღებამყვანი მეგყურებ და ვცუბნები იმას, რასაც ვფიქრობ: – როგორ მეშინია მენი-მეთქი! – რა იყო, გოგო, რა საფრთხოვებელა შე მნახეო, – მასსუსხოს ოთარი კი არა, ჩემი ვაგებო! – „ცოცხალი კლასიკოსი“ (ორმოცდაცხუ წლისა). ეცდებოდა აფუსხოს, რატომ „მამინებს“ ამ ყოვლად ფანტასტიკური, გასაშტერებელი რომანის ავტორი: რაღაც აბდაუბდა გამომდის. ოთარი იცინის და მალევე უშორდებათ ერთმანეთს.

ამ ენით გამოუთქმელი „შიშის“ გამო დღემდე ვერ შეგხვდებოდა „რკინის თაბურს“ (80-იანი წლების ჩანაწერების დასტა დღემდე შესწავლილ მაქვს), ვერც „აველუმს“ (ერთი ბლოკნოტი ანაქარული), ვერც „გოდორს“, რომლის ნაქითხვამ ჩემზე მინისფერ-სავით იმოქმედა...

* * *

ოთარ ჭილაძის დიონისური პროზა მართლაც ინვესტს სტიქიონის განცდას. მან ძველი სელთაღროცხიდან ჩვენს არეულ და გადარეულ დროებაში დგეტ მოატანა.

ოთარ ჭილაძის რომანები ძალდაუტანებელ თანადროულ ასოციაციებსაც ინვესტს და მრავალშაბას-

ტიან არქეოლოგიურ ველსაც მოგვაგონებს.

ნეტავ ასეთი რა ჯადო ჰქონდა ოთარ ჭილაძეს, სანერ მაგიდასთან კატორღელით მიჯაჭვულ, „უსპეცფიკტებო“ მწერალს, – ჩვენს მბაბურ, მასკულტურულ „კინის“ ალზეიზების დროებაში?

ზოგჯერ „ახლებურად“, „გლობალურად“ მოაზროვნეს დღეს ძალზე აღზიანებს ქართულ ტრადიციებზე მითითება; არადა, სწორედ ეროვნული თვითშეგნება, ტრადიცია, ფესვები, ჩვენი კულტურული „გენეტიკა“, – თვითმყოფობის შენარჩუნების ანუ თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, შეიძლება ითქვას, – პანაცეა.

ალბათ ყველაფერს მოედო ზაზა და ალბათ უკვე გელარც იწარებს: ეზო, რომელიც ძილშია გვახსოვს, სახლი, რომელიც გადავიყვარეთ.

სამაგიეროდ... სამაგიეროდ, ქვეყნის ტალახი გვათავს და გვაწვიმს... მენ დაიფარე, ღმერთო ძლიერო, საკუთარ ფესვებს მომეყდარი კაცი.

ამ პროვიდენციური ლექსის ავტორი 25 წლის ოთარ ჭილაძეა.

ფესვები ფესვებად, მაგრამ ცის ჩაურევლად არაფერი ხდება: ამიტომაც უწინაა ქაბუა ამირეჯიბი ოთარ ჭილაძეს „უდიდესი ტალანტით ღმერთი კალთა-გადაბერტყლილი“ მწერალი.

* * *

ვერ დავიჯერებ, რომ ოთარს გულისგულში გაცნობიერებული არ ჰქონდა თავისი შემოქმედების სიღრმე. უკვე ასაკოვანი ამიტომაც მუშაობდა თავდაუზოგავად და ძალზე ნაყოფიერად, მაშინაც კი, როცა ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა. სადაც ყოფილი ბუნებრივად თავმდაბალი, დახეწილი ოუმორობი გამოჩნებოდა, ზოგჯერ ენაქვამდა, საყველპურო, მინაურული მანერით საუბრობდა; საკუთარ თავზე, როგორც მწერალზე, ლაპარაკს და, მეტად, თვითრეკლამას შავი ჭრივით გაუწბოდა.

ვინ იცის, რა ძალისხმეა დასჭირდა რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტ ლაპარაკი კიკილიშვილს, რათა ოთარი მის მიწვევას დათანხმებოდა. არადა, მისი იშვიათი ჩანაწერები რადიოსა თუ ტელევიზიის ოქროს ფონდის დიდი მონაპოვარია.

* * *

დადგას დროც, როცა საბჭოთა კავშირის „ძლიერება“ ბზარი გაუწნდა, თუმცა მისი სხე სწრაფ დანგრევასა და ნანგრევებში საქართველოს მოყოლას მაშინ არაფერს ელოდა.

სწორედ იმ დროს, 1988 წელს, მოხდა ისე, რომ დიდი მოქნდა, კისა და დიდებული პიროვნების, ელგუჯა ამაშუკელის 60 წლისთავის აღსანიშნავ ბანკეტზე, ოთარის გვერდით აღმოჩნდა.

მომავალი ცვლილებების იმედით ატაცებული, ოთარს გულახდილად (და სასაცილოდ) მეჩერეულ, რომ ძილშიც და ცხადშიც, სხვა რამზე გელარც ვფიქრობდი და



„პოლიტიკურ“ სიზმრებსაც კი ენახულობდი. მე-რე კი ვიკბინე ენაზე, ეს რა

ნამოფროშ-მეთქი, მაგარი ჩემდა გასაოცრად, ოთარს არც კი გალიმებია, ისე ამყვან საუბარში. დიდად ენაობ, რომ ცხელ კვალზე არ ჩაეინერე დიდი მწერლის ვრცელი ღირადები საქართველოს რუსეთის მარნუხებიდან თავდაღწევის თაობაზე, განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი გამანარებით ნათქვამი, – რატომ უნდა იყოს საქართველო რუსეთის „პროვინცია“, რატომ უნდა ვიცოდე მე, ქართველმა მწერალმა, რუსული ენა, რატომ უნდა დაგვეყრებინე ზემოდან და ა.შ.

* * *

ოთარ ჭილაძეს რუსეთშიც უამრავი თაყვანისმცემელი, მთარგმნელი და მკითხველი ჰყავდა, მეცნიერები სერიოზულ გამოკვლევებს წერდნენ მასზე (რამდენიმე სადოქტორო დისერტაციაც იყო დაცული), რუს პოეტებთან ურთიერთობისას ოთარის პიროვნული ხიბლიც დიდ როლს თამაშობდა.

მის თაყვანისმცემელთა და მთარგმნელთა შორის იყო ბელა ახმადულინაძე (მასზე, უკვე გარდაცვლილზე, საკმაოდ უხამსი მოგონება გამოქვეყნდა, რაც დაუშვებლად მიმანჩია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მის წვლილს ქართული პოეზიის პოპულარიზაციის საქმეში ან ჩვენს „Сны о Грузии“...).

ვისაც ახსოვს ახალგაზრდა ბელას განსაკუთრებული სილამაზე, მიმზიდველი დეკლამაცია, საქართველოს სიყვარული, არასოდეს არ მოხსენიებს აუგად პოეტს, რომელიც შემიდგმოც ხშირად ავადდებოდა „თეთრი ცხელით“ და, კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერი მოეთხოვებოდა.

თამაზ და ოთარ ჭილაძეებთანაც წრფელ სიმპათიაზე დაფუძნებული, გულითადი ურთიერთობა ჰქონდა. ერთხელაც ტელეეკრანზე ვხედავ: ბელა მორიგი ვიზიტის შემდეგ მოსკოვში წასვლის წინ ინტერვიუში, ათრიოლდებულ ხმით, ამკარად გულდასვეტილი, სხვათა შორის აცხადებს, – ამჯერად ვერ მოვახერხე ოთარ ჭილაძესთან შეხვედრა მისი ავადმყოფობის გამოო. გულგახეთქლმა იმსამსე

დავურკე თინიკოს, – რა ჭირს ოთარს, ახლახან ტელევიზიით შევიტყვე-მეთქი. თინიკოსაც მოესმინა ბელას სიტყვები და სიცილით მითხრა, ნუ დარდობ, ოთარი მშვენიერად არისო. ჩანს, თამაზ ჭილაძეს, ჩინებულ მწერალს, ინტელექტუალს, ოთარის შემოქმედების უპირველეს შემფასებელს, მისთვის ჩვეული თავაზიანობითა და ჯენტლმენობით, დაუნრმუნებია ბელა ახმადულინაძის ავადობაში, რა თქმა უნდა, ოთარისავე თხოვნით. თამაზი ხომ მუდამ იყო დამცავი ფარი უმცროსი ძმისათვის.

* * *

ოთარი მძაფრად განიცდიდა ყველაფერს, რაც დამოუკიდებლობის მეორედ გამოცხადების შემდეგ დაგვემართა (თუ დაგვემართეს ან ჩვენს თავს ჩვენვე დაგვართეთ), ძმათაშვილელ ომებს, რუსი „მშვიდობისმოყვარეების“ ვერაგობას, საქართველოს მკვიდრთა მიერ ზურგში მახვილის ჩაცემას, დევნილთა უმძიმეს ხვედრს, ქართველთა მასობრივ მიგრაციას, მენტალურ სფეროში – ადამიანთა გაუცხოებას, „თავისუფლების“ სახელით დანერგულ თავაშეხელობას, სულიერების თუ ზნეობის დაცემას ... და, განსაკუთრებით, მშობლიური მწერლობის, ქართული კულტურის, ტრადიციული, მარადიული ფასეულობების მიმართ გამოხატულ უპატივცემულობას.

XX საუკუნე – 1999 წელი – ოთარ ჭილაძის უდავო ტრეუმფით დაგვირგვინდა: იგი აღმოჩნდა პირველი ქართველი ნობელის პრემიაზე წარდგენილ მწერალთა ხუთეულში მოხვდა.

ეს საქართველოსთვის იყო უდიდესი წარმატება, რომელიც უკეალოდ ჩაიკარგა უთავებოდა პოლიტიკურ ორომტრიალში, შურისა თუ სიძულვილის მძინერებაში. მაშინ უცხოელები უფრო დაინტერესდნენ ოთარის ფუნქციონით, ვიდრე ქართველები... როგორც მოსალოდნელი იყო, ოთარს ამაზე საჯაროდ კრინტიც კი არ დაუძრავს... ოთარ ჭილაძე, ღირსებისამებრ, მთანმიმდებარე განისვენებს. მთანმიმდებარე კვლავ ჩაფიქრებულა...

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი ჩაქლება

საქართველოს
საინფორმაციო
აგენტობა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge



ი9/19